იპოლიტე ვართაგავა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1971

8 Г 1
899.962.1.09
3 21

იპოლიტე ვართაგავას სახელი კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის. იგი იყო ღვაწლმოსილი პედაგოგი, ცნობილი პუბლიცისტი, ჯანგარო საზოგადო მოღვაწე.

იპოლიტე ვართაგავას კალამს ეკუთვნის არაერთი კრიტიკული წერილი XIX საუკუნის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებზე. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მხცოვანი კრიტიკოსი დიდ ინტერესს იჩენდა აგრეთვე მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრებისადმი. წინამდებარე წიგნში ვანხილულია სხვადასხვა თაობის თანამედროვე ქართველ მწერალთა შემოქმედება.

7—2—2
146—71 ადგ.

გაბრიელ ჯაბუშანური

„მე მოვალე ვარ ღმაღლესი ოცნება გავხსნა
და ხალხს მივუძღვნა, მე მიტომაც მქვია მგოსანი!“

ჩემს ხელთაა გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსთა ორი კრებული სათაურით: „მაღალი მთვარე“ და „ჩრდილი და ძზვარე“. მათი გულდასმით გაცნობისა და შესწავლის შემდეგ საშუალება მეძლევა შევაფასო ნიჭიერი კაცის და შესანიშნავი ლირიკოსის გაბრიელ ჯაბუშანურის პოეზია, რომელიც სუნთქავს მთისთვის დამახასიათებელი პატრიარქალური სიწმინდით, ფერთა სიუხვით და ეგზოტიკით.

გადაავლეთ თვალი ჯაბუშანურის ლირიკას და თქვენ ჩემი სიტყვების სიმართლეში დარწმუნდებით.

გაბრიელს პირადად ვიცნობდი. ჩვენი გაცნობა მოხდა პუშკინის სკვერში ჩემი ჩვეულებრივი დასვენების დროს. ჩვენ გულთბილად ვისაუბრეთ და დამშვიდობებისას მან ზემოთ აღნიშნული წიგნები მისახსოვრა.

გაბრიელ ჯაბუშანურის ლირიკის გაცნობა კიდევ ერთხელ მაძლევს საშუალებას გავისეირნო საქართველოს იმ წარმტაც მხარეში, რომელსაც ხევსურეთი ეწოდება. ამ დიდებული მხარისათვის დამახასიათებელი პატრიარქალური სულისკვე-

თება ჯერ კიდევ ვაჟას უკვდავმა ლექსებმა და პოემებმა მაგრძნობინეს...

უპირველეს ყოვლისა, რაც თვალში მოგხვდებათ გაბრიელ ჯაბუშანურის ლირიკის გაცნობისას, ესაა პოეტური სამკაულებისა და აქსესუარების გამოყენება არქაიზმებისა და მეტაფორების სახით. არქაიზმი თითქოს ტონს აძლევს მგოსნის ნააზრ-ნაფიქრალს და მოხდენილ ტაეპებს მუსიკით ავსებს. ამის გარეშე თითქოს შეუძლებელი იქნებოდა ძველი ხევსურული სამყაროს პოეტური ამეტყველება. მართალია, პოეტს შეეძლო ახალი ფერებით დაეხატა თავისი კუთხის შორეული წარსული, მაგრამ მას რატომღაც ურჩევნია გადმოგვცეს წარსული არქაიზმის საშუალებით. ეს მისი პოეტური კრედოა, მხატვრული პალიტრაა, მისი ინდივიდუალური შემეცნების ბუნებრივი გამოვლინებაა...

გარდა ზემოთ აღნიშნული პოეტური სამკაულების ჭარბად ხმარებისა, რომლებიც ასე ორგანულად ერწყმიან ლექსის ერთიან პარტიტურას, ჯაბუშანურისათვის დამახასიათებელია აგრეთვე რვალისებური, უაღრესად ვაჟკაცური ტონი.

თუ მისი ლექსების მიხედვით ვიმსჯელებთ, ვნახავთ, რომ პოეტისათვის არ არსებობს არავითარი წინააღმდეგობა, ბარიერები, რომელთაც იგი ხელის ერთი დაკვრით არ სძლევდეს. რაც მეტია წინააღმდეგობის ძალა და ქიმერული ხლართები, მით მეტია შურისგებისა და სინათლისაკენ გაჭრის სურვილი.

საილუსტრაციოდ მე აქ ტაეპებს არ მოვიყვან, რადგან მკითხველი ამას თვითონ იგრძნობს, როცა მის ლექსებს გულისყურით წაიკითხავს, მაგრამ ერთი კი ცხადია — შინაგანი სამყაროს ზვიადი ხმაური ნიშანდობლივად გასდევს მის პოეზიას, რაც პოეტის ვაჟკაცურ ბუნებაზე მეტყველებს.

კრებული „მაღალი მთვარე“ პირობითად სამ ნაწილად განიყოფება, რომელთა შორის თავისი პროდუქტიულობით და თემათა მრავალფეროვნებით „ტალღები“ პირველობას ინარჩუნებს. ამავე ნაწილს მიეკუთვნება ლექსი „მაღალი მთვარე“, რომელიც სიმბოლურად ქალშავას — მარეხის აპოლოგიას წარმოადგენს.

მარეხი, როგორც შთაგონების მძაფრი წყარო, მიუწვდომელია მგოსნისათვის. მარეხი გაიგივებულია მთვარესთან, რომელიც ნაზად გადმოსცქერის მაღალი ქედიდან და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს-ესაა ხელით მისწვდები მას. მაგრამ ეს უკვე აშკარა ილუზიაა: მთვარე მოულოდნელად სცილდება გორის ფხას და ვარდისფერ სივრცეში ინთქმება.

> რა ახლო იყო ის წეღან, დედი,
> ყვითელი, სრული და ^2^ომხიბლავი;
> ასე მეგონა: ხელს მივაწვდენდი,
> რომ იქ, მთის თხემზე, ვყოფილიყავი.

მგოსნისათვის მთავარია თავმდაბლობა, იმედები და ოცნების ნიჭი; ამათ გარეშე იგი ჰკარგავს მაღალ ღირსებას და თავბრუდამხვევი ძალით ეშვება დაბლა... მაგრამ თუ ეს ატრიბუტები თან ახლავს მგოსანს, სული მისი გარდაიქმნება ოქროს რვეულებად და ტალღებივით გაჰყვება დროთა მდინარებას.

„ტალღები“ სიმბოლურად მგოსნის ამ ჩანაფიქრის გამოხატულებაა. ამ აზრს იგი მომდევნო ლექსებშიაც ავითარებს, მაგრამ თავი და თავი, ამოსავალი წერტილი მგოსნის მაღალი დანიშნულების შესახებ ყველაზე მკვეთრად მოცემულია ლექსში: „სული — ოქროს რვეული“.

ნეტავ შემეძლოს ხელი შევახო
ჩემს სულს — ოქროს წიგნს წარმტაცს, ტიტანურს,
მაღალი სიტყვის გავტეხო ახო
და სამსჯავროზე გამოვიტანო!
მაშინ დავდებდი უბირ კალამს და
ვიტყოდი: — ძმანო, ჰა, ჩემი სული!
ეგ იყო, რაიც აქამდე მკლავდა,
აწ დავისვენებ დამშვიდებული!..

ლექსი პოეტის სულია, ჭეშმარიტ ნიჭს ჰყავს მისი დამფასებელი, მოყვარე და თაყვანისმცემელი. ესაა სამართლიანი მკითხველი.

მწამს: ერთმანეთი მარად მოგვშივა,
ვართ ერთი სულის ჩვენ ნაშიერი;
უშენოდ ოდენ ფარა-გროში ვარ,
შენც ვერვინ გექმნეს ჩემმაგიერი!

ვინ არ განიცდის ქვეყნად გაზაფხულის მშვენებას, მის მაგიას, მისი შემობრძანებით ამტყდარ ფერთა დაუსრულებელ თამაშს, მაგრამ მგოსნის მიერ აღთქმული ქართული გაზაფხული მისი ყოველგვარი ნიუანსებით სულ სხვაა. მაგალითად, მას შემდეგ, რაც კი მზემ „საზაფხულოდ წამოიწია“ და გორებზე „ნისლის ვერძები“ მოეფინენ — ზამთარმაც პირი იბრუნა: ქვეყანას მოევლინა მაღალი დღეები; ეს ნიშანია გაზაფხულის შემოსვლისა მთასა და ბარში; ეს ნიშანია მგოსნის სულიერი მეტამორფოზისა:

დიდი სიმღერა დამადგა თავზე
და ყელს მოაწყდნენ ჩუმი ლოცვები.

ირგვლივ კი ყველაფერი არქაულია და სადა, ისმის შორეული ხმები, ცა უცნაურია.

რამდენი ხმა არის! რამდენი სათქმელი!
ეს გული ლექსებად მეცლება!

გროვდებიან „მაღალი მიზნები“ და პოეტს სწადია, მონახოს გზა, რისთვისაც საჭიროა „მუზათ ხანძარი“.

ტყვემ ოქროს დღენიც გინდა გავლიო,
მომესევიან მაინც ბინდები,
გინდაც მარგუნოთ ოქროს გალია,
მე მაინც გავტეხ და გავფრინდები!..

ლექსი „აეშაგი“ ყურადღებას იპყრობს მოსხლეტილი შედარებებით და ცალკეული მდიდრული ტაეპებით:

უცებ მეცემა ლექსი ლეკვივით,
დამაბარბაცებს და დამაჩოქებს...

აქვე მზე შედარებულია მეომართან: „დამხატე!“ — ამბობს მზე — მეომარი, „მიმღერე“. — ღმუის გრიგალი შმაგი, „გვიმღერე!“ — გრგვინავს გორების ჯოგი“.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პოეტის ლექსი „მსოფლიოს რუკა“. აი, მგოსნის საწოლთან დევს რუკა, ანუ „მსოფლიო შეკუმშულ სახით“, უსულო და უმოძრაო. აგერ მთები, რომელთა თავზეც ნისლები არ წვანან, თვლემენ ოკეანენი, საჰარაში ხვატი არ იგრძნობა, არაგვი ძლივს ჩანს რუკაზე... ერთი სიტყვით, რუკა მელექსეს უხმობს:

სული შთაბერე, შემასხი ხორცი...
ეს თუ ბორცვია, დე, იყოს ბორცვი!..
თუ მწვერვალია, დე, მწვერვალს ჰგავდეს!
თუ საჰარაა — დე, იყოს ხვატი,
ვარდის სურნელით სუნთქავდეს ბაღი,
არც გეგმა მინდა,

არც ხატის ხატი,
არც წარმოსახვის მანკი და ჩმახი!
სიცოცხლე მინდა,
დიდი სიცოცხლე
და მგოსანს მისი ბოძება ძალგიძს,
მოდი, მომკერძე ნამდვილი ცეცხლი
და უძრაობის მომიჯნე მანკი!
კიკნა კედელზე ვეღარ ვეტევი
ტიტან ტანით და ორომტრიალით,
არაგვს სიმღერის მიეც მოტივი...

პოეტი თითქოს გრძნობს, რომ დედამიწას უძრაობის იარა სტკივა, ამიტომ მგოსანი ანიჭებს მას სიცოცხლეს.

და ჰანგი ბაძავს ქარიშხლის ეხოს...
ეს რომ არა ვქნა, —
კედლიდან უმალ
ზღვა გადმოსკდება და წარღვნა წამლეკს.

გაბრიელ ჯაბუშანურის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს სატრფიალო ლირიკას, რომელიც წარმოდგენილია განყოფილებაში: სისკარი, მარეხი, მზექალი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს განყოფილება პირობითია.

სატრფიალო ლექსების სერია სისკარისადმი მიმართვით იწყება:

მე მინდა, სისკარ, ყველაზე უფრო:
შენთან შეხვედრა და სიახლოვე.

პოეტს ამოძრავებს უსაზღვრო ლტოლვა სისკარისადმი. ეს ლტოლვა ოდესმე მათი შეხვედრით დამთავრდება.

ეს რომ არ იყოს, სისკარ, იცოდე,
გამათავებდა სევდა ფარული,

რა იქნებოდა ჩემი სიცოცხლე,
რა მოსაწყენი და უფერული.

სისკარი განუშორებლად სდევს მას...

მზე გორას ეფარება და ეს კი ნიშანია გარდასულ დღეთა ელეგიისა, რომელიც არასოდეს დაბრუნდება; არც მიჯნურთან შეყრის ძვირფასი წუთები დაბრუნდება არასოდეს.

ეს გრძნობა კიდევ უფრო მძაფრდება ლექსში „ნიშანი განშორებისა“.

ვარ განწირული, როგორც იკარი,
გულში გროვდება ჰანგი გლოვისა,
კვლავ ვეღარ ვნახო ჩემი სისკარი,
დაიწყო ჟამი სიმარტოვისა.
გაყვითლებული ფოთლები თელემენ
მეწამულ ფერით ნაზარნიშალი.
დაჰკიდა ხეებს მწიფობის თვემან
შერი თავშალი — გაყრის ნიშანი.

სიბერის ელეგია, სატრფოსთან განშორებით გამოწვეული მწუხარების გრძნობა, გამოხატულია სხვა ლექსებშიაც: „შენთვის“, უსათაურო — „დგება ღამის დასასრული“, „შენ შეგისრულდა თვრამეტი წელი“ და სხვ.

მოდის მარეხის ციკლი, ე. ი. იწყება ტრფობა მარეხისა; „შენი და გაზაფხულის წარმოსახვა“, „მაღალი მთვარე“, „წვიმა“, „მწუხრი ძაუგთან“ და სხვ. აი, ლექსები, რომლებიც მარეხს ეძღვნება.

მარტო მივდივარ, მარეხ, ძვირფასო,
გიგონებ, შორით გესათუთები.
გადახმა ჩვენი ტრფობის ძირ-ფესვი
და შემართულან ყელთან თითები...

მივდივარ მარტო და მტკიცედ მჯერა,
რომ ეს გზა შენთან არ შემახვედრებს;
ასეა, ალბათ, ბრმა ბედისწერა
და გულგრილობას ვერ დაგაყვედრებ.

ხოლო მეორე ლექსში „მწუხრი ყაზბეგში“ ვკითხულობთ:

ახლა ბინდდება, ისევ დავდექი
გზაზე და გხატავს ფიქრი უთქმელი,
როგორც მაყვალას სანდრო ყაზბეგი,
როგორც თინათინს დიდი რუსთველი.

ლექსებში „სხივი ეხში“, უსათაურო — „მთიდან მოვდივარ“, „ვეფხვი“ და სხვ. მოცემულია მზექალას ხოტბა, მისი სილამაზე და სახის ნათება.

მზექალ, შენც ჩემთვის ძუ ვეფხვი ხარ,
გინდ ამ გულს ჰკითხე,
თუ ვით თრთის იგი — შენი მსხვერპლი...

ზემოაღნიშნული ლექსები განსაკუთრებით იმითაა საყურადღებო, რომ მათში მრავალ პოეტურ შედარებას ვხვდებით. იმდენად საინტერესოა ზოგიერთი მათგანი, რომ არ შემიძლია გვერდი ავუარო მათ. აი, ისინიც:

ვარსკვლავებს ძოვდნენ ღრუბლის თეთრი ნიამორები,

ან:

მთვარეს ევახშმა და ვეფხვის ტანს მკვრივს და ზოლიანს
ვერცხლის სხივებით ეხვეოდა უცხო ზარნიშად.

ანდა:

დაოკებული, გამაძღარი, თვინიერ სახით
დგას ქედზე ვეფხვი, როგორც სფინქსი დაურეებული.

წეღან ღრანტეში ხეტებისას დატორა ტახი
და თბილ სისხლს ხარბად დაეწაფა აღმუვლებული...

დღისა და ღამის ცვალებადობა ბუნების წესია. ეს მარადიული მოვლენა ყველასათვის ცნობილია. გაბრიელ ჯაბუშანური ამ ცვალებადობას პოეტურად აღიქვამს, რაც გამოხატულია ლექსში „ბარათი მზისა“.

მაშრიყეთს ღამემ მოილოგინა
და შობა დილა ღაწვმეწამული,
ბავშვი უთუოდ არის გოგონა,
რადგან ვარდი აქვს პირზე წასმული.

ჯაბუშანურის ლექსი „ზეიმი მზისა“ უთუოდ მაღალი ღირსებითაა დაჯილდოებული... მასში, ისე როგორც პოეტის სხვა ლექსებში, შესანიშნავი მხატვრული სახეებია მოცემული. მოვიყვან ერთ სტროფს:

სალამი მნათობს! აი, ისიც მთის თხემზე დაჩნდა.
მოღუშულ წარბებს ფრთით უსწორებს ნიავი ანცი,
მზე — მოზეიმე ახალ ლხინის თამადად დაჯდა
და წითელ მწვერვალს მიაწოდა პირველი ყანწი.

ჯაბუშანურის პოეტური ქარგა მშობლიური ხევსურეთის ბუნების წიაღშია გაშლილი. აქ ტრიალებს პოეტის ამაყი სული, აქ ხვდება იგი პირისპირ მზეს, აქ საუბრობს მთვარესთან და ცადაწვდილ მთებთან. ეს ბუნებრივიცაა: მთებში შობილი მგოსნის სული ისევ მთებს უბრუნდება და იქვე პოულობს პოეტურ საზრდოს; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურეთის მთების ხატვით პოეტი იძლევა ზოგადქართული ბუნების კოლორიტს; ამდენად მის ლექსებში არცთუ ძალიან შეიმჩნევა კუთხური მოტივები.

„ჩრდილი და მზვარე“ გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსთა მომდევნო კრებულის სათაურია. მწყემსობისას განცდილი — ასე უწოდებს პირობითად პოეტი ამ კრებულში შესულ ლექსებს.

თუ რა მოტივები ამოძრავებს პოეტის სულს, ეს მისი წიგნის პირველივე გვერდებიდან ჩანს.

აი, მგოსანი ზის მუხის ქვეშ და მის ბედზე ფოთლებიც კი ბჭობენ. უეცრად მზემ ჩრდილი დაუახლოვა მწყემსს და ზედ გადაახურა, შორს ნახირი ძოვდა. ჩრდილში მოქცეული მგოსანი მუხას მიმართავს, რათა ფოთლები განზე გასწიოს — „ჩრდილს ნუ მაყენებ“...

„გათბობ“ პასუხობს მუხა და დასძენს:

მაინც არა მწყინს, თუმცა თავხედობ,
ესეც იცოდე, მზიან სამყაროს
ზოგჯერ ჩრდილიდან უნდა გახედო,
რომ უფრო მეტად ის შეიყვარო...

წიგნი პირობითად რამდენიმე ნაწილად იყოფა, რომელთა შორის ბევრი ლექსი ყურადღებას იქცევს თავისი პოეტური გაბედულებითა და კლასიკური სისადავით. სადაც არ უნდა იყოს პოეტი და სადაც არ უნდა ტრიალებდეს იგი, მისი პოეტური სამყარო ყოველთვის მთის სიყვარულით სუნთქავს. ეს სიყვარული სარჩულად უდევს ისეთ მარადიულ პრობლემებს, როგორიცაა სიბერისა და წარმავლობის, ტრფობისა და ეროტიზმის საკითხები. სულ სხვაა მთაში გაზრდილი პოეტი კაცის მიერ აღქმული მთის მშვენიერება, მისი განუმეორებელი კოლორიტი და ბუნება, მზე, ჩანჩქერები, წყაროები, ხევსურული ღრეობის სცენები, არაგვის გამაყრუებელი ხმაური...

ადე, ქედი დალახე, გადი მყუდრო ეხიდან
აგერ ერთი ხარლაღი ქარაფს გადმოეკიდა!
მიეპარე, დათოფე, გადმოაგდე ქიმიდან!
ჩქარა, თორემ მნათობი გორის ფხასთან მივიდა!

ან კიდევ:

მეოცნების ეს სული დაგმე! ჩქარა! ღამდება!..
ჯიხვი მოგცა!.. ესროლე! მადლი ჯიხვთა ქალღმერთსა!

წარმართული ხანის ილუზია მძაფრად იგრძნობა პოეტის ლექსში — „მზის დასაწევად", რომლის სიტყვიერი მარაგი უხვადაა გაჯერებული არქაიზმებით. მოვუსმინოთ თვით მგოსანს:

როს ოქროშუქნი, ანცად მარენი,
ზიიქცნენ მაღრიბს მოღიმარ ჩქერად, —
მზის დასაწევად დაეძარ მერანი, —
ღამეთა რემამ რომ შემაჯერა.
ბინდბანდში მიექრი, როგორც სამეში,
სადღაც ამოდის მანათი მანგის;
არა გრძნობს კლდე-ღრეს ლურჯა-თამამი
და ანთებს ნალთა ნაპერწკალთ მანძილს...
მიექრი და ვეცავ გზებს დაუკეცელს,
ყურს მხვდება რეკა მწუხრის ლოცვების,
კაცნი ტოვებენ ღამის სარეცელს
და მაცილებენ თვალგაოცებით.

ამ ლექსის ძირითადი მოტივია სინათლისაკენ ლტოლვა.

პოეტის დანიშნულებისადმი გ. ჯაბუშანურს რამდენიმე ლექსი აქვს მიძღვნილი. ჭეშმარიტი პოეტის ბედის საკითხს მგოსანი ფილოსოფიურად წყვეტს. აი, პოეტი არაგვისპირას გდია ქვიშაზე და წყურვილით ხახა უშრება, სხეული ეწვის.

და იგი უნებლიეთ სვამს კითხვას: ნუთუ ამ მდინარეს, რომელიც ასე წყალუხვია და მთა-ბარს ლეწავს, ერთი მუჭა წყალიც არ ემეტება. მდინარე ჯავრობს:

სვეა მგოსნისა: წყურვილი და ტანჯვა მარადი,
ეს რომ არ იყოს, ხომ პოეტიც არ იქნებოდი.

„პოეტის ნატვრაში“ ჯაბუშანური აღნიშნავს, რომ პოეტმა ნისლივით უნდა დალახოს შორი მთები და უდაბნოები და მერე ლექსის წვიმად მოვიდეს...

მოუსვენრობა, შებმა გრიგალთან, არავითარი სიმშვიდე და მყუდროება („გრიგალში“), სიბერის ელეგია („სიბერე“), სამყაროს უსასრულობის მტკივნეული განცდა, — აი ფიქრები, რომლებიც აწვალებენ პოეტს. მის „ხევსურულ ღრეობაში“ წმინდა ხევსურული კოლორიტი იგრძნობა, „დილის ჰიმნებში“ — სიბნელეზე მზის გამარჯვების მოწოდება, ხოლო ლექსში „სიმღერა არწივებზე“ — პატრიოტული გრძნობის, სინდისისა და მორალის ქადაგებაა გამოხატული. არწივის სახით ლექსში გამოყვანილია მტაცებელი ადამიანი, რომელიც ამავე შეგნებით ზრდის თავის მართვეს, თავის შვილს. და აი, ეს მართვეც თავის დროზე მტაცებელი გახდა, მოიტაცა ბატკანი, რის საზღაურადაც მკერდი ტყვიამ გაუხვრიტა.

ლექსის ამოსავალი წერტილია ვაჟკაცობის მაღალი გრძნობა, მტაცებლობა კი მდაბალი გრძნობაა და ვაჟკაცს არ ეკადრება...

პოეზია ბედნიერებაა, მაგრამ იგი უმძიმესი ტვირთიცაა. აკი თვით პოეტი წარმოთქვამს სინანულით:

მე პოეტობა სანუკვარი მადლი მეგონა
და ახლა მივხვდი: ის უღელი თურმე ყოფილა,
მარჯვე სტრიქონი ყოვლისმზომი ადლი მეგონა,
მაგრამ სამყარო მეტად ვრცელი თურმე ყოფილა.
პირველი ლექსი ამაღლება ჩემი მეგონა,
მცირე გორაკი მე მწვერვალის თხემი მეგონა,
უწვერულ ჭაბუკს ვაჟა ჩემზე მრწემი მეგონა,
ყრმობის ოცნება თვალუხელი თურმე ყოფილა...
მე პოეზია მოუმკელი ყანა მეგონა,
წვერი კალმისა მეტად მჭრელი დანა მეგონა,
მოძმისთვის მღერა ასე ძნელი განა მეგონა,
ტანჯვა მგოსნისგან განუყრელი თურმე ყოფილა!..

გაბრიელ ჯაბუშანური იმ ბედნიერ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც მტკიცედ დგანან მშობლიურ ნიადაგზე; იგი მსოფლიო მოვლენებს განაზოგადებს ქართველი კაცის თვალით და გონებით; ამიტომაა, რომ მის ლექსებში არ იგრძნობა უცხოელ პოეტთა გავლენა, მათი განწყობილებანი და ხასიათები. არა, პოეტს თავისი სამყარო აქვს, თავისი „მე“, თავისი პოეზია, რომელიც საერთოსაგან მოწყვეტილი კი არ არის, არამედ მისი შენაკადი და თანამდევია.

უზადო ლექსები, უხვი და მრავალფეროვანი მხატვრული სახეები გაბრიელ ჯაბუშანურს ნიჭიერ შემოქმედთა წინა რიგებში აყენებს.

ხუტა ბერულავა

არ მავიწყდება შენს მონა-მორჩილს,
რომ შენ ხარ ჩემი ყველაზე ტკბილი,
ყველაზე ძველი, ყველაზე ნორჩი,
ყველაზე უფრო ნანატრი შვილი.

თქვენ, ალბათ, გახსენდებათ ეს სტრიქონები პოეტ ხუტა ბერულავას ლექსიდან: „ეს ოცი წელი და გაოცება“, რომელიც მოთავსებულია წიგნში „ეს ოცი წელი“ (გამომცემლობა „ნაკადული“, 1963 წელი).

აღნიშნული კრებული ესაა თავმოყრა, შეჯამება პოეტის საუკეთესო ქმნილებებისა, მისი განვლილი გზისა.

წიგნი უნებურად გვაგონებს იმ გალერეას, სადაც მხატვარი თავისი ათეული წლების ნამუშევარს გამოიტანს სამსჯავროს წინაშე და, პირველ ყოვლისა, თვითონ შეაფასებს მას. და რაოდენ ბედნიერია ავტორი, როდესაც იგი პირადად გრძნობს საკუთარი შემოქმედების ძალას. ამ შემთხვევაში მისი შემოქმედება უკვე მარტო ავტორს აღარ ეკუთვნის...

„ყველაზე უფრო ნანატრი შვილი“, — აი ,როგორ მიმართა ხუტა ბერულავამ თავის ლექსს, თავის პოეზიას. და ეს არც გასაკვირია: „კარგი წიგნი ავტორისა — უკვდავი ბავშვია, რომელიც თავის მშობელს მარადიულ სიცოცხლეს ანიჭებს“, — აი, გასული საუკუნეების ბრძნული ნათქვამი.

მიშელ მონტენს მოჰყავს მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ სწირავდა კაცი ყველაფერს, რომ როგორმე თავისი წიგნი — ეს საყვარელი შვილი — მომავალ საუკუნეებში გასამგზავრებლად გადაერჩინა, გზა დაელოცა. მონტენი აქ ასახელებს III საუკუნის მეორე ნახევრის მწერალს ჰელიოდორეს. იგი ეპისკოპოსი იყო და ყველასათვის მოულოდნელად დაწერა რომანი — „ეთიოპიკა" — ქალ-ვაჟის ვნებიანი სიყვარულის თემაზე. ეკლესიის მსახურებმა ურჩიეს მას დაეწვა ეს წიგნი, წინააღმდეგ შემთხვევაში განდევნა ელოდა, მან გაძევების ხვედრი და სიღატაკე არჩია; ვერ გაიმეტა წიგნი, რომელმაც მას უკვდავება მიანიჭა...

ხელოვანი ადამიანი წლების განმავლობაში ისევე ზრდის თავის შემოქმედებას, როგორც დედა — შვილს. და რა წამს შვილი ჩამოყალიბდება დამოუკიდებელ პიროვნებად, იგი ტოვებს დედის კალთას, ტოვებს იმ ბუდეს, რომელშიაც დაფრთოვანდა და ამიერიდან იგი მარტო დედას აღარ ეკუთვნის: ის ხალხის და საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. ასევეა ხელოვანის და მისი შემოქმედების ბედიც...

ხუტა ბერულავა ათეული წლების განმავლობაში მტკიცედ მიაბიჯებს ქართულ პოეზიაში. კრიტიკის სასწორი მუდამ მის სასარგებლოდ იხრება. ამას განაპირობებს მისი ნიჭი, მისი პოეტური ტალანტი. თუმცა იგი იმავე ზემოთ დასახელებულ ლექსში ზომაზე მეტ თავმდაბლობას იჩენს და მკითხველის წინაშე საჯაროდ აცხადებს:

> რომ პოეზიის ცხრაკლიტულ კართან
> უგასაღებოდ ვარ ატუზული.

ისევ და ისევ ვეთანხმებით პოეტს, რომ კარგი წიგნი — ეს ნანატრი შვილია... ქართული პოეზიის კლასიკოსი დ. გურამიშვილი უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა; მაგრამ სამაგიეროდ გურამიშვილს დარჩა დიდი სულიერი მემკვიდრეობა, რომელიც მარადის აცოცხლებს მის სახელს ჩვენს პოეზიაში. თავის შესანიშნავ ლექსს — „დავითიანის გადამრჩენელი“ — პოეტი ხუტა ბერულავა უკეთებს ასეთ ეპიგრამას: „კრემენჩუგში მყოფ ქართველთა ელჩს, მირიან ბატონიშვილს, გურამიშვილმა თავისი წიგნი გამოატანა საქართველოში“... და შემდეგ წერს:

მას ეპატიოს, თუკი მოკვდავი
უკვდავებასთან იდგა მეფურად...
მასში იპოვა მხსნელი ვარსკვლავი
მშობლიურ მიწას მოშორებულმა.
და ჩააბარა, როგორც შვილს შვილი,
ის, რაც სიცოცხლის ნუგეშად დარჩა,
შიგ იყო კაცის დარდი, შიმშილი,
ოცნება, ფიქრი, იმედი, გარჯა...

რაოდენი სიყვარულის ღირსია ის ადამიანი, ვინც ეს განძი გადაურჩინა საქართველოს.

და... დავიწყებას მსურს გადაურჩეს
„დავითიანის“ გადამრჩენელი!

დაასკვნის პოეტი.

ძნელია ადამიანისათვის იდგეს პოეზიის სამსახურში... ლადო ასათიანის ლექსს, რომ „პოეტის გარდა ყველას ჰქონია დღე დასვენების“, პოეტი ხუტა ბერულავა უყოყმანოდ ეთანხმება და წერს:

არა მაქვს ძილი მყუდრო და მშვიდი,
რაც დაიბადე ჩემდა მტანჯველად.

ლექსი, პოეტის აზრით, ესაა ჩირაღდანი, რომლითაც შეიძლება სიმართლის მიტანა კაცის გულთან, ხოლო ეს რომ შეძლო, საჭიროა, პირველ ყოვლისა, იყო ხელოვანი, ხელოვანი, რომლის შესახებ ბელინსკი წერს: „ხელოვანი იბადება, და არავინ არ შეიძლება ხელოვანი გახდეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას განზრახვა აქვს ხელოვანი გახდეს“.

ლექსში — „წიგნის გამყიდველს“ — პოეტი ხუტა ბერულავა მიმართავს გამყიდველს: „დღეს, რომ თაროზე ჩემი ლურჯი წიგნები სხედან, ნეტავ, თუ ვინმეს აღელვებენ, ამბროსი ძია!“

ამ შეკითხვაზე ჩვენ უბრალოდ ვუპასუხებთ: ჭეშმარიტი პოეზია ყოველთვის აღელვებდა და აღელვებს ადამიანებს.

ხუტა ბერულავას ლექსთა კრებული ნათელყოფს, რომ პოეტი ეხება ისეთ თემებს, რაც საერთოა ყველა ადამიანისათვის, რაც ამაღელვებელი და პრობლემატურია, რაც წმინდა და მარადიულია. ჩვენ აქ ჩამოვთვლით რამდენიმე ლექსის სათაურს. ისინი თვითონ მიგვითითებენ თემებზე: „ოდა ბაგრატიონს“, „ჩემო მამულო“, „ცოტნე დადიანს“, „ვლადიმერ ლენინს“, უსათაურო — „მინდა შეგიმკო თმები გვირილით“, „კოლხური მელოდიები“ და სხვა.

აქ მოცემულია მთელი პირადული სამყარო.
აქ წარსული ერწყმის თანამედროვეობას.
აქ არის ლენინი...
აქ არის ყველაფერი საკაცობრიო...

„კოლხური მელოდიები“ ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსია პოეტის კრებულში და მიძღვნილია მშობლიური კოლხეთისადმი. რაოდენ ბევრის მთქმელია სიტყვა „კოლხეთი“. მის სახელთან დაკავშირებულია არაერთი ისტორიული მოვლენა, ბრძოლებით აღსავსე თავგადასავალი.

კოლხეთის წარსულის წიაღში ჩვენ ვეცნობით ლეგენდარული მეფეების — წათეს და გუბაზის სახელებს, ხოლო მათ გვერდით რომის კეისრის პომპეუსის ბრძოლებს.

ძველი საბერძნეთის ზღვაოსნებმა ფათერაკებით აღსავსე შორეული გზები მჭიდროდ დაუკავშირეს კოლხეთს. ბერძენთა საზღვაო მოგზაურობებში დიდი მოძალადეობაც იგრძნობა კოლხეთის მიმართ, მაგრამ თავის მხრივ იმავე ბერძნებმა ბრწყინვალე საისტორიო ცნობები დაგვიტოვეს ჩვენი სახელოვანი წინაპრების შესახებ.

კოლხეთი ბერძნებს წარმოედგინათ ზღაპრულ ქვეყანად, სადაც შეიძლებოდა ოქროს საწმისის მოპოვება და ამის გამო აწყობდნენ საზღვაო ლაშქრობებს...

ეს არის „სიმღერა ძველი“, რომელიც ჩაესმის პოეტს, ეს არის კოლხური მელოდიები.

ერთი სიტყვით, ეს არის ძველი კოლხეთი.

მაგრამ აქ არის დღევანდელი კოლხეთიც:

დილა არის თუ ღამის მწუხრია,
ადიდებს ვაჟკაცს და არა მონას.
შალამბერიძეს და სხულუხიას
მამულის ტრფობა მან შთააგონა.

კოლხურმა მელოდიებმა ასწავლა პოეტს უკვდავი სიტყვის ყადრი და დააფიცა რუსთველის ენა, „მე საქართველო

მან შემაყვარა“. მანვე შეაყვარა სამშობლო ჩვენს გმირებს ‘ალამბერიძეს და სხულუხიას.

და ადამიანს, რომელიც კოლხეთის მიწაზე დაბადებულა და რომელსაც თავისი კარიბჭის ზღურბლზე გადმოუბიჯებია, კოლხური მელოდიები თან წაყვებიან სულიერ საგზლად; წაყვებიან, როგორც კერიის სითბო, გმირთა ამოკვნესა და წინაპართა ძახილი...

და ყველაფერი ეს აძლევს საწყისს ადამიანის გმირობას, ძალას, გამბედაობას.

ისევ წარსული დროის სათაველებთან.

გესაუბრებით უსათაურო ლექსზე „ხევსური მელექსეებო“...

კითხულობთ ლექსს და გეჩვენებათ, რომ ლექსს კი არ კითხულობთ, ფანდურზე აწყობილ სიმღერას ისმენთ. ეს რვამარცვლიანი ლექსი თავიდან ბოლომდე ნაკადულივით მორაკრაკებს. ასეთ ლექსზე იტყვიან, ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილიო.

საქვეყნოდ ცნობილი ამბავია: ხევსურები, ისე როგორც მოხევეები და ფშავლები, ბრწყინვალე მელექსეები არიან. ამ მელექსეობას იქ კაფიობას ეძახიან და მსგავსი ფოლკლორული ჟანრი, არათუ საქართველოში, ვგონებ, დედამიწაზეც არ არსებობდეს, საერთოდ.

ძნელია გადაჭრით იმისი თქმა, თუ რა გარემოებამ შეუწყო ხელი ხევსურეთში კაფიობის განვითარებას. ამ მიზეზს ხუტა ბერულავა თავისებური პოეტური სახეებით ხსნის:

ამ ცის ქვეშ მეც რომ მამყოფა,
ზაფხულ და ზამთარ ერთიან,
იქნებ მექუხა ისეთი,
გეთქვათ: კაფიის ღმერთია!

ჰეშმარიტად, ზვიადმა სამყარომ უთუოდ ხელი შეუწყო ხევსურ მელექსეებს, გამოეჩინათ თავიანთი პოეტური ნიჭი.

თუ გადავხედავთ აკაკი შანიძის რედაქტორობით გამოცემულ ხევსურული ლექსის უამრავ ნიმუშებს, აგრეთვე სხვათა მიერ შეკრებილ ფოლკლორულ მასალას, ვნახავთ, რაოდენ ამოუწურავია ხევსურული ხალხური ლექსი.

მე თქვენი არა მიკვირს რა,
მელექსეებო ხევსურთა...

იქ სადაც იქმნებოდა ვეფხვის და მოყმის ლექსი, გასაკვირი, მართლაც, არაფერია...

უსათაურო ლექსი „შენი მზე და მთვარე, ლიახვი და მტკვარი“ თორმეტმარცვლიანია, თითო სტროფი ხუთი სტრიქონით, მოპირდაპირე რითმებით. ეს რითმოვნება ანიჭებს ამ ლექსს თავისებურ მუსიკალობას. იგი პოეზიის ღირსეული ნიმუშია. წაიკითხეთ და დამეთანხმებით.

აღნიშნული ლექსის გვერდით მინდა დავასახელო სასიმღეროდ ქცეული მეორე უსათაურო ლექსი — „მინდა შეგიმკო თმები გვირილით“. ეს არის ინტიმური ლირიკა, რომელსაც დიდი პრეტენზიები არ გააჩნია, იკითხება სადად, ძალიან სადად, მაგრამ შთამბეჭდავად.

ლექსში „საუბარი ახალ წელთან“ დასმულია წელთა სრბოლის და ასაკის პრობლემა:

გზა მშვიდობისა ძველს, მიმავალს... ხომ გული გწყდება,
რომ ერთი წელი მოემატა ჩვენს ხნოვანებას...

უსათაურო „მე მიყვარს, როცა გაშლილი ხელით“...

აქ პოეტური საუბარია რუსთველის გამზირზე, რომელზეც შეიძლება გაიაროს ადამიანმა თამამი აზრით; აქ მიდის

ხალხის ტალღა, მიდიან გოგონები, ახალგაზრდები, მოხუცები და რაც მთავარია:

ამაღლებული და ბედნიერი
მიდის თბილისი, როგორც მდინარე.

დაბოლოს, ხუტა ბერულავა მიმართავს პოეტს:

შენს ხმას ზარივით გააქვს წკრიალი
და ჩვენი ხალხის ნამდვილ ოქროპირს
ისევ წინა გაქვს ჟამი ბრწყინვალე
წვის, შთაგონების და ბობოქრობის.
შენ კვლავ აიღებ ახალ მწვერვალებს,
გვახარებ ფიქრთა ათას ვარდობას...
მაშ გაუმარჯოს შენს ჩანგს მღელვარეს
და შენი ლექსის ახალგაზრდობას!..

ლექსი „ვლადიმერ ლენინს“ ეს არის შესანიშნავი ოდა დიდი ბელადისადმი.

ადამიანი როდესაც კვდება,
ორი თარიღი დარჩება საფლავს:
ერთი აღნიშნავს მის დაბადებას,
მეორე — მისი სიკვდილის ამბავს.

. .

შენ კი... სიცოცხლის დიად თავდებად
ერთი თარიღი გარგუნა ბედმა.

შესანიშნავია პოეტის ლექსები: „ოდა ბაგრატიონს“, „ცოტნე დადიანს“, უსათაუროები — „ჩემი ბავშვობა, ხომ იცი“..., „ჩუმად ჩნდებიან შუბლზე შრეები“, „ნანული“, „ლენტეხელ ამხანაგებს“ და სხვ.

„ცოტნე დადიანს“... ცოტნე დადიანი საქართველოს გმირთაგმირებს შორის იხსენიება, როგორც უმამაცესი ადამიანი

და უდიდესი მამულიშვილი. ლეგენდად შემორჩენილი მისი თავდადება უკვე საუკუნეების მანძილზე სიმამაცის არნახულ მაგალითად რჩება.

თორმეტმარცვლიანი ლექსით და ჯვარედინი რითმებითაა შესრულებული ოდა ცოტნე დადიანისა. წერის ჩვეულებრივი კლასიკური სტილია, მაგრამ ეს არაა მთავარი. აქ მთავარია აზრი, კოლორიტი და ფსიქოლოგიური პორტრეტი, რომელიც პოეტმა წარმოგვიდგინა.

პოეტი ხუტა ბერულავა უხმობს ცოტნე დადიანის ყველა მემატიანეს და სთხოვს მათ:

> თქვას თვითეულმა, როგორც მოწმემ ალალმართალმა,
> რაც პერგამენტის კაბადონზე არ ჩაეტია, —
> როგორ დაიწყო, როგორ დამთავრდა
> მისი სიცოცხლე, ამაღლება და ტრაგედია.

შესანიშნავი ლირიკული სტროფია, რომელიც უხვადაა აზრით დატვირთული.

ორი გვირგვინი ქართული პოეზიისა — ვაჟა და ილია; ორი ლექსი მათდამი მიძღვნილი: „ილიას სურათთან“ და „დედაო მიწავ“. ილია ჭავჭავაძე — ბანკის მმართველი, რედაქტორი, პუბლიცისტი, დრამატურგი, პოეტი, მწერალი, ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე.

> ასეთი იყავ! ასეთი მიდგას
> მე თვალწინ შენი წმინდა სურათი,
> ასე ებრძოდი ცხოვრების იგავს
> ყვარლის მთებიდან წიწამურამდი...

ვაჟა-ფშაველა—გლეხი, მონადირე, მხვნელ-მთესველი, პოეტი-მეფე. თურმე შიმშილს და დახეულ ჩოხას არ შეუძლია

შელახოს გენიოსის ბედი და მომავალი; აი, ასეთი აზრი შეიძლება გამოვიტანოთ ხუტა ბერულავას ამ ლექსიდან.

მაგრამ სიმაღლეს, გასაოცარ სიმაღლეს მისას
თვით შურის თვალიც ვერ შეწვდება, ვერ შეეხება...

ილია და ვაჟა დღეს თვითონ გადაქცეულან შემოქმედთა შთაგონების წყაროდ, ისინი დღემდე რჩებიან ქართული მწერლობის ქვაკუთხედად.

ერთი შეხედვით „მჭედლის სიკვდილი" ბალადას მოგვაგონებს, თუმცა იგი არც წმინდა ლირიკული ლექსია. რაღაც გარდამავალი ფორმაა პოეზიის ამ ორ სახეს შორის. იგი მოთქმაა მოხუცი მჭედლის სიკვდილისა. მსგავსი განცდა თითქმის ყველა ადამიანს უგრძვნია ცხოვრებაში.

ჩვენ თვალწინ იკარგებიან ჩვენთვის მარად საყვარელი ადამიანები, ჩვენი ვალმოხდილი მოხუცები — ბებიები და ბაბუები. ამ სურათს პოეტი ასეთი ფერებით გადმოგვცემს:

შეხედა ასულს და წყურვილი დაიცხრო ამით,
ერთგულ მეუღლეს დაუმალა ცრემლების ნამი.
შეხედა ტკბილთა შვილიშვილთა და... ვით სანთლები,
ჩაჰქრნენ თვალები, შემკრთალნი და ღამენათევნი.

„ეს ჩემი ლექსი, როგორც სანთელი" — ოდაა ანთიმოზ ივერიელისა, ამ დიდი მამულიშვილისა და მოღვაწისა. მის სახელთან მარად განუყოფელია ქართული ეროვნული მწერლობის განვითარების, ქართული სტამბის შექმნისა და დაარსების საქმე ჩვენში.

მან გაახარა მეფე ქართველთა,
შენც ეახტანგივით ხარობდი, ალბათ,
როცა თბილისის ცაზე გათენდა
და დაიბადა ქართული სტამბა.

. . . .

დაე მშობლიურ მთებზე, ველებზე
ჩირაღდანივით აგზიოს ხალხმა!

ანთიმოზ ივერიელი იმ დიდ მოღვაწეთა რიგში დგას, რომლებიც ემსახურებოდნენ საზღვარგარეთ დაარსებული ქართული ტაძრების ცხოვრებას, კულტურის ცენტრებს, მაგრამ სამშობლოსთან განუწყვეტელი კავშირი ჰქონდათ და მათ ნაღვაწს საქართველოს სიყვარული და მოგონება ასულდგმულებდა.

საერთოდ ხუტა ბერულავას პოეზიაში მკითხველი უხვად შეხვდება პოეტის მიერ შექმნილ ოდებს — მიძღვნილს ვამოჩენილი ქართველი მამულიშვილებისადმი. აღნიშნული ოდები იგივე ფერწერული პორტრეტებია.

მაგრამ, როგორც ფერწერაში, ასევე ლექსშიაც რთულია ადამიანის პორტრეტის შექმნა, რადგან საჭიროა ხედვა, ხედვა, რომ უფრო კარგად აღვიქვათ ჩვენს მიერ შერჩეული ობიექტის სულიერი სამყარო. ამ მხრივ პოეტ ხუტა ბერულავას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ნამდვილი მხატვარი. ამას ადასტურებს ისეთი პორტრეტები, როგორიცაა: „ვლადიმერ ლენინი“, „ოდა ბაგრატიონს“, „ცოტნე დადიანი“, „ილიას სურათთან“, „დედაო მიწავ“, „მხოლოდ თაყვანი, მშობელო ხალხო“, „ადამ მიცკევიჩის ძეგლთან“, „პაპაჩემის სილუეტი“, „ორი ძეგლი“, „შენც, მეგობარო“...

არა სიკვდილი, უკვდავება მოვიდა მაშინ,
როცა სიცივემ მის გულშიაც დაისადგურა,
დაუცხრომელი მღელვარება შეგეტყო ხმაში
და ამ ცასავით იდუმალი დარდი გარგუნა...

...არა წასვლისა, უკვდავების რეკდეს ზარები,
იგი აქ რჩება, ამ ტაძრის და სიცოცხლის ახლო...
მხოლოდ თაყვანი და სიჩუმე სევდანარევი,
მხოლოდ სიჩუმე და თაყვანი, მშობელო ხალხო!

ლექსიდან — „მხოლოდ თაყვანი, მშობელო ხალხო!“. აი, პოეტური პორტრეტის, პოეტური ფერწერის შესანიშნავი ნიმუში. ამ პორტრეტში სადად, მაგრამ დამაჯერებლად გახსნილია აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახე.

აი ჩვენ საინგილოში მივდივართ... ვუახლოვდებით კაკლების ცნობილ ხეივანს, ამ საუკუნოვანი ხეების ჩრდილებს. ვუახლოვდებით და ვგრძნობთ ხავსის სუნს, სიძველეს და, რაც მთავარია, იმ დიდ სიამაყეს, რომელსაც მემკვიდრეობა, ანუ შთამომავლობაზე ფიქრი შეიძლება ვუწოდოთ.

კახეთში არსებობს გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ გაშენდა ეს კაკლის ხეივანი. მოვუსმინოთ მწერალ იოსებ პავლიაშვილის მონათხრობს, რომელიც მას პაპისაგან სმენია: ადრე ის ადგილები, სადაც დღეს საინგილოსკენ მიმავალ გზაზე ცნობილი კაკლის ხეივანია გაშენებული, კახელი მებატონის ჩოლოყაშვილის საკუთრება ყოფილა. მას გლეხებისათვის დაუვალებია, რომ თითოეულ მათგანს გზის გაყოლებით რვაათი ძირი კაკლის ხე დაერგო და მოევლო. გასამრჯელოსაც დაპირებია. გლეხებს დავალება შეუსრულებიათ და მერე ფულის სათხოვნელად მისულან თავის მებატონესთან, მაგრამ მას უარით გამოუსტუმრებია: ჯერ დაიცადეთ, როცა კაკლის ნერგები გაიხარებენ, ფულზე მაშინ ვილაპარაკოთო.

განულა წლები. დაზრდილან ხეები, მაგრამ... გლეხებს გასამრჯელო ვერ მიუღიათ. აი ასე გაშენებულა კაკლის ზღაპრული ხეივანი საინგილოსკენ მიმავალ გზაზე.

სწორედ ამ ხეივნის გამშენებელი მშრომელი ადამიანის მარჯვენის თაყვანისცემა და დიდებაა გამოხატული ხუტა ბერულავას ლექსში „საინგილოსკენ“:

ძმებო, ხეებო, თქვენი ვალია,
არ დაიკარგოს ამაგი მისი,
ვინც თქვენზე ზრუნვას დღე შეალია
ღა თქვენი ჩრდილის ვერ გახდა ღირსი...
...და განა რამე თავისთვის სურდა?
თავს გევლებოდათ, როგორც მშობელი,
რომ ყველა გამვლელს ჰქონოდა მუდამ
სილამაზე და საჩრდილობელი.

ლექსი „საინგილოში“... დადის პოეტი ამ უძველეს ქართულ მიწაზე, ამ უძველეს ქართველებს შორის და გრძნობს, რომ არსად არ შეიძლება იყოს უფრო ლამაზი მთები და ვენახები: „მეგონა იყო ერთი მტკაველი და მერე როგორ ვცდებოდი თურმე“, ამბობს პოეტი და ბოლოს უდიდესი ტკივილით ამთავრებს:

წარსული... არა, მიჯობს დუმილი,
თორემ ვგრძნობ ტკივილს განუკურნებელს,
მე ვდგავარ კლდეზე მიჯაჭვულივით
და გადავცქერი საუკუნეებს.

საინგილოს ლექსთა ციკლს ეკუთვნის „ორი დობილი“. იგი პირად განცდათა თუ შთაბეჭდილებათა გამოვლენაა.

ისევ ისტორიის წიაღში გასეირნება:

აქ საუკუნეთა შფოთავენ ქარები
და ქართულ ნაყალმარს ფერი ვერ მოსტაცეს.
ისე ვით შევაღო ვარძიის კარები,
შენდობა არ ვუთხრა იმ ქართველ ოსტატებს.

ბუნებრივია ეს აღტაცება, ეს სინანული, რაც ამ ლექსშია თქმული. ვარძია მსოფლიო ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო ნახუროთმოძღვრევია, რომლის მშენებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული თამარ მეფის მამის გიორგი მესამის და თვით თამარის სახელთან.

1283 წლის მიწისძვრამ, სხვა დიდებულ ძეგლებთან ერთად, დაანგრია ვარძიის ქვაბები, უნებურად გვახსენდება მ. ილინის სიტყვები წიგნიდან — „რომელი საათია“: „არც ერთი ნივთი ქვეყნიერებაზე არ რჩება უცვლელი. წლიდან წლამდე, საუკუნიდან საუკუნემდე ნივთები იცვლიან ფორმას, ხან უფრო დიდი ხდებიან, ხან პატარა, ხან რთული, ხან მარტივი. ყოველ წვრილმანს თავისი საკუთარი ისტორია აქვს“.

აღნიშნული სიტყვები ვარძიის ქვაბებზეც შეიძლება გავიმეოროთ. მართლაც, რა იყვნენ ეს ქვაბები თამარის დროს და როგორ სანახევროდ ჩამონგრეულან დღეს. და იმ ქვასაც კი, რომელიც ახლა მტკვრის ნაპირზე აგდია ზევიდან მოხეთქილი, აქვს თავისი ისტორია, რომელსაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რომელსაც სჭირდება ჩვენი თანაგრძნობა...

ხუტა ბერულავას წიგნის მომდევნო ლექსები: „ასი წლის შემდეგ“, „იყო და არა იყო რა“ და „პაპაჩემის სილუეტი“ — ეხებიან სიცოცხლის წარმავლობის დიდ და ურთულეს საკითხს, რომელიც მუდამ აფიქრებდა კაცობრიობას.

ხუტა ბერულავას ლექსები „ჩემო მამულო!“, „ასე სრულიად საქართველოში“ და სხვ. სამშობლოს ძლიერებას ეძღვნება.

ხუტა ბერულავას არაერთი ნაწარმოები ხალხთა შორის შეგობრობის იდეით არის გამსჭვალული.

აი, პოეტი ადამ მიცკევიჩის ძეგლთანაა:

მომიტანია სიყვარული ქვეყნისოდენა,
ვთბები შენი და მიწის შენის სიახლოვეთი,
მე პოეტი ვარ, მაპატიოს თვითონ შოპენმა, —
ყველაზე უწინ შენთან მოვედი!

ჩვენი სამშობლოს ძლიერების წყაროა ერთა სიმრავლე და სიყვარულის უძლეველი კავშირი ამ ერებს შორის. ამ კავშირმა გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა თეთრგვარდიელთა შემოსევისა და მეორე მსოფლიო ომის დროს; ხოლო ახლა, როცა მსოფლიო ორ მოწინააღმდეგე ბანაკადაა გაყოფილი, ყველაზე უფრო გვჭირდება მშვიდობა, როგორც უკვდავი იარაღი კაცობრიობის ბედის გადასარჩენად.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას უძღვნის ხუტა ბერულავა ლექსს „რუსეთის პოეტებს“:

ერთნაირ გვიყვარს ჩაფიქრება სამშობლოს ბედზე,
ვიწვით ერთნაირ აღმაფრენით, წმინდა სურვილით,
თვითეულ სიტყვას, როგორც ოქროს, ჩვენს მკერდში ვეძებთ,
რომ ხალხს მშობლიურს შევთავაზოთ სიყვარულივით!..

...კურთხეულ იყოს ეს შეხვედრა ლექსის და მგოსნის!
უკვდავი იყოს ჩვენი ძმობის ფუძე და ფესვი!
მიიღეთ, როგორც ხშირად ვამბობთ სადღეგრძელოში,
ეს დიდი გრძნობით ანთებული პატარა ლექსი...

დასასრულ ორი ლირიკული ნიმუშის შესახებ. ესენია: „თეთრი ლექსი“ და „ამბავი თბილისის დაბადებისა“. პირველი მათგანი ურითმო, ათმარცვლიანი ლექსია და შედგება ხუთი ქვეგანყოფილებისაგან. ამ ლექსის უმთავრესი თემაა ფიქრი და ადამიანი; ადამიანი — ჯანსაღი, მომაკვდავი, ქალიშვილი, ახალგაზრდა და ბოლოს — „სულნი წასულნი“.

ადამიანი ჯანსაღი... იგი „ეჩურჩულება შუქიან სარკმელს“.

ცხოვრობს კი არა, კაშკაშებს თითქოს
განთიადიდან განთიადამდე...
...მისთვის არსებობს მხოლოდ მწვერვალი
და მხოლოდ სიტყვა თავაწყვეტილი.
ჯადოქარივით ქსოვს, ძერწავს, ხატავს
ცისა და მიწის ელვარე ფერებს.

და ერთ მშვენიერ დღეს იგი სამუდამოდ დაემშვიდობა „მეუღლეს, შვილთა და ძმათა". იყო და აღარ არის ადამიანი, მაგრამ იმედად მისდა დარჩა ქალიშვილი პირიმზე და „ჭაბუკი მკვირცხლი". პირიმზისა და მკვირცხლი ჭაბუკის სახით პოეტი გამოხატავს ადამიანის უკვდავებას, რომელსაც შთამომავლობის სახით წარმოგვიდგენს.

მეხუთე ქვეგანყოფილებაში პოეტი მოუხმობს წასულთა სახეებს, ვინც დაიფერფლა სამშობლოსათვის...

ბოლოს და ბოლოს მაინც რა სურდა ეთქვა პოეტს?

მე მსურდა მეთქვა ეს ძნელი სიტყვა,
როგორც სიცოცხლის საგალობელი.

„ამბავი თბილისის დაბადებისა"... თბილისის დაარსების ლეგენდა საუკუნეების წიაღიდან მოვიდა ჩვენამდე, რომელმაც გაიარა ათასობით მხატვრის, ათასობით მწერლის და პოეტის ხელში.

პოეტ ხუტა ბერულავას მიზანი არ ყოფილა, რომ ცნობილ ლეგენდაში რაიმე ახალი დეტალი აღმოეჩინა. ის, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი, თავის მოვალეობად თვლის, რომ ამ დიდ ლეგენდას სიხარული შეურითმოს და აღფრთოვანების სურვილი შეუერთოს. ლექსის ბოლო სტრიქონებს ჩვენ მივყავართ თბილისის ქუჩებამდე. თბილისი პოეტის ხოტბის საგანია:

მე მხოლოდ ისღა მწყურია,
სულ მისი ზეცა მხურავდეს
და ფიქრებს ვეუბნებოდე
სიცოცხლის დასასრულამდე.
მე მხოლოდ ისღა მწყურია,
როგორც გუგუნი მთებისა,
ისმოდეს ქვეყნად ამბავი
თბილისის დაბადებისა!..

თავის ლექსებში ხუტა ბერულავა არ ღალატობს ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულ წერის კლასიკურ სტილს. წერს ძირითადად ათმარცვლიანი ლექსით და ჯვარედინი რითმებით, ხოლო შიგადაშიგ იყენებს რვა, თორმეტ და თოთხმეტმარცვლიან ლექსსაც.

პოეტის წიგნში ვერ შეხვდებით ბუნდოვან აზრებს. მისი მსჯელობა ნათელია და გასაგები. ლექსი ხელოვნებას, შემოქმედებას ეკუთვნის, რომელიც თავის მხრივ კაცობრიობის სამსახურში დგას. შემოქმედის დანიშნულების შესახებ ჰემინგუეი წერდა: „იმისგან, რაც ნამდვილად მოხდა, რაც სინამდვილეში არსებობს, რაც იცი ან რაც არ შეიძლება იცოდე... ყველა ამისაგან შენივე ფანტაზიით ქმნი... რაღაც ახალს, ყოველგვარ არსებულზე უფრო ჭეშმარიტს, და მას სიცოცხლეს ანიჭებ. თუ კარგად გაართვი თავი საქმეს, უკვდავებაც ხელთა გაქვს. აი რისთვის წერ, სხვა მიზეზი მე არ ვიცი“...

მართლაც, საკუთარმა ლექსმა ხუტა ბერულავას სახელი უკვე დიდი ხანია ჩაწერა საქართველოს შემოქმედთა და მამულიშვილთა შორის.

ანა კალანდაძის ლირიკა

ანა კალანდაძე ჭეშმარიტად ქართული პოეზიის დედოფალია!

ამ ოციოდე წლის წინ პირველად დაიბეჭდა პოეტის ლექსები, რომელთაც უმალვე ღირსეული ადგილი დაიკავეს. იმდენად მნიშვნელოვანი იყო ანა კალანდაძის მოსვლა ქართულ მწერლობაში, რომ მისმა თაყვანისმცემლებმა უმალვე კერპად გაიხადეს პოეტი ქალის სახელი: მას მიეძღვნა უამრავი ლექსი, სიყვარულით გამთბარი პირადი ბარათები, წერილები... ანა კალანდაძის ლექსებზე შეიქმნა სიმღერები.

პოეტის ლექსები ძალზე სათუთი და ჰაეროვანია, მაგრამ ამ უნაზესი ლექსების გვერდით ჩვენ ვკითხულობთ ყარაჩოღელის ამბოხებული სულით სავსე სტრიქონებს; ვკითხულობთ ლექსებს, სადაც საფლავებით გამოწვეული მისტიკა იგრძნობა; სადაც მიაბიჯებს ჰიქმეთი, რომელმაც ხელები შეუკრა ომს.

ანა კალანდაძე სიყვარულით ხატავს ლენინს და ხედავს მის სახეს ვარშავის, ბერლინის, სოფიის და პეკინის თაღებქვეშ. იგი დასტირის ზოია კოსმოდემიანსკაიას წამებით და-

კარგულ სიცოცხლეს და კავკასიის ქედებთან ტყვიით დაცხრილულ მეომრის სისხლიან მკერდს, ხოლო იულიუს ფუჩიკში ხედავს გმირს, რომელსაც შეუძლია ფეხშიშველმა გაიაროს გავარვარებულ შანთებზე და მაინც სამშობლო ამჯობინოს შავ სვასტიკას.

მოხსენით ა. კალანდაძის პოეზიას ლექსის სამოსელი და თქვენ დაგრჩებათ სული ამ ნიჭიერი პოეტისა... მისი ლექსების სტრიქონებში ჩვენ გვესმის ტროადის ომში მიმავალ ქართველ ტომთა — ხალიბთა და ჰალიძონთა ფარ-შუბით ატეხილი გამაყრუებელი ხმაური და ვხედავთ ვარძიის ნანგრევებს, როგორც რუდიმენტს ურარტუს ბრწყინვალე ქალაქთა.

ა. კალანდაძის ლექსები გვანან მარადმწვანე როზმარინის თაიგულს, რომელსაც არასოდეს უხუნდება პალიტრა. ჭეშმარიტად უყვართ ჩვენი პოეზიის დედოფალი ქართველ მკითხველებს, ხოლო, როგორც თაგორი ამბობდა, სიყვარული — სიცოცხლეა პირამდე ავსილი...

ანა კალანდაძის შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, ეხმაურება თანამედროვეობას. ამ თანამედროვეობაში პოეტს ყველაზე მეტად აფიქრებს მშვიდობის საკითხი, რადგან მას კარგად ახსოვს სამამულო ომი, ახსოვს, რა არის მყუდრო ძილი, შავ ჩარჩოში ჩასმული სურათის ფასი და ომიდან ახლად დაბრუნებული ხეიბრის მოურჩენელი ტკივილი.

ჯერ კიდევ 1950 წელს დაწერილ ლექსში „თავისუფალ ჰიქმეთს“ იგი ასე მიმართავს ნაზიმს:

ვიეტნამში ჩვენსავ სისხლსა ღვრიან,
კორეაში ჩვენივ გული კვნესის...
მაშ, რამდენიც ანთებული ტყვია,
იმდენივე ანთებული ლექსით
გავყვეთ ცეცხლში მებრძოლ ვიეტნამელს.

ამ ლექსის დაწერის შემდეგ გავიდა წლები და მოყვანილ სტრიქონებს მაინც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. დღეს ვიეტნამში ისევ ბრძოლაა, ისევ სისხლისღვრაა, და როგორც ერთი სახელმწიფო მოღვაწე ამბობდა, ეს ბრძოლა შეიძლება პროლოგი გახდეს მესამე მსოფლიო ომისა; ხოლო მესამე მსოფლიო ომი ხუმრობა ნურავის ეგონება: ისმება საკითხი ადამიანთა მოდგმის ყოფნა-არყოფნისა...

ანა კალანდაძე იგონებს, თუ როგორ ვჩეხდით წარსულში დუშმანს და როგორ ვასროლინეთ კუდით ქვა. „ჩვენი ხმლის ქვეშ მტერს არ გაეთენების, კარში გამო, ჭია-ჭია მარია“, — ამბობს პოეტი ქალი.

ა. კალანდაძის ლექსი „საქართველოო ლამაზო“ ნამდვილად ხალხურ საუნჯედ იქცა. რომ არაფერი დაეწერა მას ამ ორი ლექსის გარდა, როგორიცაა „საქართველოო ლამაზო“ და „ამ სურით სვამენ“, მისი სახელი ისევე სიყვარულით იქნებოდა მოსილი, როგორც დღეს.

ციტატი „სხვა საქართველო სად არი?“ პოეტს აღებული აქვს გრ. ორბელიანის ცნობილი ლექსიდან. იყენებს რა სარჩულად ამ სიტყვებს, მის ფონზე ქარგავს საქართველოს, რომელიც თვლებით მოოჭვილ ხალს მოგვაგონებს:

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეპვებით ნაავადარი,
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?“
ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა არცა რისი სადარი...

მთვარე რომ ამობრწყინდება,
ღული გაფრენად მზად არი...
დიდება, შენდა დიდება,
„სხვა საქართველო სად არი?“

ანა კალანდაძე ღრმა გრძნობის და ფიქრის პოეტია. ეს ჩანს მის თითოეულ ლექსში, მის ყოველ სტრიქონში, „შთამბერე, ქარო, ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა“.

და ეს ძლიერი გრძნობა უშუალოდ საქართველოს სიყვარულიდან მოედინება... პოეტი არა მარტო დიდებს, თვით პატარა ვიოლასაც ამ სიყვარულზე მიუთითებს: „გიყვარდეს მარად შენი ენა, შენი ქვეყანა“.

„რა უფრო მომწონს“ საბავშვო ლექსის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს ლექსი ისე თბილია, ისე ნაზი და სათუთია, როგორც არაბული ხალი. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენამ“ მილიონობით მამულიშვილი გამოზარდა. ეს წიგნი ცოდნის და სიყვარულის ნიშანსვეტივით არის აღმართული ქართული მეცნიერების ტაძარში.

ფუნთუშა ლოყებს დაუგზნიათ ჭიაკოკონა,
ვარდო გაშლილო დედის ლხენაში!
„დედა ენაში“
რამ მოგხიბლა, ჩემო გოგონავ,
კურდღლის ბაჭიამ, თუ ჩიტების სტვენამ ვენახში?

ანა კალანდაძე პოეზიისათვის არის დაბადებული, ლექსი მას ყველაფერს ურჩევნია, რადგან მან იცის, რომ იგი სულის ჭრილობის მალამოა, რომელიც კურნავს ამ უხილავ იარებს.

ჯერ კიდევ ადრე „ნიკომახის ეთიკაში“ არისტოტელე ამ-

ბობდა, რომ ყველა შემოქმედთა შორის პოეტებს ყველაზე მეტად უყვართ თავიანთი ქმნილებები.

ანა კალანდაძე სათუთად ეჭცევა თავისი ლექსის ყოველ სიტყვას და ეს წითელი ზოლივით გასდევს მთელ მის პოეზიას. ანას არ შეუძლია სიცოცხლე ლექსის გარეშე. ლექსის გულისთვის იგი დათმობს ყველაფერს. ჭეშმარიტი პოეტი ასეთია მუდამ. ისტორიაში ცნობილია ასეთი ფაქტი: სახელოვან პოეტს მარკანეი ლუკანს ნერონმა სიკვდილი მიუსაჯა. პოეტმა ვენები გადაიჭრა და შემდეგ დაიწყო თავისი პოემა „ფარსანალის“ კითხვა, რომელიც მას სიკვდილმა შეაწყვეტინა.

ანა კალანდაძეც ლექსით ცოცხლობს, რომელიც საშუალებას აძლევს ესაუბროს ომარ ხაიამს, ქარის ფრთებით გადაუაროს ლაჰილს და ლამარიას ეკლესიაში უყუროს წმინდა ათანასეს ფრესკას, ხოლო ლაგურკასთან გავლისას ისმინოს ძველი სვანური საგალობელი.

ანა კალანდაძე თავის თავს სთვლის სტვირად, რითაც შეუძლია უმღეროს ველებს, სადაც მას უპოვნია ვანი სულისა:

ხმით საამურით მპყრობი გულთა
ვუმღერი ველებს...
ატირებული მპყრობელი ვარ
შენი გულისაც...
იალაღებით მობერილ ვარ
სიყვარულისად...
მხოლოდ შენს გულში მიპოვნია
ვანი სულისად...

ანა ზის ოთახში ღია სარკმელთან. სახლის წინ დგას თუთა, რომელიც ოთახში აპირებს შემოსვლას, რათა პოეტ ქალს წელზე შემოხვიოს ხელი.

პოეტური ხედვის ასეთი მრავალფეროვნება ჩვეულებრივი ამბავია ანა კალანდაძის შემოქმედებისათვის.

მისი ლექსების უმრავლესობა წყაროსთვალივით მოედინება. კითხულობთ და გრძნობთ სანთელივით ჩამოქნილ პოეტურ ჰარმონიას, რომელიც ჰარმონიულადვე გადმოდის ჩვენში და დაჭიმული სიმებივით არხევს ჩვენს თითოეულ ნერვს.

ჯეჯილში ჩაიშრიალა თვალგახელილმა ყანამა,
მთით მობერილმა ნიავმა, ნარგიზის იავნანამა.

თავისი პოეზიით ანა კალანდაძე ორგანულ კავშირშია დღევანდელ ცხოვრებასთან და სრულებით არ გრძნობს ეფემერულ სიმარტოვეს. სწორედ ამ ცხოვრებამ აზიარა ნიჭიერი ქალი პოეტის საპატიო სახელს.

როდესაც ვკითხულობთ ლექსს „დამლოცეთ, ძმებო!“ ჩვენ ნათლად ვხედავთ პატარა, მყუდრო სოფელს და ვგრძნობთ კერიიდან ასულ კვამლის და მჭადის სუნს, გვესმის ძაღლების ღავღავი, მამლების ყივილი. ეს არის სურათი, რომელიც ამშვიდებს ადამიანს; ეს არის კუთხე, სადაც ტრიალებს ქართული სული, მაგრამ ეს სრულებითაც არ არის ქალაქიდან გაქცევა და სოფლის იდილიისათვის თავის შეფარება.

აკაციის ტევრი...
წნელის სუსტი ღობე...
ქუდმოხდილი ქვევრი...
ღვინიანი კოპე.
აქ — მზით დამწვარ ხელში
ღვინიანი ჭიქა...
იქ — ცარიელ ქვევრში
დამწყვდეული ჭინკა...

ამ უწყინარ სურათს იგი უმატებს სოფელში კალანდის შემოსვლას და ამით ავსებს საერთო შთაბეჭდილებას.

თავის ლექსებში ანა კალანდაძე უმღერის მშობლიურ საქართველოს, მის ცას და მიწას, მზეს და ჰაერს.

> მე ავმაღლდები შენს ლურჯ ცაზე, შენთვის ვიბრწყინებ,
> აღვინთები და დავშრტები შენდა!

ანა კალანდაძე ჩვეულებრივ ტრადიციას არ ღალატობს და ლექსში შემოაქვს მშობელი დედის სახე:

> შენ გაგითეთრდა თმები მას უკან
> და ძვირფას კაბას ერთი ღერო შერჩა სუსამბრის.

შესანიშნავია ანა კალანდაძის ომარ ხაიამისადმი მიძღვნილი ლექსი, რომლის ეპიგრამად პოეტს გამოყენებული აქვს ნიზამის სიტყვები: „ომარ ხაიამს ბუხარაში ყოფნის დროს ეთქვა: ჩემი სამარე იქ უნდა იყოს, სადაც ხეები ყოველ წელიწადს ყვავილებსა და ფოთლებს გულზე დამაყრიანო. მე ვინახულე ხაიამის სამარე ნიშაბურში. იგი მართლაც ფოთლებითა და ბალახით იყო დაფარული; მაშინ მომაგონდა ხაიამის სიტყვები და ტირილი დავიწყე“.

ეს სიტყვები დაწერილია რამდენიმე საუკუნის წინ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და არავინ იცის, არის თუ არა კიდევ ომარ ხაიამის საფლავი ან აყრია თუ არა გულზე ყვავილები და ფოთლები ისე, როგორც ის ნატრობდა.

ანა კალანდაძემ სწორედ გახსნა ამბოხებული სულის მქონე ხაიამის სამყარო, რომელიც მისტირის კაცის სიცოცხლის წარმავლობას და არარაობას. ეს გაგება პოეტმა ქალმა მოგვცა თავის უბრწყინვალეს ლექსში — „ამ სურით სვამენ“.

თუ დავიხრჩვები, ღვინომ დამახრჩოს,
ვგავდე ყაყაჩოს სათის ხალიანს,
ძლივს მობარბაცებს მთვრალი ყაყაჩო,
ომარ ხაიამ!
გული თელილი ბედის ფლოქვებით
მოკვდა, დადუმდა დიდი ხანია,
სულს მაინც შერჩა ღვინო დოქებით,
ომარ ხაიამ!
სურები შექმნეს შენი ტალახით,
ღვინო მოულხენს ყელმოხატულებს,
შენი სუნთქვაა ლურჯი ბალახი,
ფეხს რომ უკოცნის ლამაზ ხათუნებს.
გულზე გაღვრიან ღვინოს ლოთები,
ხეებს შეარხევს ქარი ავყია;
ხეებიც სვამენ ღვინოს ფოთლებით
და მთვრალ ყვავილებს გულზე გაყრიან.

საერთოდ, აღმოსავლურ თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ა. კალანდაძის შემოქმედებაში. ეს იქნება მედაირე თათრის გოგონა, შავთვალა თუბალი, პელაზგები, სემიტები, ურარტუს ქვაბები, ხეთა, მიდია თუ ქალდე.

„თათრის გოგონავ“ საკმაოდ გახმაურებული ლექსია. იგი კარგად გადმოგვცემს აღმოსავლურ კოლორიტს.

აი, დიდ თათრულ დარბაზში გამოდის ნახევრად შიშველი, ტანწვრილი გოგონა; სხეული მისი იკლაკნება ათასნაირად, ხოლო ტანსაფარველზე უჟღრიალებენ ვერცხლის ფულები.

თათრის გოგონავ, დაუკარი შენი დაირა,
წელი ლამაზი შეარხიე ლერწმისნაირა.

ბრწყინვალე პოეტურ შედევრად ჩაითვლება ანა კალანდაძის ლექსი „მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს“:

ფეხზე მაცვია ირმის ტყავით შეკრული ხამლი,
ვაღმერთებ მზესა,
ვანთებ ცეცხლსა
და ვწირავ მსხვერპლსა.
გრძნეულ ურარტუს ეფინება რძისფერი კვამლი.

მართლაც, ვინც კარგად იცნობს ურარტუს ისტორიას, არ შეიძლება არ დაინახოს მასში რაღაც გრძნეული, მითიური, ზღაპრული.

ურარტუს თავის დროზე ეკავა ვანის ტბის და სამხრეთ ქვეყნების შემოგარენი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 780 წელს მენუას შვილის არგიშტი I-ის დროს ურარტუმ მიაღწია თავისი ძლიერების მწვერვალს.

ურარტუში დიდად იყო განვითარებული რკინის დამუშავება და მხატვრულ ნაკეთობათა დამზადება ბრინჯაოსაგან.

ურარტუს, ანუ ვანის ქვაბები მთელ მსოფლიოშია ცნობილი. აქ დღემდე შემორჩენილია მეფის აკლდამები, ციხეთა გალავნები, ქანდაკებები. ცნობილია ურარტული ფრთიანი ლომის ქანდაკება.

ანა კალანდაძის სიტყვები:

ვაღმერთებ მზესა,
ვანთებ ცეცხლსა
და ვწირავ მსხვერპლსა, —

ანარეკლია ურარტუელთა მეტად უცნაური რელიგიისა. მათ ჰყავდათ მთის, წყლის და სხვა ღმერთები. ცნობილი იყო ცის ღმერთი ქალდი და მისი მეუღლე უარუბანი, რომელთა ტაძარი აგებული იყო მუსარისში და იქ სწირავდნენ მსხვერპლს.

დიდმა მეომარმა მიდიელებმა და სკვითებმა მეშვიდე სა-

უკუნეში მოსპეს ურარტუ. დარჩა მხოლოდ ნაშთი მისი ძველი დიდებისა. ეს ნაშთი ბევრისათვის გაუგებარი პოქტოგრამა თუ იეროგლიფია, ხოლო ისეთი გრძნობის პოეტისათვის, როგორიც ანა კალანდაძეა, ეს არის მტვრით დაფარული სარკე, რომელსაც ხელს გადაუსვამ და დაინახავ შიგ დიდ ისტორიას.

ისევ შორეული სული ტრიალებს ანას ლექსში „მე მზეს ვუმღერებ“.

> თუ დავღონდები, მოიწვევენ ასი წლის შამანს.
> ყელზე შევიბამ სულ უბრალო, ბრჭყვიალა მძივებს.

ამ სტრიქონებში იგრძნობა თავისებური გატაცება იმ ადამიანთა მიმართ, რომელთა გულუბრყვილობას ესოდენ იზიდავდა ასეთი ბრჭყვიალა საგნები და სჯეროდა შამანის, მოგვის, მათი თილისმების... ამ გატაცებას აქვს თავისი საფუძველი, ასეთ ადამიანთა პირველყოფილ სულში არის თავისებური პოეზია...

განსხვავებული, მაგრამ მაინც ნათესაური სული იგრძნობა მეორე ლექსში „და მზეც რვალისა“.

> შენ თუბალი ხარ, ო, შავთვალა, შენ ხარ თუბალი...
> კავკასიამდე უუშორეს მანძილს გაივლი...
> მოხვალ, ჰოროხზე ემკვიდრები რკინის უფალი
> და ხელობა მოგაქვს კაინის...
> ქოხი ააგე და მზრუნველად დახურე ისლით...

ეს აღმოსავლური მოდგმის ტომი, „კვერით ხუროი“, ვითარ ხალიბნი, ისტორიაში მიჩნეული არიან ჩვენს წინაპრებად. „რკინის უფლის“ ტიტულატორებმა შექმნეს მართლაც

გრძნეული ხელობა და ისე დაეუფლნენ რკინას, რომ მთლად ამოიკითხეს მისი საიდუმლოება.

თუბალები უაღრესად პოეტური ბუნების ადამიანები იყვნენ. ამიტომ საკმარისია შეეხო მათ წარსულს, რომ მაშინვე მოწყვიტო პოეტური ნაყოფი მათი ისტორიის ფურცლებს. ამ განმარტების შემდეგ საჭირო აღარ არის რაიმე კომენტარი გავუკეთოთ ლექსს, რომელიც ქვემოთ მოგვყავს:

საით მოვიდნენ პელაზგები? ჩუმი კიაფით
საით გამოჰყვა ძველი მთვარე გრძნეულ იალქნებს?
იმ ხალხებივით იდუმალი და ისე ძველი
ასე კრთოდა და ციმციმებდა, ბრწყინავდა სპერი?!

მართლაც. ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ჩვენ ისეთი იდუმალი გრძნობა გვეუფლება, თითქოს აღნიშნულ სიტყვებს რაღაც ხავსი და მტვერი ჰქონდეთ მოდებული. სწორედ ამაშია პოეტი ქალის დიდი გამარჯვება. მან ისეთი საღებავები შეურჩია წარსულის თემებს, რომ ჩვენ ერთბაშად აღვიქვამთ და განვიცდით მას.

„ღრუბლები“ ანა კალანდაძის ლექსებს შორის შესანიშნაკ ნიმუშად ითვლება. არცთუ ახალი ლირიკული თემა მას ისე აქვს გადახარშული საკუთარ აზროვნებაში, რომ სრულ სიახლეს აღწევს.

მათ გადაიარეს ცა პირამიდების,
ხეთა და მიდია...
ზღაპრული ურარტუ, ქართული მინდვრები,
კვლავ საით მიდიან?

ლექსში გარინდებულ და საუკუნეების სიღრმით გაყინულ ურარტუს ქვაბებს უპირისპირდება ღრუბელი, რომლის და-

უსრულებელ ზეციურ მოძრაობაში ჩანს კაცობრიობის მარადიული სიცოცხლის ნიშანსვეტი.

არ შეიძლება კითხულობდე ამ ლექსს ისე, რომ მეხსიერებაში არ ამოტივტივდეს ბევრი რამ ხეთების ცხოვრებიდან: თიხის ცხრილები ხეთური კანონებით; ხეთის მთავარი ქალაქის ხატუსის ნანგრევები; ხეთის ღმერთების და ქურუმების პროცესის რელიეფი; მათი საერთო ცხოვრების, მათი ლეგენდარული თავგადასავლებისა და ბრძოლის ეპიზოდები...

თავის შემოქმედებაში ანა კალანდაძე დიდ ადგილს უთმობს საქართველოს წარსულს და განსაკუთრებით ჩვენი მატერიალური კულტურის ძეგლების მხატვრულად ასახვას. აღნიშნულ თემისადმი მიძღვნილ ლექსთაგან ჩვენ დავასახელებდით: „ასეთი დარი თუ იყო მაშინ?“ „იყალთოში“, „შიომღვიმეში“, „ზედაზნიდან“, „ქეთევან დედოფალი“, „შორია თამარ“ და სხვა.

პირველი ლექსი „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“ პოეტური თვალსაზრისით ერთ-ერთი ძლიერი ლექსია. მისი თითოეული სტრიქონი მდიდარია პოეტური შედარებებით, რომლებიც ადრე ჩვენს პოეზიაში არც ერთ პოეტს არ ჰქონია გამოყენებული. აი, ამის ნიმუშიც:

მზე აიწია ფეხის წვერებზე,
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა,
იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული ნარის ციხესთან.
ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში
და მიაშურეს ლალისფერ მთათა.
ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?

აღნიშნულ ლექსში დაპირისპირებულია ორი დრო: დღევანდელი და წარსული.

თავისი არსებობის ათას ხუთასი წლის მანძილზე თბილისს არასოდეს არ მოშორებია მშფოთვარე და სისხლიანი დღეები. ხელიდან ხელში გადადიოდა მისი კარიბჭე, ინგრეოდნენ მისი კედლები და მაინც ფენიქსებრ იბადებოდა.

ახლა საქართველოს ყვავილოვან ედემში დგას მზის ქალაქი, რომელსაც მაღლიდან კაშკაშა მზე დაჰყურებს.

ამ ნათელი სურათის ხილვის შემდეგ პოეტს მისდა უნებურად ეუფლება სევდა, რაც გამოწვეულია ჩვენი დედაქალაქის მძიმე წარსულის მოგონებით...

არაერთი ფილოსოფოსი, რიტორი თუ ბრძენი გაუზრდია იყალთოს აკადემიის კედლებს, რომლის ნგრეული ნაშთი დღემდე შემორჩა საქართველოს მიწას.

ერთ დროს ის სწავლა-განათლების ცენტრი იყო და ჭეშმარიტად თავისი მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

ჟამთა სვლამ და ისტორიულმა იძულებითობამ წაართვა იყალთოს აკადემიას თავისი უდიდესი როლი, ცარიელი დატოვა მისი მადლიანი კედლები და ბოლოს დავიწყების ხავსს მისცა ყველაფერი. ახლა უცნაურ დუმილს დაუსადგურებია მის ირგვლივ. ეს დუმილი ანა კალანდაძის სათუთ გრძნობებში აღძრავს რაღაც დიდ ტკივილს, რასაც შეიძლება სინანული ვუწოდოთ:

აქ სიჩუმეა, მზე და სიჩუმე,
გულთა მკოდავი...
ხეს უკაკუნებს, ხეს უვლის ირგვლივ
ჭრელი კოდალა...

სიჩუმეს, გარინდებას და სიმარტოვეს გრძნობს ანა კალანდაძე, როცა იგი შიომღვიმეს უახლოვდება. იგი „ცრემლის წყაროსთან“ ხედავს ხის ფოთლებს და უნებურად ეკითხება თავის თავს:

ნუთუ ამ ფოთლებს ამ მღვიმეების,
ამ მარტოობის არ ეშინიათ?

ამ შეკითხვაში იგრძნობა რაღაც უშორესი ჰვრეტა წარსული დღეებისა, როცა ცამეტი სირიელი მისიონერი მამათაგანი მოდიოდნენ საქართველოში ქრისტიანული მონასტრების დასაარსებლად. ეს იყო მეექვსე საუკუნეში, ფარსმანის მეფობის დროს. ერთ-ერთი იმ ცამეტ მისიონერთაგანი შიო ხელმძღვანელობდა ჩვენი განთქმული ტაძრის შიომღვიმის მშენებლობას. გადმოცემით, ერთ ჭისმაგვარ მღვიმეში უცხოვრია შიოს, რომელსაც იქვე დაუარსებია მონასტერი.

თვით დიდი მონასტერი აგებულია დავით აღმაშენებლის მიერ...

ცა ისევ ლურჯია არაგვის ხეობის,
ლურჯი და შორი.

მიხვდებით, ეს სტრიქონები ზედაზნის ეკლესიისადმია მიძღვნილი.

ადრე ამ მთაზე, ჩვენს ერამდე 109 წელს, მეფე ფარნაჯომს აუგია წარმართული ძეგლი, ხოლო VI საუკუნეში ცამეტ სირიელ მისიონერთაგან ერთ-ერთს იოანეს კერპთა ბომონის ნაშთზე აუგია ეს მონასტერი, რომელიც ბოლო ხანებში გურამიშვილთა საგვარეულო ეკლესიას წარმოადგენდა.

სხვას ვერაფერს დავუმატებთ: ზედაზნის ხილვისას ანა

კალანდაძეს იპყრობს იგივე გრძნობა, რაც განაცდევინა იყალთოს თუ შიომღვიმის მონასტრების ნახვამ.

ანა კალანდაძის მგრძნობიარე კალამს არ გამორჩენია ჩვენი ისტორიის გამოჩენილი ადამიანები: თამარ დედოფალი, ქეთევან დედოფალი, დავით გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვები.

ეხება რა თამარ დედოფალს, მის გმირულ ხასიათში ათავსებს საერთო ქართულ თვისებას, მეომრულ გულს და ამბობს:

ქართველს ჯავშანი აკვანში ეცვა,
მან ხმლის ხმარება აკვანში იცის...

საქართველოს უამრავი ჭირი უნახავს, მაგრამ გამარჯვებებიც ბევრი ახსოვს, განსაკუთრებით თამარ დედოფლის, დავით აღმაშენებლის, ერეკლე მეორის და სხვათა მეფობის ხანაში. მათი გამარჯვებები მტერს აღიზიანებდა და მუქარის წერილებით ცდილობდა იგი ჩვენს მოდრეკას.

ცნობილია იკონიის სულთანის ნუქარდინის ბრაზმორეული წერილი თამარისადმი გაგზავნილი. ლადო ასათიანს თავის პოემაში შესანიშნავად აქვს გადმოცემული ეს ამბავი.

ანა კალანდაძე კი, პირიქით, თვით ნუქარდინს მიმართავს ნიშნის მოგებით:

ეს — თამარ წყნარი და შესაწყნარი
შენს ალამს გზავნის დიდის ამბითა
შეწირვად გელათს!

რამდენადაც შარავანდედით იყო მოსილი თამარ დედოფლის მეფობის ხანა, იმდენად ტანჯული იყო ქეთევან დედოფლის საქართველო, რომელიც სამთავროებად დააქუცმაცა

შტრის გამუდმებულმა თავდასხმამ და შინაფეოდალურმა ომებმა.

ხმლით რომ ვერაფერი გააწყვეს ქართველებთან, სპარსელებმა ახლა მათი ქრისტიანული რჯული ხელყვეს, უნდოდათ ქართველთა გამაჰმადიანება. ეს რელიგიური ომი არანაკლებ საშიში იყო წმინდა სისხლიან ომზე. მაჰმადიანურ რჯულზე მოქცევა იგივე სრულ დამორჩილებას ნიშნავდა. ამიტომ ქართველები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ქრისტიანობისათვის არ ეღალატნათ. ამისათვის სამსხვერპლოზეც კი მიჰქონდათ საკუთარი სიცოცხლე. ასე მოიქცა საქართველოსათვის წამებული მამულიშვილი ქეთევან დედოფალი, რომელსაც როგორც თვით მისი შვილი თეიმურაზ I ამბობდა, „გაზით დაგლიჯეს ძუძუნი“, მაგრამ ქედი ვერ მოახრევინეს და წარბშეუხრელად შეხვდა სიკვდილს. სწორედ ამ მომენტს გადმოგვცემს ანა კალანდაძის ლექსი „ქეთევან დედოფალი“.

> რვალის ქვაბი გადმოეგდო ქონდაქარსა,
> ღიღინებდა კაცთა გრძნობის ქონდაქარი...
> ლურჯი ბაგით ოქმული ლოცვა გაჰყვა ქარსა,
> ქროდა ქარი...
> ცეცხლით სწვავდნენ ტანშეძარცულ დედოფალსა,
> უდრეკ იყო დედოფალი!

ამით არ ამოიწურება ანა კალანდაძის პოეზია. მას კიდევ ბევრი ლექსი აქვს გამოქვეყნებული, მაგრამ ჩვენ აქ ყველას ვერ გავარჩევთ.

ანა კალანდაძეს აქვს აგრეთვე თარგმანები რუსული პოეზიიდან. მთარგმნელობით მუშაობასთან ერთად იგი ეწევა მეცნიერულ მოღვაწეობას.

როგორც პიროვნება, ანა ძალზე მორიდებული ადამიანია.

ეს კი, როგორც ცნობილია, დიდბუნებოვან და ნიჭიერ შემოქმედთა თვისებაა.

ვერაფერს ვიტყვით, თუ როგორ წარიმართება შემდგომში ანა კალანდაძის პოეზიის ბედი, მაგრამ მომავალში ერთი სტრიქონიც რომ აღარ დაწეროს პოეტმა ქალმა, მისმა უკვე შექმნილმა პოეზიამ ისეთი სიყვარული და სახელი მოუპოვა, რომ მარტო ისიც ეყოფა საუკუნეებში ულეველ საგზლად.

მურმან ლებანიძე

მუდამ უხმაურო, უპრეტენზიო, ჩუმი, ხანდახან ლაღი და დიდმშვენიერი მეგობარ-ნაცნობთა შორის — ასეთია მურმან ლებანიძე. მურმან ლებანიძე, როგორც გ. ქიქოძე იტყოდა, ესაა პატრიოტი ყოველგვარი მაღალი ფრაზეოლოგიის გარეშე. მისი კალმით ნაქანდაკევი ლექსებიც შორს დგანან ყალბი პათეტიკისაგან და ათასნაირი ფერებითა და სინატიფით სათუთად იჭრებიან ჩვენს სულში...

დღეს სახელმოხვეჭილი პოეტი მურმან ლებანიძე რამდენიმე ლექსთა კრებულის ავტორია, რომლებიც მან სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა, დაწყებული ომის შემდგომი წლებიდან. ამ კრებულებმა მკითხველთა ათიათასები გაიარა შეფასების მუდამ ერთი საზომით: კარგია, მშვენიერია, ამაღლებულია...

ჩვენი მიზანი როდია პოეტ მურმან ლებანიძის ცხოვრებისა და შემოქმედების წიგნის დაწერა. ეს შორს წაგვიყვანდა... ჩვენთვის მთავარია გავარკვიოთ, როგორია პოეტის შინაგანი მღელვარე და მოუსვენარი სამყარო, როგორ შეძლო მან ნანახი და განცდილი პოეტურ სიმაღლემდე აეყვანა.

ჩვენს ხელთაა მ. ლებანიძის ლექსებისა და პოემების კრე-

ბული (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1962 წ.). კრებული ოთხ განყოფილებას შეიცავს. ესენია: „მამულზე“, „წლები“, „ფიქრები“ და „ლირიკული პოემები“.

ზამთარია... თეთრია ირგვლივ ყველაფერი. არ ქრის ქარი, არ ნამქერდებიან ფიფქები, არ გრიალებენ ხის ტოტები, არსად ვარდება თოფი, არ იღებება თოვლი წითლად... უბრალოდ:

თეთრია ირგვლივ
სამშობლო მხარე,
მხოლოდღა ცხელი
ბუხრები ბურღავს
საქართველოს ცის
გაყინულ ჰაერს.

ესაა ზამთრის იდილია, რომელიც ხსნის კრებულის შესავალს, კერძოდ, ლექსების ციკლს — „მამულზე“.

აქ შესანიშნავი პოეტური სახე — „მხოლოდღა ცხელი ბუხრები ბურღავს საქართველოს ცის გაყინულ ჰაერს“ — წარმოადგენს ზამთრის სურათის პოეტურად დამგვირგვინებელ ფრაზას...

გვერდი მეორე. „ქართვლის დედა“ — ესაა ნამდვილი ჰიმნი საქართველოს წარსულისა და ხოტბა თამამი ფუნჯის პატრონის — მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელისა...

ჩვენი სამშობლოს მატიანეთა ფურცლებზე თუ ცალკეულ მწერალთა ნაწარმოებებში არაერთხელ თქმულა ის, რაც აზრად დაუდო ელგუჯა ამაშუკელმა ქართვლის დედის ქანდაკებას: ჩვენი დედები მტერს მახვილით ხვდებოდნენ, მოყვარეს — თასით.

ამ სიტყვებს დღეს ათასები კვლავ იმეორებენ, იმეორებენ

უცხოელი სტუმრებიც, რომლებიც ყოველგვარი განმარტების გარეშე გრძნობენ კომკავშირის ხეივანში მაღლით გადმომცქირალ ქანდაკების მონუმენტალობასა და სიდიადეს.

ეს გააკეთა მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელმა.

ბუნებრივია პოეტ მ. ლებანიძის აღტაცებაც; როცა ის რუსთაველის პროსპექტზე დააბიჯებს, როდესაც ცხელა, როდესაც თეთრი, შიშველი მკლავები თავისი გრაციით თვალს იტაცებენ — მაშინ პოეტი ზედაც არ შეხედავს ამ შიშველ მკლავებს, ის მხოლოდ ქართვლის დედის ქანდაკებას ხედავს და... ფიქრობს მოქანდაკე ე. ამაშუკელზე.

„ქართვლის დედის“ დასაწყისში იგი მიმართავს სახელოვან მოქანდაკეს:

ცხოვრებაში, ძმაო, — შიშველი მკლავები!
ეგვიპტური მკლავები — ხორციანი!
ეს —
ყოველდღიურ ცხოვრებაში, ელგუჯავ ჩემო!
ხოლო სიღრმეში ქართული გულის,
ხოლო სიღრმეში ქართული სულის —
მე ვენაცვალე,
კოჭებამდე
და მაჯებამდე
განფენილ სამოსს ქართვლის დედისას!

„ქართვლის დედა“ თეთრი ლექსია. აქ რითმები როდი ქმნიან მუსიკალობას და ჰარმონიულობას. მიუხედავად ამისა, ლექსის ყოველი სტრიქონი გამთბარია უზომო სიყვარულით; ე. ამაშუკელის ბრწყინვალე ნიჭი აქ დანახულია პოეტის მეტად მგრძნობიარე თვალით და გადატეხილია იმავე პოეტურ პრიზმაში...

მ. ლებანიძე ერთი წუთითაც არ აჭარბებს; იგი ხოტბას

ასხამს მოქანდაკეს, რომლის ქანდაკება დღეს გადაქცეულია სიწმინდის, სილამაზის, პატიოსნების, სიმამაცის სიმბოლოდ.

...ხოლო მანდილს და
კაბის კალთას ქართველის დედისას,
ვით რესპუბლიკის დროშას —
ვემთხვევითl

ენაცვლებიან სათაურები სათაურებს, ლექსები ლექსებს და გრძნობ, მათი დიდებისათვის რაოდენი ასპარეზია დაცლილი.

გრძნობ, რომ ეს სტრიქონი, ეს რითმა ეკუთვნის მ. ლებანიძეს და არა სხვას.

საქართველო აზრის, ვაზის, დიდების, მარადმწვანე ქვეყნად წარმოუდგენია პოეტს... ოცდაათი ფეხშიშველი ქალწული ეტლს მიაქროლებს, რომელშიაც აკაკი ზის — ანტიკური პროფილით, დიდების შარავანდედით. „ეტლი“ მ. ლებანიძის ელვარე ლექსებს შორის ერთ-ერთი მაღალიდეური და თბილი ლექსია. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ — „კახეთი“, „შემოდგომა“, „ახალგაზრდობა“, „ხორუმი“ — ხორუმი სიმფონია საქართველოს სიფხიზლის. აქ ყველაზე მარტივი ხერხებით ქართული ეროვნული ცეკვის „ხორუმის“ პლასტიკა და სინარნარე ისეა გადმოცემული, რაც შეიძლება თვალით ნახულმა ცეკვამ ვერ გვაგრძნობინოს. როგორც ვიცით, ყოველ ქართულ ცეკვას აქვს თავისი დიდი შინაარსი, აზრი, იდეა, რომელიც პლასტიკის საშუალებით გადმოიცემა. აჭარული ცეკვა „ხორუმი“ თავისი შინაარსით ჩვენი ქვეყნის შორეულ წარსულს უკავშირდება. ესაა მხედრული ცეკვა: გამოდიან ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ბაშლაყით თავშებურული მოცეკვავენი, ნაღარის ხმაზე წრეს ჰკრავენ და ხან

ჯგუფურად, ხანაც სათითაოდ ასრულებენ მხედრულ ილეთებს...

პოეტმა მურმან ლებანიძემ ცეკვა „ხორუმში“ აღმოაჩინა ის, რაც ყველაზე ლამაზი და ძირითადია ამ ცეკვაში და უწოდა მას — „სიმფონია საქართველოს სიფხიზლის“.

თქმა არ უნდა, რომ კრებულში მოთავსებული ლექსების ციკლი „მამულზე“ მართლაც სიმფონიაა ჩვენი ქვეყნის დიდებული წარსულის, მისი ნასაყდრალების, ციხე-ქონგურების, მთა-ველების, ატმის ყვავილების, მოშრიალე ვაზების, მეგობრობის...

მეგობრობაა
ერთადერთი ჩემი ალაფი,
ვარ მეგობრობით
ჭირში, ლხინში გაუღუნველი.
დიდბუნოვანო,
დამასტუმრე შენი ჯალაბი,
ბრძოლით, ჯარებით,
ხანჯლებით და ნახანჯლარებით
ჭიქა ღვინოზე
წინ დამიწყე საუკუნენი!

ჯანსაღი ჰედონიზმის თვალებით გვიცქერიან ის სტრიქონები, რომლებშიც ქართული ეროვნული ადათ-მოლხენა ჩამოსხმულია მოქნეულ რითმებად.

როცა დასუქდნენ ბეღლები
და რთველიც ჩამოათავეს,
ბიჭებმა სუფრა გაშალეს,
ჯიხვები ჩამოატარეს.

. .

სადღეგრძელო თქვეს ისეთი,
ფეხზე ამდგარი ვისმენდი —

ცხრა ჯიხვი ერთად მანდომეს...
წამოველ მაგრამ ეს გული
იმ ჯიხვის რქაში დავტოვე.

არაერთი ლექსიდან ჩანს, რომ პოეტს ბავშვობის წლები სოფელში გაუტარებია („გახსოვს, გიგი?"), აქ მას მგზავრივით შეხვედრია კორტოხზე გადმომდგარი მზე, უნახავს ბუხარი, რომელიც სიცივეში ხვნეშის, და რაც მთავარია:

მზის გულზე თვლემენ
ბერიკაცები,
გულს იოხებენ
წარსულის ქებით.
ქვევრებს ელიან
გრძელი ყანწები,
კედლებს შვენიან
ქორბუდას რქები...

ახალგაზრდობას პოეტი „ხვალის იმედსა და ერის პირველ სიმდიდრეს" უწოდებს, მერე სწევს სასმისს და საქართველოს აწმყოსა და მყობადს ადღეგრძელებს. ახალგაზრდობას ლებანიძე მრავალ თბილ სტრიქონებს უძღვნის, ადარებს მათ გამწევ ხარებს და თავადაც ხარის ბედი შურს...

მ. ლებანიძე სარგებლობს პოეტური აღმაფრენით და ზომიერი აპოლოგიით ქებათა ქებას უძღვნის მათ, ვინც საქართველო დღემდის მოგვიტანეს: მგოსანს — ზეგარდმო ნიჭის მფლობელს, გლეხს — რომელმაც ჩაჰყარა ვაზი, ხეროს — ვინც საკუთრივ გამოსწვა კირი და კაცს — რომელმაც გასჭედა რკინა და ამ რკინით კლდეში ქალაქები გამოიკვეთა.

პოეტ მ. ლებანიძეს აქვს ფერწერის უაღრესად დიდი ნიჭი, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, იგი ვერ დაწერდა ლექსს, რო-

მელსაც ჰქვია „მამულის მხატვრებს“. აქ უსათუოდ ორმაგი ნიჭია ერთმანეთში შერწყმული — ფერმწერისა და პოეტის.

მწვანე აპრილში დღე გაჩნდა მხატვრის,
სწყურია პოეტს ფერებით დათვრეს,
პოეტი ახალ სალამურს გათლის
და ეახლება მამულის მხატვრებს.

. .

შვიდფერი ღვინო ბრწყინავს მზესავით,—
თქვენი მარნების მე ვარ მუშტარი!
თქვენი ღვიძლი ვარ და ნათესავი,
თქვენი ქადაგი ვარ შეუმცდარი!

ამ მართალ სტრიქონებს მ. ლებანიძე ქართველ მხატვრებს ეუბნება უაღრესად ემოციონალური, ნაქანდაკარი, პლასტიკური ტაეპებით...

მამულზე ფიქრი მისთვის უმთავრესია. არაერთი ლექსი უძღვნა პოეტმა მამულს.

ფერად-ფერადი, შეიძლება ასე გვეწოდებინა ლექსთა იმ ციკლისათვის, რომელსაც „წლები“ ჰქვია.

წლები... ჭეშმარიტად მრავლის მთქმელია. ესაა დროის ურთულესი ფონემა. შემოქმედისათვის მით უმეტეს...

როგორც ითქვა, საქართველოს ინტელექტუალური სამყარო კარგა ხანია იცნობს მ. ლებანიძეს, როგორც პოეტსა და მოქალაქეს. მისი პოეზიის მრავალფეროვნება მეტყველია მისი ხალასი ნიჭისა და ერუდიციის. ჩვენ აქ „წლების“ ციკლს პირობითად ფერად-ფერადი შევარქვით. უფრო სწორად, ესაა სხვადასხვა წლებში დაწერილი სხვადასხვა ხასიათის ლირიკული ლექსები. აქ თითქოს ლექსები ერთმანეთს გასჯიბ-

რებიან სიმშვენიერესა და მომხიბლაობაში, სრულყოფასა და თანამედროვეობაში.

„მეომრის ქუდი“ 1943 წლითაა დათარიღებული. ხოლო, როგორც ვიცით, მ. ლებანიძე სხვა ქართველ მწერლებთან ერთად მოქმედ არმიაში იმყოფებოდა. კრასნოდართან და მარუხთან მას მეომრის ქუდი ფარავდა, რომელიც ბევრჯერ დაწინწკლულა სისხლით. ამ ქუდით — სინდის-ნამუსიანი ქართული მეომრული ქუდით იგი საქართველოში ბრუნდება. დღეს ფერგადასულია ეს ქუდი, მაგრამ პოეტს იმ დღეთაგან მრავალ გარდასულ სურათს ახსენებს...

ომის ექოს ვისმენთ უაღრესად თბილ სტრიქონებში „მამიდა“. ომის დამთავრების წელსაა იგი დაწერილი. რვამარცვლიანი ტაეპები ლაღი ჩანჩქერებივით გადმოდიან პოეტური ხედვის მთათა სიმაღლეებიდან.

ომია. ქლუხორთან მიმწუხრის ზარები რეკენ. მამიდას კი მთათა გუშაგი — ომში წასული ძმისშვილი აგონდება და წერილთან ერთად ნამცხვრებს უგზავნის.

ვერ გავიმეტე წერილი
თამბაქოს გასახვევადა,
ვერც ხაჭაპური ხატული
გავწირე გასახევადა...
ო, მაშინ ისე ძლიერად
შეგიტკბე, ჩემო მამიდა,
რომ იმ დღის შემდეგ არ ძალმიძს
გადაგივიწყო წამითაც.

ესაა უაღრესად თბილი, ადამიანური, გულში ჩამწვდომი სტრიქონები...

ლექსი „მწვანე სიმღერა“ — ჰიმნია მშვიდობას მოწყურებული ტრუბადურისა სამშობლოსადმი, თავისუფლებისადმი.

თავისუფლების იქუხებს ჰანგი,
სულს მოსწყურდება გზებზე მგზავრობა,
ადგება ერთ დღეს ოცი წლის ფრანგი,
ზედ მიგიფურთხებს ბებერ მთავრობას,
ჩაიცვამს ბიჟი ცისფერ მაისურს
საფესტივალოდ უცხოსა მხარეს...
ო, პოლ, ძვირფასო, ვიცი, რაიც გსურს,
რამ მოგაყენა მოსკოვის კარებს!..

.

ჩავკიდოთ ხელი — ამინ, აღსრულდეს,—
მშვიდობა ჭალებს, მშვიდობა ყანებს!
ახლა თავიდან! — ამით დასრულდეს,
რითაც დავიწყეთ სიმღერა მწვანე.

მშვიდობა, თავისუფლება — ესაა ამ ლექსის დედააზრი.

მშვიდობას უმღერის გაზაფხულის ფერებით ასურნელებული ლექსიც „მორბის იორი“. ლექსი დიდი პოეტური აღმაფრენითა და პათოსითაა დაწერილი. აქ პოეტური სახეები ქმნიან საქართველოს გაზაფხულის არნახულ სურათებს. სტრიქონები თითქოს ყვავილწნულებად იქცევიან. მაგრამ პოეტს „მზისა და ყვავილების ხვავი“ რატომღაც „მწუხარე ზაფხულს“ აგონებს, ე. ი. იმ ზაფხულს, როცა მტერი თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს. ამ ლექსშიც მთავარია მშვიდობა. ომი არ უნდა განმეორდეს! პოეტი გარბის, ხედავს გუთნის დედას. სურს მასთან მისვლა, რათა უთხრას:

ადამიანო, იყავი ფხიზლად!
გაზაფხულის და მშვიდობის ნიშნად
თეთრი ყვავილი გაშლილა ხეზე, —

ადამიანო, იყავი ფხიზლად
და პირველ ყოვლის მშვიდობა თესე!..

შემდეგ კვლავ მდინარე იორის მოძახილი, გაზაფხულის ფერები, პოეტური აღმაფრენა და ა. შ.

„წლების“ ციკლში მკითხველი შეხვდება არაერთ მიძღვნით ლექსს. მაგალითად, „ანა კალანდაძეს“, „გიორგი ლეონიძეს“, „ჩვენ ვართ კოლუმბები“ — ძმური შეხუმრებით მუხრან მაჭავარიანს, „ლენას“, „თეთრი ლექსები ფიქრიას“, „თამუნია ქავთარაძეს“.

აქვეა ე. წ. ყოფითი, ცხოვრებისეული ლექსები ბუნების სურათებთან ჰარმონიულად შერწყმული: „შვებულება“ და „ზაფხულის ფანტაზია“.

განსაკუთრებით ლაღი და მოქნილია სტრიქონები, რომლებიც გაზაფხულის სურათებს ხატავენ. აპრილი... რომელ მგოსანს არ უმღერია წელიწადის ამ ოქროს ხანისათვის, როცა დღეები ფერებად იწვიან, მიწა მღერის... ყველა სხვადასხვანაირად ხატავს მას, სხვადასხვანაირად განიცდის მის გრაციულობას. მ. ლებანიძეც იჩენს ვერსიფიკატორულ ნოვატორობას. „აპრილი“ — ასე ეწოდება შაირული სტილით დაწერილ ლექსს, რომლის ტაეპშიაც არაერთგზის მეორდება შორისდებული — ჰეი! გამომხატველი იმისა, რომ მგოსანს აღარ ძალუძს დაფაროს აღტაცება და მღერის მთელი ტონალობით, მთელი თავდავიწყებით:

ჰეი!
სად არის ჩემი ზაზული,
ზაზა წარბგადარაზული...

ან კიდევ:

ჰეი!
მოფრინავს ინდოეთიდან
მოლაღური და შროშანი...

ან:

ჰეი!
ატმის ყვავილის თოვაში —
ტყემლის რძისფერი ფანტელი.
თავს გადგათ ატმის ხესავით
დედის მანდილის კანდელი...

მსგავს სიუჟეტზეა აგებული უსათაურო ლექსი „გაზაფხული შემოსულა, ლენ“.

შეფასების როგორი საზომითაც არ უნდა მივუდგეთ მ. ლებანიძის განხილულ ლირიკას, ამოსავალი წერტილი მუდამ ერთია ყველასათვის: ესაა მშვენიერი, ამაღლებული, უაღრესად მრავალფეროვანი ლირიკა.

შემდგომი ციკლია „ფიქრები“. ციური აღმაფრენა აქ ზომიერების ფარგლებს არ სცილდება. ხშირად ოპტიმისტური, აქა-იქ მისტიური ხილვები შემოსწოლია „ფიქრების“ ლირიკულ გმირს. მაგრამ ის მარტო როდია. სადაც არ უნდა იყოს ის, რა ვითარებასა და სიტუაციებში, პაწია მდინარე ოცხე მასთან ერთად „ბუზღუნებს“ ქვეყნის ამაოებას. ოცხე თითქოს უმადურია, არაფერი მას არ ახარებს და არ აღელვებს. ის მიედინება თავქვე, ხანდახან „ცეცხლისფერ ფოთლებს“ მოაქანავებს და „ბუზღუნებს“ — ვინ იცის რას არ...

ყოველდღე ვფიქრობთ
და ვბუზღუნებთ მე და ოცხე,

მე შენ გეტყვი და,
საბუზღუნო ყელამდე არ გვაქვს!
აი, მაგალითად — აბასთუმანი!
ოძრახეს ნაცვლად
ვინ დაარქვა თამარის ქალაქს?!
აი, მაგალითად — თამარის ციხე!
ვით დაარბიეს?
ვით დაანგრიეს?
ვით დაარღვიეს?
ყოველდღე ვფიქრობთ
და ვბუზღუნებთ მე და ოცხე!
როგორც იტყვიან,
წუთისოფლის ამაოებას...
(„ფიქრი მეშვიდე").

ცხადია, ავტორს ჩვენი ქვეყნის წარსულის ტკივილები სტკივა: რა საჭიროა თამარის ქალაქს აბასთუმანი ერქვას ოძრახეს ნაცვლად? ვინ დაარღვია თამარის ციხე? ვინ? ვინ?!.. პოეტს ფიქრები არ ასვენებს, სულს „უქარიშხლიანებს"... პასუხი კი არ არის. მაშინ მდინარე ოცხე, რომელიც ავტორის ორეულია, და ლირიკული გმირი იძულებული ხდებიან „წუთისოფლის ამაოებაზე იბუზღუნონ".

„ფიქრი მერვე", წინა „ფიქრის" ლოგიკური გაგრძელებაა. ავტორი აქაც მახვილს წუთისოფლის ამაოებაზე სვამს.

თვალ-და-ხელ-შუა
წავა ცხოვრება —
მიიქცევიან
ბუზღუნით ზღვები...

„ფიქრი პირველი" პოეტის მაღალ დანიშნულებაზე გვიამბობს.

შემოდგომაა გარეთ. ოცხე „ცეცხლისფერ ფოთლებს მო-

ატივტივებს“, „და ფიჭვის ტევრში — ოზონი ბოლავს“... ხოლო მგოსნის სენაკი ფიქრებითაა გატენილი. გარედან ხმა ესმის სტრიქონებთან შეჭიდებულ კაცს: კაცი, ქალი, ბავშვი ეძახის — ჩამოდიო ჩვენთან.

მე რომ გამოვიდე მანდ,
მე რომ გავერიო თქვენში,
უნდა გადავიქცე ყრმად,
უნდა წამოვიდე ტყეში,
თავი მოვიტყუო ღვინით
და, რასაც ფიქრობთ თქვენ
და რითაც ცხოვრობთ თქვენ,
მეც უნდა ვიცხოვრო იმით!
მაგრამ მე ვფიქრობ მეტზე,
მაგრამ მეტი მინდა ბევრით;
მე მინდა —
ვიფიქრო თქვენზე!
მე მინდა —
ვიცხოვრო თქვენით!

ფიქრებს თანამედროვეობაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აღნიშნულ ციკლში.

...აი, ამოდის მთვარე მშვიდად და შორეული ქვეყნები „საკუთარ ფიქრებს ფიქრობენ“: სად მარტორქაზე ნადირობენ, სად ვიღაცა მღერის თარზე, სად ვიღაცა ვიღაცას საქმეში ეჩრება, „ვიღაც სამშობლოზე წუხს“... იტყორცნებიან რაკეტები ცაში.

ლექსში მთავარია ჰეროიკული სული, გმირული ხანა, კოსმოსი, თანამედროვეობა.

მიუხედავათ ამისა, მაინც სულ სხვაა თავისი გრაციით „ფიქრი მეოთხე“. „ფიქრი მეოთხე“ სხვა „ფიქრებს“ შორის

ნამდვილად ლიდერობს თავისი მოულოდნელობით, სითბოთი, განცდით, სიმსუბუქით...

და ბოლოს, მოკლედ შევჩერდეთ მ. ლებანიძის ლირიკულ პოემებზე, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ორიგინალობითა და პოეტური სრულყოფით.

ლირიკული პოემა „სანადიროდ დავდივარ"... სტრიქონები აქ ეშვებიან თამამი ჩანჩქერებივით. კითხულობ მათ და გგონია, პოემა დაწერილია ერთი ამოსუნთქვით. დასტურ, ქართული ტემპერამენტი, მონადირული ჟინი, თავდავიწყება, პოეტური გატაცება იგრძნობა ყოველ სტროფში... ლირიკული პოემა შეურქმევია ავტორს აღნიშნული ნაწარმოებისათვის. ცხადია, ჩვეულებრივი პოემისათვის დამახასიათებელი ნიშნები მას არ გააჩნია. უფრო სწორად, ესაა ვრცელი ლექსი, სიუჟეტით, რომელიც აგებულია პოეტურ შთაბეჭდილებათა კომპლექსებით. პოემა არ წარმოადგენს რაიმე ამბის გალექსილ მოყოლას. აქ ბუნების პეიზაჟების საოცარ ხატვასთან შეერთებულია პოეტის პირადი განცდები, რაც საბოლოო ჯამში ქმნის ლირიკულ პოემას თანამედროვე გაგებით.

დასაწყისში ავტორი თავის თავს გვიხატავს ჯეელსა და მარდს, რომელსაც მონატრებია „მუხნარები და ულრანები" და ეს ოცი დღეა სანადიროდ დადის ტყეში:

ოცი დღეა, ახალი
სიყვარულით ვანთივარ:
მალხენს თოფის ჭახანი,
ჯეელი ვარ,
მარდი ვარ,
მაღამდება ჭალებთან,
მაღამდება ყანებთან —

ცოლ-შვილს გავეყარე და
საყვარლებთან დავდივარ...

ვინ არიან ეს საყვარლები?

...ჭადრები ნატიფები,
გვირილები ნაზები,
ჭრელკაბა სათიბები,
დაგრეხილი ვაზები...
    რიყე-რიყე დაყრილან
    ხავსიანი ტინები,
    ტირიფები წახრილან —
    ჩემი თინათინები.

ბუნების სურათების ასეთ ხატვას თამამად შეიძლება ეწოდოს უმანკო ხილვა. დიახ, უმანკო ხილვა!..

პოეტი სალექსო აქსესუარებს არ ზოგავს, რათა ქვეყნიერების ცათასწორი სილამაზე ქალწულებრივი სიდიადით დახატოს. მაგალითად:

მზემ საწოლი
დატოვა და
მთებს გადმოღმა გადმოვარდა...

ლირიკული გმირი მოელვარე პურის ყანებს მიჰყვება, წინ ხტუნია კალიები მიუძღვიან, წითლად ღვივიან ყაყაჩოები, ხოლო

ტოროლები დამშვიდებით
ოქროს ტბაში ბანაობენ...

ბოლო სტროფები მზის ხოხბებრ დაშვებას ეძღვნება. დგას პოეტი მხარზე თოფგადადებული და „წითელ დაისს გაჰღიმის“...

დანარჩენ ორ ლირიკულ პოემათაგან, „მამა, ბავშვობა, გოგოლის ქუჩა“ მშობელი მამის დაკარგვით გამოწვეულ პირად მწუხარებაზეა აგებული, ხოლო „ესპანური კანტატა“, რომელსაც ავტორი მარტინა მინტეგი ბილბაო-გოგიჩაიშვილს უძღვნის, მეგობრობასა და სიყვარულს გამოხატავს.

დასკვნა: ჩვენ მიერ მოკლედ მიმოხილული ლექსთა კრებული ესაა შესანიშნავი ანსამბლი, რომელსაც ჰყავს მსმენელთა ვრცელი აუდიტორია და რომელსაც დირიჟორობს პოეტი-მოქალაქე მურმან ლებანიძე.

„აჯანყებული გული“

(ო. ჭელიძის ლექსთა ახალი კრებულის გამოცემის გამო)

ოთარ ჭელიძე თანამედროვე ქართული პოეზიის ნიჭიერი წარმომადგენელია; მისი შემოქმედება ამაღლებული პოეზიაა.

სწორად შენიშნავდა პავლე ანტოკოლსკი: „როდესაც ვკითხულობ ოთარ ჭელიძის შემოქმედებას, ასე მგონია, თითქოს პოეტი კლდეებს ებრძვის, მაღლა მიიწევს და თითებიდან სისხლი სდის“.

დიახ, ოთარ ჭელიძე თანამედროვე ლექსის ოსტატია ამ სიტყვების საუკეთესო გაგებით.

თანამედროვე, მაგრამ არა მოდური და თვითმიზნური...

ვლაპარაკობთ რა ო. ჭელიძის ლირიკაზე, აქვე საჭიროა დავუმატოთ, რომ იგი ამავე დროს შესანიშნავი მთარგმნელი, ბალადის ოსტატი და დიდი პოემების შემქმნელია.

ბალადა, როგორც პოეტური ჟანრის ერთ-ერთი სახე, ძველია. მან განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია ევროპაში მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში. ამ მხრივ ქართული მწერლობის რუკაზე დიდი შეუვსებელი ლაქა ჩანდა.

პოეტმა ო. ჭელიძემ საფუძველი ჩაუყარა ქართულ ბალადას და იგი სათანადო სიმაღლემდე აიყვანა. თუმცა მის ახალ ლექსთა კრებულში, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა სა-

„ქართველომ“ გამოაქვეყნა 1965 წელს, სულ რამდენიმე ბალადაა წარმოდგენილი. მათ შორის არის „ვეფხვის ბალადა“, „სამყაროში გახედვა“, „ბეშტაუსთან შემოღამება“ და სხვა.

აი, ლერწმებიდან ამოდის მთვარე და რომელიღაც მთის მწვერვალზე ჩერდება. მრისხანე ვეფხვი მისდევს მას დასაჭერად, მაგრამ მთვარე მთიდან მთაზე გადადის. ჯიუტი ნადირი კვლავ მისდევს და სურს გზა მოუჭრას. ბოლოს იგი არაგვთან ამოყოფს თავს. არასდროს ენახა მას ასეთი ლამაზი კუთხე. ამან დაატყვევა ვეფხვი და ინატრა ხელმეორედ დაბადება. მაგრამ აი, გამოჩნდნენ მონადირენი, ტყვია ესროლეს და მოკლეს.

გაწვა ვეფხვი ტიალ გზაზე,
მიწას უწყო ლოკვა;
საქართველოს სილამაზემ
ასე ბევრი მოკლა.

კარგად არის ჩაფიქრებული ამ ლექსის სიუჟეტი, ხოლო ბოლო სტრიქონი შესანიშნავად ხსნის და ამთავრებს მას...

პოეტს ბალადაში „სამყაროში გახედვა“ სიმბოლურად გამოყავს თვალგიშერა მოზვერი. აქ მთავარია სიმაღლე და ჰორიზონტი; პირველი იმისათვის, რათა უფრო კარგად დავინახოთ, ჰორიზონტი კი მეტის შეცნობისათვის გვჭირდება.

ხოლო მას, ვისაც ძალა ჰყოფნის იხილოს სამყარო, იმის უნარიც აქვს, შეიცნოს სინამდვილე. სწრაფვა სინამდვილის შეცნობისაკენ, — აი უმთავრესი ღერძი აღნიშნული ბალადისა.

ჭელიძის პოეტური აზროვნება ილუზიათა ბევრ საიდუმლოებას ხსნის. ამ მომენტში მას საშუალება ეძლევა აღმოა-

ჩინოს ლერმონტოვის აჩრდილი, რომლის დაცხრილული გულიც ოხრავს და „ყველა ნამდვილ პოეტს უხმობს ძმად და სეკუნდანტად“.

ლერმონტოვი არ დაინდო მაშინდელმა მეფის მთავრობამ, რის გამოც პოეტი უნდობი გამხდარა ადამიანთა მოდგმის მიმართ. და ახლა, როცა მისი აჩრდილი კავკასიის მთებში ექოსავით დაეხეტება, დღევანდელ გმირებში, და უშუალოდ პოეტებს შორის, ეძებს ძმას და მეგობარს.

მიხვდებით: ესაა ბალადა „ბეშტაუსთან შემოღამება“...

უთუოდ „დაუპყრობელი მწვერვალის“ გაცნობამ გამოათქმევინა თავისი აზრი პავლე ანტოკოლსკის ო. ჭელიძის პოეზიაზე. შესანიშნავი ბალადა რუსი პოეტი-მკითხველისათვის გახდა ეტალონი პოეტის ყველა ლექსის მიმართ.

„დაუპყრობელი მწვერვალი“ სიმაღლეებისაკენ ლტოლვაა. მაგრამ რამდენი ძალა სჭირდება ადამიანს, ვიდრე იგი მიაღწევდეს იქ... ადის ადამიანი მაღლა და ქვებზე სისხლის ყაყაჩოებს ხატავს ათი ფუნჯით, ხოლო ეს ათი ფუნჯი მისი ათი თითია. იღვრება სისხლი, რომელსაც წინ დევიზად მიუძღვება მოწოდება:

მაგრამ მაინც წინ და მაღლა,
მთელი ჩემი სულით, ხორცით
მზის დაპყრობა მინდა ახლა.
ცეცხლის ღმერთი ვხდები წუთით,
ძახილს მაღლა ვატან ნიავს,
რომ მწვერვალმა თეთრი ქუდი
მომიხადოს ადამიანს.

ადამიანის სიცოცხლის აზრი სწორედ ამ ძიებაში და სიმაღლეებისაკენ სწრაფვაშია...

„ჩქარი დროის შიშის“ საკითხია დასმული ო. ჭელიძის ლექსში „8 სექტემბერი“.

ბრუნავს შეუჩერებლივ ცხოვრების უზარმაზარი ბორბალი და მიყვებიან მას დღეები და წლები, რომლებიც თვალსა და ხელს შუა ქრებიან ჩვენი ბედისწერის დავთრებიდან.

> რაღაც უსიამო განცდა
> წუთით გამიჯდება სისხლში,
> მიპყრობს, დამშვიდების ნაცვლად,
> ჩქარი დროისადმი შიში.

აღნიშნული საკითხი აღელვებდა და აღელვებს ყველა ქვეყნის ადამიანს. მათ ბევრი უფიქრიათ ამის შესახებ, ბევრი დაუწერიათ, მაგრამ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ჩქარი დროის შიშის“ პრობლემა მარად ძველი და მარად ახალი იქნება მომავალი თაობისათვის, რომელიც ახლებურად დასვამს და გადაწყვეტს ამ საკითხს.

ასევე შეგვიძლია ვთქვათ ოთარ ჭელიძის შესახებაც, რომელმაც „ჩქარი დროის შიში“ თავისებურად განიცადა, აღიქვა და მისი გადმოცემისას იხმარა ახალი საღებავები.

ლექსი „მე და ნატვრისთვალი“ საინტერესო საკითხს ეძღვნება. პოეტის ზრუნვის საგანი გამხდარა ის, თუ როგორ დაუტოვოს საიმედო ფუძე თავის შვილს. ამ საკითხის გადაწყვეტას ყველა ადამიანი თავისებურად ფიქრობს: ერთს ურჩევნია წარმავალი სიმდიდრე დაუტოვოს თავის მემკვიდრეს, ხოლო მეორე ფიქრობს სახელი შეუქმნას მას. დაგვეთანხმებით, რომ ეს უკანასკნელი დაუფასებელი განძია, რომელსაც დავიწყების ხავსი არ ეკიდება. „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“, — უთქვამს შოთას.

ნატვრისთვალის შეკითხვაზე, თუ რას ინატრებდა პოეტი,

უპირველეს ყოვლისა, იგი უმალვე პასუხობს: მწამდეს მოქალაქის ვალი.

მართლაც, შეგნებული მამულიშვილი არასოდეს არ გაცვლის თავის მამულიშვილობას არც ფულზე და არც სიმდიდრეზე.

რამდენი მილიონერი ცხოვრობდა ფიროსმანის დროს თბილისში, მაგრამ მათი სახელი სამუდამოდ აღგვილია მიწის პირისაგან, ხოლო ჩვენი უღარიბესი და უნიჭიერესი ფიროსმანის სახელი კი ცოცხლობს მადლიერი ქართველის გულში, როგორც სიყვარულის ხელშეუხები ძეგლი.

აი როგორ მიმართავს ნატვრისთვალი პოეტს:

ქვეყნად საიმედო ფუძე
შენით ეღირსება შენს შვილს.
თქვა და საგულეზე ღილად
თვალი დამეკერა თითქოს,
ყოველ განთიადზე წყვილად
მინთებს საიმედო სტრიქონს.
შეტის მონატრული არ ვარ,
არც თავს წარმოვიდგენ ღმერთად.
დავალთ გადაუხდელ ვალად
მე და ნატვრისთვალი ერთად.

ო. ჭელიძეს ეკუთვნის ლექსი „ჯერ არ იციან“. ნამოლვაწარი მამების გაკაფულ გზებზე დარბის ორი პატარა გოგობიჭი, რომელთაც ჯერ არ იციან ცხოვრების ფასი, მაგრამ სიცოცხლე მაინც უხარიათ. ამ ლექსში საიდანღაც აღწევს ომის ბნელი კოშმარი, თუმცა ლექსში ეს უშუალოდ არა აქვს ნათქვამი პოეტს. იგი მხოლოდ ხაზს უსვამს ასეთ დეტალს:

ორი მეზობლის ორი პატარა
დარჩა ხსენებად ორი მეომრის,
მათ გასაჭირში ბრძოლით გატანა
ჯერ არ იციან ერთიმეორის.

ძალიან თბილი და უპრეტენზიო ლექსია. სიცოცხლის უკვდავების და იმედის საკითხი მთავარი ღერძია ამ ნაწარმოებისა. ომში დაიხოცნენ მამები, მაგრამ ისინი უკვალოდ და უმემკვიდრეოდ როდი წასულან ამა ქვეყნიდან, მათ დარჩათ შვილები ხსენებად მათი ხსოვნისა, უკვდავებად მათი სიცოცხლისა. სწორედ ამაშია ამ ლექსის დიდი ღირსება.

როდესაც მცხეთას მატარებლით უახლოვდებით, თქვენს თვალს ატყვევებს სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარი. დგას მცხეთის შუაგულში ეს ხელთუქმნელი ძეგლი, როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ნამდვილი საოცრება და უმალვე ანდამატივით იზიდავს ყოველ მნახველს. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ მიუწევთ მისკენ გული მხატვრებს, მწერლებს, პოეტებს, ფოტოგრაფებს, არქიტექტორებს. ყველა მათგანის სურვილია შეისწავლონ იგი და შექმნან თანამედროვე ეპოქისათვის შესაფერი ქმნილებები. მათ არ ეშინიათ, რომ ცხოვრება არსაკიძესავით წაართმევს მარჯვენას: „რადგან უკვდავების ფასად აღარ იკვეთება მკლავი“...

ო. ჭელიძის ლექსში „ტაძარი მტკვარში“ დეტალიზებული როდია სვეტიცხოვლის ტაძარი, როგორც ხუროთმოძღვრული ძეგლი. იგი მისგან გამოწვეულ განცდებს პოეტურად უსწორებს თვალს და ამ მოტივით ცდილობს მკითხველებს წარმოუდგინოს განთქმული ტაძრის გრანდიოზულობა.

მტკვრის მდორე ტალღებში პოეტს არ გამოპარვია შენიშნოს ასეთი პოეტური სურათი:

ვხედავ, უპოვნია სარკედ
ქალწულ სვეტიცხოველს მტკვარი.
და შიგ ანარეკლად ელავს,
და რეკს სიზმარეულ ზარებს.

მომდევნო ლექსი „ჯაჭვის ხიდი“ პოეტის ბავშვობისდროინდელ შთაბეჭდილებას ასახავს. აი, მოგონებიდან ამოდის რაჭა-იმერეთის ჯაჭვის ხიდი, რომლის ქვეშაც ახლა მეტივეთა მეტივური აღარ ისმის. პოეტი იგონებს იმ დროს, როცა წყალს სტაცებდა აბაზიანს და რაჭის მთებში ჯერ კიდევ ისმოდა მესტვირეთა ტკბილი სიმღერა.

რაჭა ულამაზესი მთაგორიანი კუთხეა, მაგრამ, რამდენიმე სოფელს გარდა, მაინც მწირ მხარედ შეიძლება ჩავთვალოთ. ეს გარემოება აიძულებდა ძველ რაჭველებს, წლობით მიეტოვებინათ ცოლ-შვილი და ევლოთ მთიდან მთად, ბარიდან ბარად ხან მესტვირეებად და ხან მეჭურჭლეებად, რათა ლუკმაპური ეშოვნათ და ოჯახი ერჩინათ.

ბერიკაცებო, ჭრელი კურტნებით
მთელი დუნია შემოგივლიათ,
დაკორძებულა თქვენი კუნთები,
თქვენი ფილტვები შებოლილია.

. . . . . .

რაჭულ ჭურების ნახოს სისავსე,
ვისაც მოუნდეს თქვენი გაცნობა,
რომ მეგულებით დედამიწაზე,
თქვენ დაგელოცოთ ბერიკაცობა!

თავის ნიჭს ოთარ ჭელიძე სხვა ლექსებშიაც არ ღალატობს. ამ მხრივ „ერთდღიანი ძეგლი“ შესანიშნავი ნიმუშია.

ჯარისკაცს ჰგავს პოეტი, რომლისთვისაც საჭირო არაა

ტყვია ჭრილობებისა და იარების გასაჩენად. იგი შეიძლება დაიჭრას სულში, მაგრამ არა ხანჯლით, არამედ განცდით და სულიერი ტკივილებით.

ლექსში „ღია ჭრილობები“ სწორედ პოეტის ასეთ იარებს ვხედავთ:

როგორც საქართველოს მთა-ველს,
ღია ჭრილობები მტკივა.
ვიცი, ჭეშმარიტად არის
ჩემგან შეჩვენების ღირსი...
ახალ ნატყვიარში მარილს
მაყრის გახსენება მისი.

რა შეიძლება დავინახოთ ამ გახსენებულში, თუ არა პოეტის რთული სამყარო მისი სიხარულით, ტკივილებით, ლტოლვით, აღმოჩენებით, დამარცხებით და გამარჯვებებით.

ამ ლექსის განცდა თავისებურად კოორდინატდება პოეტის მეორე ლექსში „გამოცნაურება“. მსგავსი რამ არაერთ ადამიანს განუცდია. აი, შედარებით ადრეულ ასაკში იფეთქებს სიყვარულის ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი და უეცრად მოვლენილი გრძნობა. იგი ნაადრევია და ამიტომ მოუმწიფებელი ნაყოფივით სულ უბრალოდ ძირს ცვივა და ქრება.

და ყველაფერი დავიწყებას მიეცა. გავიდა დრო, ვაჟიშვილი დაქორწინდა სხვა ქალიშვილზე, ხოლო იმ გოგომაც სხვასთან გაიჩინა მყუდრო ბინა, მაგრამ მათ წარმოდგენაში ისევ ცოცხლობს პირველი სიყვარულის ილუზია, ის შავი, მოღიმარე თვალები. ასაკს კი თავისი გააქვს და დაუნდობლად ანადგურებს ადამიანის განწყობას, მის ფიზიკურ მონაცემებს.

მასთან სად არ მირბენია
და როდესაც მარტო ვრჩები,
ვერც კი წარმომიდგენია
მის ღაწვებზე ნაოქები.

საოცარია პოეტისათვის ყოველი ღამე: დედა ეუბნება შვილს — გატეხე პური, ის კი „ღამეებს ტეხს პურის მაგიერ“.

უძილო ღამეებში ათასი ლანდები ღრუბლებივით მოდიან მისკენ და პოეტი წერს ლექსს „ძმაკაცს“...

არც არაკით მთვრალი, არც შეშლილი
ვარ,
ვხედავ ცხადია, განა სიზმარი,
მამას მარხავენ და მეშინია,
არ გაებზაროს კუბოს ფიცარი.

წავიდა მამა და სამარეში თან ჩაიტანა ომების ცეცხლით გაბოლილი ფილტვები. მისი აჩრდილი ძეგლივით მოდის შვილთან და მოუწოდებს კაცობისაკენ:

მამის სურათმა თქვა და მაშინვე
ჩადგა დაღლილი გული საგულეს.
და ამის შემდეგ ომახიანად
შენსკენ მეძახის გული ამდენ ხანს...
უღმერთო ღამის ტეხას კი არა,
ვარჩევ ძმაკაცთან პურის გატეხას...

რომ არ ყოფილიყო სამამულო ომი, იმ დროის მძიმე დღეები, არ დაიბადებოდა ამ ლექსის სიუჟეტი.

ეს წლები ახსოვს ბევრს, კარგად გვახსოვს ჩვენც... და ვინატრებდით, რომ აღარასოდეს გვენახოს ის მძიმე დღეები...

როდესაც „პეპერას“ ვკითხულობთ, თითქოს ვხედავთ კინოკადრს საქართველოს წარსულზე. კადრი მიყავს ქართველ

გლეხს ქიტესას, რომლის ნაოფლარ ცხოვრებაში კიბის საფეხურებივით მთელი ეპოქები ენაცვლებიან ერთმანეთს.

ქიტესა ყველაზე გავრცელებული სახელი იყო ძველ ქართლში. მისი სახით პოეტმა ოთარ ჭელიძემ წარმოგვიდგინა მთელი საქართველოს გლეხობა, რომლებმაც ჩვენი სამშობლო სისხლით და ოფლით მოიყვანეს დღემდე. ქიტესები იბრძოდნენ მარაბდაში და კრწანისის ველზე; ქიტესები საძირკველს უყრიდნენ ქართულ ციხე-ეკლესიებს და მათ კედლებზე გამოყავდათ ქვის ყვავილები; ქიტესები რგავდნენ ვაზს და უძირო ქვევრებს რქაწითლის წვენით ავსებდნენ.

ვინ დაითვალოს მეციხოვნეთა
რაზმში ქიტესა იყო რამდენი!
არ დამარხულან სვეტიცხოველთან,
თითოს ეღირსა თითო სანთელი.
გადავიწყებას ბევრი მიეცა,
თუმც მეფეებზე მაგრად იომეს,
სამ ჯარისკაცში თითო ქიტესა
ჰყავდათ გვაროვან ბაგრატიონებს.
ზოგს ქუხილივით გადაუვლია,
ზოგი ჩუქურთმის ჭრაში გათავდა,
ზოგი სპარსეთში დაკარგულია,
ზოგის სამარხი არის მარაბდა.

•

არც სახელისთვის, არც დიდებისთვის
არა სჩვეოდათ ხმის დაბოხება,
მათი აწმყო და მათი მერმისი
იყო მიზანში მტრის ამოღება.
ეჰა, მამულმა განა დაკარგა,
ვინც დაიტია ქვეყნის ნაღველი.
დედამ ქიტესა რად არ დამარქვა
ძველი ქართველი გლეხის სახელი.

პოეტმა ოთარ ჭელიძემ საქართველოს წარსულ გმირებს შორის უმალვე შეამჩნია ქიტესა, მაგრამ არა როგორც კონკრეტული, ისტორიული პირი, არამედ როგორც ზოგადი ქართველი გლეხი, ნამდვილი მამულიშვილი და იგი საკუთარი ფიქრის კერპად აქცია.

ლექსებს „პეპერას“ და „ქართველი გლეხის სახელი“ თითქმის ერთი განუყოფელი სიუჟეტი აქვთ. ორთავე ლექსში ქიტესას სულია ჩაქსოვილი; ამიტომ როდესაც პირველ მათგანზე ვლაპარაკობთ, თავისთავად ვგულისხმობთ მეორესაც. ამდენად, ვამთავრებთ რა მათზე საუბარს, დასასრულ მოგვყავს უკანასკნელი სტროფი „პეპერადან“:

ჩემში შენი სისხლი ღელავს,
მე არ მიცდის შინ შიმშილი,
მხოლოდ ლექსში შეგთხოვ შველას
შენ, შვილისშვილიშვილი.

აკი უსმინა ქიტესას აჩრდილმა პოეტს: მისი სახელის შთაგონებით მან შექმნა მამულიშვილური საგალობლები.

თაობათა ცვლის და გარდუვალობის ღრმა ფილოსოფია უდევს საფუძვლად ოთარ ჭელიძის ლექსს, რომელსაც „ძველი რექვიემი“ ეწოდება.

ახალგაზრდობას უფროსი თაობა მიუძღვება წინ, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ახალგაზრდობა თვითონ გახდება უფროსი თაობა მომავალთა და ასე შემდეგ...

აი, ჩვენ გვყავს საყვარელი მასწავლებელი. ერთ მშვენიერ დღეს ვნახავთ, რომ იგი ცოცხალი აღარ არის: მოკვდა თმაჭაღარა აღმზრდელი, რომელიც „წევს და სიკვდილითაც ჩემთვის ერთგულ მასწავლებლად იქცა“.

მეზობლები და მეგობრები გვიხმობენ ყოფილი მასწავ-
ლებლის ცხედართან. მძლავრდება ზარის ხმა და ყვითელი
ფოთოლივით მოწაფეთა ტალღა მაღლა იტაცებს კუბოს.

და ღრმად გაჭრილია, ალბათ,
მწვანე დედამიწის ბურთი,
სადაც ვიძირებით სწრაფად,
როგორც ჟამთასვლაში — წუთი.
ძველი რექვიემი კვნესის,
ნიშნად თაობათა შეცვლის.

ამ ლექსის წაკითხვა გულის იარებს გვიხსნის, მაგრამ მო-
მავალ თაობათა გახსენება გვიმთელებს ამ იარებს.

მელანქოლიურობას უფრო აძლიერებს ხშირად გამოყენე-
ბული რეფრენი, ანუ ტაეპები, რაც გარკვეული წესით მეორ-
დება. ასეთია:

ძველი რექვიემი კვნესის,
ნიშნად თაობათა შეცვლის,

რომელიც თერთმეტჯერ მეორდება მთელ ლექსში.

„აჯანყებული გული“... ამ ლექსში ჩვენ ვისმენთ ავტორის
საუბარს საკუთარ გულთან, რომელმაც გაცრა მისი სისხლი,
თვალები აუხილა და დიდ ცხოვრებას აზიარა.

ეს ლექსი არის პოეტის მთელი საიდუმლოების გამხელა
და ამბოხებული სულის გნიასი.

კრებულის ბოლო გვერდებზე მოთავსებულია ორი ლექსი:
„მჭედლის სიკვდილი“ და „ორი მარაბდელი“.

თითქოს უჩინარი და პოეზიისათვის გამოუსადეგარია
მჭედლის ცხოვრება, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით ამ

უბრალო ადამიანის საქმიანობას, ძალიან ბევრ საინტერესოს აღმოვაჩენთ მის პიროვნებაში.

კაცი, რომელიც ბავშვობიდან სიბერემდე სამჭედლოში გრდემლს სცემს, დაგვეთანხმებით, რომ უზომოდ შეყვარებულია თავის პროფესიაზე. მართალია, მისი მკლავები საბოლოოდ განტვირთეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილმა ქარხნებმა, მაგრამ მჭედელს კიდევ შერჩა თავისი პატარა ფუნქცია, რომელსაც იშვიათად თუ შეცვლის რამე.

დაუფასებელი იყო მჭედლის შრომა გასულ საუკუნეებში, როცა აგრერიგად ფასობდა ხმალი, ხანჯალი, თოფი, მუზარადი, ჯაჭვის პერანგი. მთელ რიგ თქმულებებში მჭედლები გამოყვანილი არიან მთავარ მოქმედ გმირებად. საკმარისია გავიხსენოთ ლეგენდარული მჭედელი ჰეფესტო.

მჭედლის ცხოვრებაში ოთარ ჭელიძემ თავისებური პოეზია დაინახა და მის სიკვდილს ასეთი სტრიქონები მიუძღვნა:

შეგინელდა, შეგიჩერდა
ცემა ცხელი გულის.
ტყეში მოჭრეს, გაგითალეს
კოჟრიანი ძელქვა,
შენის ხელით, შენის ხელით
გაპირული ცულით.

იმ სოფელში ყველაფერი მჭედლის გაკეთებული იყო. ეს ყველამ. და ყველაფერმა იცოდა, თვით მიწამაც კი, რომელიც ყინულივით ცივად შეხვდა მისგან გაჭედილ წერაქვს...

მჭედლის სიკვდილში პოეტს ყველაზე მეტად აფიქრებს მისი უსახელოდ წასვლა ამ ქვეყნიდან. რა ვუყოთ მერე, რომ მჭედელი დიდი მუსიკოსი ან ხუროთმოძღვარი არ ყოფილა.

იგი უბრალო ადამიანი იყო, მაგრამ თავისი მარჯვენით კეთილ საქმეს ჭედდა...

ლექსში „ორი მარაბდელი“ ასახულია განჯის გზაზე ტატო ბარათაშვილის და სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის შეხვედრის სურათი. მართალია, ერთი ყაჩაღი იყო, მეორე — გენიოსი პოეტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაშინდელმა ცხოვრების პირობებმა ეს ორი ადამიანი ერთ ბედქვეშ მოაქცია და უსამართლობის მწარე ნაღველი აგემა.

სწორედ ამ პირობებმა აიძულეს კეთილშობილი და სამართლიანობისათვის მებრძოლი ახალგაზრდა გლეხი არსენა ოძელაშვილი, იარაღი აესხა, ყაჩაღად გავარდნილიყო და მოშურნე მდიდრებზე გულისჯავრი ეყარა.

განდევნილი დავალთ სოფლად
მე ყაჩაღი, შენ — მგოსანი! —
თქვა არსენამ და გაშორდა
ერთურთს ორი ცხენოსანი.

ამ ლექსით მთავრდება ოთარ ჭელიძის ლექსთა კრებული. ჩვენი მიზანი არ ყოფილა, რომ მთელი კრებული თავიდან ბოლომდე სიტყვასიტყვით გაგვერჩია. ჩვენ მხოლოდ უნდა გამოგვეთქვა საერთო აზრი განხილულ წიგნზე და შევხებოდით საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს. ვფიქრობთ, დასახული მიზნისთვის მაინცდამაინც არ გადაგვიხვევია.

ოთარ ჭელიძე პოეტური სიმწიფის ასაკში შესული. მისგან კიდევ მეტს მოელიან პოეზიის მოყვარულნი. დაე, იმედი არ გაწბილებოდეთ მათ!

მუხრან მაჭავარიანი

„წიგნის შემოქმედი — ავტორია, მისი ბედის შემქმნელი — საზოგადოება“, — ამბობდა ვიქტორ ჰიუგო. თუ ამ შესანიშნავ სიტყვებს მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებას მივუყენებთ, ვნახავთ, რომ მას უკვე დიდი ხანია გაუღო ხალხმა გულის კარები.

იშვიათად ღირსებიათ ახალგაზრდა პოეტებს ისეთი საოცარი ბედი, როგორიც მუხრან მაჭავარიანს; პირველი ლექსების გამოქვეყნებისთანავე შეიქმნა აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ დრომ მკითხველთა აზრი ერთ კალაპოტში მოაქცია. აზრთა სხვადასხვაობა იმით იყო გამოწვეული, რომ ახალგაზრდა პოეტის ლექსები მაშინ ის-ის იყო იდგამდა ფეხს ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და, ცხადია, არ შეიძლებოდა შექმნილიყო ერთი საერთო აზრი პოეტის შემოქმედების გარშემო.

პოეტი რამდენიმე წელიწადში ბროკენის ჩრდილივით გაიზარდა და სულ მალე ნათელი გახდა, რომ მისი სახით ჩვენს დიდ პოეზიას მოევლინა უნიჭიერესი შემოქმედი, რომლის

ძალას საოცრად თამამი აზრი და ძალდაუტანებელი ხატვა ორიგინალურ სიცოცხლეს ანიჭებს.

მუხრან მაჭავარიანი ზემო იმერეთის მკვიდრია, რომლის სულშიც ასე საოცრად განფენილა ამ ულამაზესი კუთხის ხოდაბუნები, პერანგა მთების თოვლიანი ლაქვარდი, ჯალაბეთიდან. მოსული ზენაქარის ჩურჩული, საჩხერის ბაზრობა თუ არგვეთისაკენ მიმავალ გზაზე მანქანებისაგან ავარდნილი მტვრის კორიანტელი...

თავის ლამაზ პოეზიას სწორედ ზემო იმერეთს უნდა უმადლოდეს მუხრან მაჭავარიანი, რომლის ლექსები იკითხება, როგორც იქაური ბუნების იზოგრაფია.

„თუ ზუსტად იცი, რისი თქმაც გსურს, მაშინ კარგად იტყვი", — ამბობდა გუსტავ ფლობერი. ჩვენი სურვილი კი იმაში გამოიხატება, რომ მოკლედ შევეხოთ მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებას, სამართლიანად გავაშუქოთ ის.

მუხრან მაჭავარიანი რამდენიმე ლექსთა კრებულის ავტორია. ჩვენ ძირითადად განვიხილავთ პოეტის მიერ 1962 წელს გამოცემულ ლექსთა კრებულს, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ ჯამს პოეტის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზისა.

კრებულის თუნდაც ერთი გადაკითხვით შეიძლება ითქვას, რომ მუხრან მაჭავარიანი ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი ძალაა ჩვენი დღევანდელი პოეზიისა. მას ჰყავს უამრავი მკითხველი და თაყვანისმცემელი. თავის დროზე მიმბაძველებიც ბევრი გაუჩნდა დამწყებ თუ ახალგაზრდა პოეტებს შორის. ყველაფერი ეს მღაღადებელია მ. მაჭავარიანის ხალასი პოეტური ნიჭისა.

მუხრან მაჭავარიანის პოეზია ქართული ფესვებიდან იღებს

საზრდოს ჩვენი დიდი ლიტერატურის ეროვნული საგანძურის გასამდიდრებლად.

როგორც ყველა პოეტი, მ. მაჭავარიანიც ბავშვობის ტკბილი მოგონებებით საზრდოობს. მან დიდი ხანია დატოვა ზემო იმერეთი, მშობლიური არგვეთი, მაგრამ ის მთები ისევ ისე დგანან, როგორც მაშინ; ის მინდვრები ისევ ისე შრიალებენ, როგორც ბავშვობისას... ძირითადად პოეტის შემოქმედებითი სურათები მშობლიური სოფლის გაუხუნარ ფერებზეა გაშლილი.

პოეტი ათქმევინებს შოთას: მიწა არ ყველა მიწაა, მიწაც არის და მიწაცა...

დიაღ, მართლაც სხვა არის საყვარელი ზემო იმერეთის მიწა, მშობლიური ლაჟვარდები. იქ უფრო თავისუფლად შეუძლია შემოქმედს გაექცეს მაღალ სართულებს, რომ უფრო მეტი სივრცე იგრძნოს...

თავის „ბენგალიაში“ თაგორი იგონებდა: „გოეთე სიკვდილის სარეცელზე ითხოვდა: „მეტი სინათლეო“. თუკი მე ამ დროს სანატრელი მექნება რამე, დავუმატებ: „და მეტი სივრცე“, ვინაიდან მე უსაზღვროდ მიყვარს სივრცე და სინათლე“.

სივრცე აუცილებელი ატრიბუტია პოეტისათვის, რომ მის ფონზე ლექსები გაშალოს. როგორც ნახატი არარაობაა ფონის გარეშე, ისე არარაობაა ლექსი სივრცის გარეშე. ერთ ცნობილ იტალიელ მხატვართან მივიდა შეგირდი და სთხოვა, ესწავლებინა მისთვის კარგი ხატვა. ოსტატმა ჰკითხა, თუ რის დახატვა შეეძლო მას. ახალბედამ უპასუხა — ფონისო. მაშინ შენ დასრულებული მხატვარი ყოფილხარ, რადგან ფონის შესრულება ყველაზე რთულია; მე ახალს ვერაფერს გასწავ-

ლიო, — უპასუხა ხელოვანმა და შეგირდი უკან გაისტუმრა.

პოეტმა კი ფონის მაგიერ სივრცე უნდა დაუდოს სარჩულად ყოველ ლექსს. სივრცე იტევს მთელ კოსმიურ სამყაროს, მთებს, ადამიანებს, სოფელს, ქალაქს, რკინიგზებს... პოეტის ფიქრი კი ყოველგვარ კოსმიურ სიმაღლეზე უფრო შორს მიდის...

მუხრან მაჭავარიანის ჯანღონიანი ლექსები სოფლიდან იკვებებიან. რომ პოეტი არ დაბადებულიყო არგვეთში, მის პოეზიას სულ სხვა მიმართულება ექნებოდა და ჩვენ ვერ წავიკითხავდით „სიხარულს“, „სოფელს“, „ადამიანს“, „სახლს“ და უამრავ სხვა ლექსს, რომლებიც უსათაუროდ არის დაბეჭდილი კრებულში...

პოეტი არ შეიძლება იყოს დიდი ხელოვანი, თუ ის პირველ რიგში დიდი მოქალაქე არ არის, პატიოსანი, სამშობლოს ერთგული მხედარი.

მუხრან მაჭავარიანის მთელი შემოქმედება ნათლად ადასტურებს მის მაღალ მოქალაქეობრიობას.

მუხრან მაჭავარიანს არაერთი ძლიერი ლექსი აქვს მიძღვნილი წარსულისადმი. აქ განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მისი ხელწერა, როგორც ყოველთვის, აქაც ახალია.

განსაკუთრებით ბრწყინავს საბასადმი მიძღვნილი ლექსი. სულხან-საბა ჩვენი დიდი პატრიარქი და საქართველოსათვის წამებული მამა იყო, რომელმაც ცრემლნარევი ხმით წამოიძახა: „ჩემს უკან, ღმერთმა ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქნას“. ასეთი სულგრძელი სახელმწიფო მოღვაწე და უდიდესი შემოქმედი ისტორიამ ძალიან ცოტა იცის.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისი საქართველოსათვის

სახარბიელო არაა. ირანის შაჰმა ქართლის მეფე გიორგი XI თავისთან დაიტოვა და მისი ძმისშვილი ვახტანგ ლევანის ძე დანიშნა მეფის ჯანიშინად ქართლში. მალე ვახტანგიც ირანში წაიყვანა, რომელმაც იქიდან საიდუმლო კავშირი გაბა საფრანგეთთან. 1713—14 წწ. სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ელჩი, მოგზაურობს საფრანგეთში. მაგრამ ამაოდ. მართალია, მას ე. წ. იმპერატიული მანდატი არ ჰქონდა მიღებული მეფისაგან, მაგრამ მამულიშვილური გრძნობა უკარნახებდა გამოენახა საფრანგეთში რაიმე საშუალება, რათა საქართველოს დახმარებოდა; მაგრამ მისთვის არავის ეცალა. სულ უბრალოდ, ელიმინაცია მოუწყვეს მას და ისიც დაბრუნდა უპატრონოდ დარჩენილ ქართლში:

ორი ცრემლიდან საქართველოს გაჰყურებს საბა...
მამული
სისხლით გააჯერეს იმდენად მტრებმა —
წვიმას ვერ იტანს...
დროდადრო
ცრემლი
ისე
წვეთავს
საბას წვერიდან,
თითქოს
თოვლივით თეთრი წვერი —
თოვლივით დნება.

სულხან-საბასავით არაერთხელ ატირებულან საქართველოს ბედზე დიდი გურამიშვილი და ბარათაშვილი.

პოეტი მ. მაჭავარიანი ალაპარაკებს დიდ წინაპარს — გურამიშვილს, რომელსაც სევდის ტაბლა უდევს წინ და ჭიქა-

ში ცრემლი უსხია. ხოლო ბედდამწვარ ტატოს კითხვებს აძლევს, რაზედაც პოეტი უმალვე პასუხობს:

— კიდევ რა გელის?
— ჯვარცმა!
— მერე?
— მერე... დიდება! —
ოდეს ხორცისგან განიტვირთები.

მართლაც, ეს ორი ბუმბერაზი ადამიანი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ თავიანთი ლექსის ერთი სტრიქონიც არ უნახავთ დაბეჭდილი და, ცხადია, სრულებითაც არ იცოდნენ, რომ მათი სახელები შემდგომ ესოდენ დაამშვენებდა ჩვენი კლასიკური პოეზიის საგანძურს.

მ. მაჭავარიანი, უპირველეს ყოვლისა, დღევანდელი დღით სუნთქავს. თანამედროვეობა მან მრავალ ლექსში გამოხატა, რომელთა ღერძად დავასახელებდით ლექსს: „ზღვიდან ამოდის ხოლმე ამ დროს რუსთველის ლანდი“.

დღევანდელი ტექნიკის საუკუნე ისეთი კოსმიური სისწრაფით იკვლევს გზებს აღმოჩენათა სამყაროში, რომ, პოეტის თქმისა არ იყოს, ძნელია შეძლო გაოცების გარდა რაიმე. მართლაც, თვით ჟიულ ვერნისაც არ შეიძლებოდა წარმოედგინა ტექნიკის ასეთი ლეგენდარული მიღწევები. და ის პოეტი რა პოეტია, თუ იგი ამ გაუგონარ დღევანდელობას რითმებს არ აუწყობს.

— ან გამოხატე ეპოქა შენი, ანდა წერაზე აიღე ხელი! — ასეთია პოეტის დევიზი.

„ფერადი სიმღერა“ მუხრან მაჭავარიანმა უძღვნა განახლებულ სამგორს, რომელიც, როგორც იტყვიან, მკვდრეთით აღადგინა ახალმა თაობამ. ისტორიის პერგამენტები, მიწაში

ჩაკირული ძვლები, გადმოცემები თუ გათხრილი კატაკომ-ბები გორების ქვეშ, გვიდასტურებენ, რომ ერთ დროს სამ-გორში დუღდა ცხოვრება. აქვე აღმოჩენილი კატაფალკა, ანუ ხისთვლებიანი ეტლი წარჩინებულთათვის, მეტყველებს ყოვე-ლივე ამას. საუკუნეების განმავლობაში უდაბნოდ იყო ქცე-ული სამგორის ველები, ხოლო ეს ხელოვნური სამი გორა ეგვიპტური პირამიდებივით იდგა იქ.

თბილისის ზღვამ განსაკუთრებით ჩვენი ქალაქის ადამია-ნები გაახარა. აქ შეიძლება უსმინოთ თევზების დგაფუნს, პატარა კატერების საყვირებს, ახალგაზრდების ჟრიამულს; გალმით კი ხედავთ ვაზის ზვრებს და ყვითელ თავთუხებს. აქ არის ყველაფერი ის, რაც მ. მაჭავარიანს ათქმევინებს: „სამ-გორში ვარდი ამოდის... შეიმღვრა ცოლიკაური“...

განსაკუთრებით საინტერესოა განყოფილებები: „ჩვენე-ბურები“ და „დიალოგები წვიმაში“. აქ მოთავსებული ლექსე-ბი ადასტურებს, თუ რამდენად ზედმიწევნით იცნობს პოეტი ზემო იმერელთა ყოფა-ცხოვრებას, მათ ზნე-ჩვეულებებს...

„ვახტანგი“ მ. მაჭავარიანის ერთადერთი პოემაა, რომელ-შიაც ავტორი სახელგანთქმული მეფის ვახტანგ გორგასალის და თბილისის დაარსების ისტორიას ეხება. აქვე უნდა აღი-ნიშნოს ის გარემოება, რომ ზემოხსენებული ნაწარმოები ჩვეულებრივი კლასიკური ფორმით დაწერილი პოემისაგან არსებითად განსხვავდება, როგორც თავისი სიუჟეტით, ისე მისი განვითარებით და საერთო მთლიანობით. მართალია, იგი ქართლის ცხოვრების მეტად საინტერესო ეპიზოდს ასახავს, და დროითაც საკმაოდ დიდ მანძილს მოიცავს, მაგრამ მისი წერის თავისებურების გამო შეიძლება ვთქვათ, რომ პოემა მისი პირობითი სახელწოდებაა.

ვიხილავთ რა მ. მაჭავარიანის ლექსთა კრებულს, ჩვენი მიზანი არ არის, რომ ძირფესვიანად შევეხოთ მის თითოეულ ლექსს.

საერთოდ, ამ პოეტის შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა. აზრი თითქმის ყველას ერთი აქვს: ხალასი ნიჭის პოეტი... ჩვენც სავსებით ვეთანხმებით მათ; ამას გვიკარნახებს პოეტის ლექსთა უმდიდრესი სახეები, ეპითეტები, საოცრად მოქნილი და გაბედული თქმები, ქართული სულით ყელამდე ავსილი ლექსები.

საბოლოოდ, უხერხული არ იქნებოდა, თუ ნიჭიერი პოეტი მუხრან მაჭავარიანი ჩვენი აზრის საპასუხოდ გვეტყოდა ერთ-ერთი გენიოსი პოეტის სიტყვებს:

— ქებამ შემარცხვინა მე, რამეთუ იდუმალ მისურვებია იგი...

და ამ სურვილის უფლება მას ჰეშმარიტად აქვს!..

შოთა ნიშნიანიძე

კიდევ რამდენიმე წელი და მზადა ვარ ამოვიღო საუკუნის გასაღები ჯიბიდან, მაგრამ მე არ ვიცი, შევეხები თუ არა ჩემი საუკუნის ცხრაკლიტურს, რომლის გაღებაც ერთეულების ხვედრია. აი, უკვე 94 წლისა ვარ, მაგრამ მე მაინც არცთუ სუსტად ვგრძნობ თავს და რომ თვალებს არ ეღალატნათ, დღესაც საკუთარი ხელით განვაგრძობდი მონოგრაფიებზე თუ მოგონებებზე მუშაობას.

მე ღრმად მოხუცი, მეცხრამეტე საუკუნის დიდ ლიტერატურულ ტრადიციებზე გაზრდილი ადამიანი ვარ და ვცდილობ, არ ვიყო ჩამორჩენილი ლიტერატურული თანამედროვეობისაგან, რომელიც სულ სხვა, ახალი გზით მიდის.

განსაკუთრებით დაინტერესებული ვარ ახალგაზრდა ქართველ მწერალთა შემოქმედებით, მაგრამ... ძნელია ყოველდღე აწუხებდე ოჯახის წევრებს, რომ სისტემატურად გიკითხონ ჟურნალ-გაზეთები, მხატვრული ლიტერატურა ან კარნახით აწერინო რაიმე წერილი თუ შენიშვნები. ამ შემთხვევაში რადიო უდიდეს სამსახურს მიწევს. სწორედ რადიოთი გავიცანი ახალგაზრდა პოეტის შოთა ნიშნიანიძის შემოქმე-

დება, რის შესახებაც მინდა გესაუბროთ. ამ ნიჭიერ პოეტს ადრე მე არცთუ კარგად ვიცნობდი და ვთხოვე ჩემს შვილიშვილებს წაეკითხათ ჩემთვის მისი ლექსების ახალი წიგნი. მე მხედველობაში მაქვს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ 1964 წელს გამოცემული ლექსთა კრებული.

კრებულში ხუთი განყოფილებაა. პირველი ნაწილი „ერთი მუჭა მიწა“, ყოველგვაროი იდეალიზაციის გარეშე, წარსულის მშვენიერ დასურათხატებას იძლევა. იგი, მართლაც, ჭეშმარიტი საგალობელია ჩვენი სისხლიანი ისტორიისა, რომლის შესახებაც თუმცა მრავალი დაწერილა, მაგრამ ხელოვნების უკვდავებაც სწორედ ის არის, რომ ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს აძლევს საკუთარ ჭოგრიტს, რათა საუკუნეების მიღმა დაინახოს სხვისგან დაუნახავი სურათები.

...საქართველო მარად უკვდავია, „ვაზით და ფრესკით ჩემი მხარე მარად იცნობა“, — ამბობს პოეტი და სრულიად ზედმეტია, ამ ლამაზ სტრიქონებს რაიმე კომენტარი გაუკეთო. პოეტს უნდოდა ამ უკვდავ მხარეს „შეშველებოდა იმ საშინელ დროში“ და მისი ჩალისფერი დროშის ქვეშ მომკვდარიყო.

საქართველოს თავს ესხმოდნენ ურიცხვი მტრები. ქვეყნის გადასარჩენად ჩვენ მას ვაშენებდით ციხედ და ვედექით აუღებელ გალავნად. და თუ საჭირო იქნება, დღესაც ასევე გალავნად დავუდგებით ჩვენს სამშობლოს, „ვიცოცხლებთ? მისთვის ვიცოცხლებთ... მოვკვდებით? — არ დავაკლდებით — მის სახელს მივემატებით!“ — ასეთია პოეტის მამულიშვილური ღაღადისი.

რომელი ერთი ლექსი დავასახელოთ: „ციხე-ტაძართა სა-

გალობელი“, „ხევსური“, „ცა ქუდად, მიწა ქალამნად“, „ხმათა ქარაგმა“ თუ „მცხეთის ქალაქს მირონი დუღს“... ეს ისეთი ლექსებია, რომ ყოველი მათი სტრიქონი ციტირების ღირსია, მაგრამ ეს მეტად უხერხული იქნებოდა; სჯობს, ისევ თქვენ გადაიკითხოთ ხელახლა. ჩვენ მხოლოდ ერთ ნაწილს მოვიყვანთ ლექსიდან — „ცა ქუდად, მიწა ქალამნად“:

რა იყო ჩემი წარსული
— ომი მოყმის და ვეფხისა,
სიცოცხლე ჯაჭვის პერანგად
ტანს ბევრჯერ შემომეფხრიწა,
სიცოცხლე — ზღაპრად წასული
მეციხოვნისა, მეხრისა.
სიკვდილშიც ვიბადებოდი,
კაციც ვიყავი, ღმერთიცა,
ქვესკნელს ჩავსულვარ ვარძიად,
ცად ავვარდნილვარ ხერთვისად,
მეც მისვამს წყალი ალგეთის,
ხეკორძულისა, მცხეთისა.

შოთა ნიშნიანიძის ლექსთა მეტად თავისებურ წყობას, უბრალო სიტყვებს, მაგრამ მდიდარ პოეტურ სახეებს ჩვენ გადავყავართ იმ საუკუნეში, როცა ქართველი ფეოდალები შადიმან ბარათაშვილის, ქაიხოსრო ჯავახიშვილის, იასე ქსნის ერისთავის თუ ნუგზარ ერისთავის სახით ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ საქართველოს, ქრისტიანულ რჯულს, რათა საკუთარი ქვენა გრძნობები დაეკმაყოფილებინათ. კიკანათბერის ციხეში, ისე როგორც ლონდონის ნიუგეიტის საკნებში აბჯრიან რაინდებს, სულს ხდიდნენ ღირსეულ ქართველ მამულიშვილთ, სიკვდილით ემუქრებოდნენ გიორგი სააკაძეს, რომელიც საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდა, მაგრამ მის განზრახვას

განაპირების მოსურნე ფეოდალების ხელში ახდომა არ ეწერა; და იგი შვილთან ერთად სამშობლოდან გადაიხვეწა, სადაც თავი მოკვეთეს; მაგრამ, იულიუს ფუჩიკისა არ იყოს, ადამიანი არ პატარავდება იმის გამო, რომ თავს ჰკვეთენ. ასეა გიორგი სააკაძის საქმეც. მისი სახელით დღესაც ვამაყობთ ქართველები და ხშირად სუფრაზე ვმღერივართ ხოლმე კიდეც:

რა ეუთხრა იმა ქართველსა,
ვის ლხინი გაჰკვირვებია
და სააკაძე გიორგი
ერთხელ არ გახსენებია.

ამ მძიმე დღეებმა გაიარა...

ჩემო წინაპარო, ჰაუ რა გიქნია —
საუკუნეები შუბზე აგიგია!—
ციხე, ანძა, ხატი, საფლავები ღია —
მხარზე გაგიდევს და ზღაპრად წაგიღია...

შოთა ნიშნიანიძე ხშირად იყენებს ქართულ ხალხურ ლექსს, ხალხურ მოტივს, სარჩულად უდებს მათ საკუთარ ჩანაფიქრს და მის ქარგაზე წერს „ქართულ სიმფონიას“, მართლა სიმფონიას.

სადაური სად წასულხარ,
ცხრა მთას იქით, ცხრა არაკად,
საიდან გაქვს ეგ სიტურფე,
გამძლეობა, ხვავ-ბარაქა.
...შე პატარა მთა და ველო,
ვენახებში მიმალულო,
შე პატარა საქართველო,
ჩვენო დიდო სიყვარულო.

ციხე-ტაძართა ხილვის დროს ჩვენში იღვიძებს რაღაც გრძნობა, როგორც ბუდეში აზრივით გაჩენილი ბარტყი და იმ ქონგურებს აღვიქვამთ მიტოვებული ბუდეებივით, რომელშიაც ნაცრისფერი ცის უდაბურება იყურება შეუბრალებელი თვალებით.

პოეტ შოთა ნიშნიანიძეს მამულიშვილური გრძნობა უკარნახებს, იყოს ჩვენი მრავალჭირნახული ქვეყნის პოეზიით მეისტორიე, მხატვრული სიტყვით ქომაგი.

საქართველოზე უამრავი ლექსია დაწერილი, ამიტომ ახლა ძნელია შექმნა მამულიშვილობის გრძნობით გამთბარი ისეთი ლექსი, რომელიც შეიძლება მიიტანო მკითხველამდე და მათ გულში დაუმკვიდრო სამუდამო ბინა. შოთა ნიშნიანიძემ ამ საშიშროებას არათუ დააღწია თავი, საქართველოსადმი მიძღვნილ ლექსში ზენიტს მიაღწია და შეამკო იგი სიტყვის ხელთუქმნელი ჩუქურთმებით:

ვეფხვის ერთი ნახტომი, ერთი გულისძგერა,
ორბის ერთი კამარა, ერთი სუფრისხელა,
ერთი დედაშვილობა,
ერთი ფიქრი ჩემი,
ერთადერთი ჭრილობა,
ერთადერთი ცრემლი.
მზე რომ ამოსუტა,
ცა რომ გამოკვესა,
ერთი ამოსუნთქვა,
ერთი ამოკვნესა.
ერთადერთი სიტურფე, ერთადერთი სიბრძნე,
ერთადერთი სიმღერა ცისარტყელას სიგრძე,
სიცოცხლეს რომ მიადვილებს
თავს წყალობად დამდგარი,
ერთადერთი სინამდვილე,

ერთადერთი ზღაპარი.
ერთადერთი ვენახი ჟამით აუკაფავი,
ერთადერთი აკვანი, ერთადერთი საფლავი;
ერთი მზე და ერთი მთვარე.
ერთი მუჭა მიწა —
მიმიღია საქართველო
ანდერძად და ფიცად.

შოთა ნიშნიანიძემ არაერთი ლექსი უძღვნა საქართველოს წარსულს, იგი ერთგულია ამ თემის, ხოლო ეს ერთგულება მისი სიმპათიაა, მისი მამულიშვილური, ამაღლებული გრძნობაა და არა იდეალიზაცია გარდასულ საუკუნეთა...

ძნელია მიძღვნით ლექსებში დაამყარო ნამდვილი პოეტური სიმშვიდე, მიაღწიო ჭეშმარიტ ძლიერებას... მაგრამ როდესაც ჩვენ ვკითხულობთ შოთა ნიშნიანიძის ლექსებს მიძღვნილს კონსტანტინე გამსახურდიასა და პავლე ინგოროყვასადმი, თითქოს ვგრძნობთ ლექსის თავბრუდამხვევ სიმფონიას. ეს განაპირობა არა მარტო ამ ორი დიდი ადამიანის შემოქმედებამ, არამედ თვით პოეტის ჯანსაღმა აფექტაციამ და მისმა პოეტურმა სულგრძელობამ.

ყველა ჩვენგანი იცნობს პავლე ინგოროყვას, რომელსაც „ფიქრით დაღარვია სახე მოგვური“ და დადის მუდამ მოუცლელი. „ციხეზე ადის — ემატება ციხეს ქონგური, წიგნს მიუჯდება — ემატება წიგნებს ფურცელი“.

მისდამი მიძღვნილი ლექსის დასასრულს ვკითხულობთ:

დრო სწავლულისგან და მხატვრისგან
მოითხოვს პასუხს,

ორივე ერთად — აზრისა და განცდის მონა ვართ,
შევისწავლით და
ფანჯრებიანით დავხურავთ წარსულს
და შესასწავლად
ფანჯრებიანით გავხსნით მომავალს...

ხარის პრობლემა დიდი ხანია დასმულია როგორც ქართულ ხალხურ, ისე კლასიკურ პოეზიაში. ხარი, შეიძლება ითქვას, ნამდვილი კერპი იყო ქართველი ადამიანისა და ეს არც გასაკვირია: ხარმა, ხმალმა და ვაზმა ჭეშმარიტად გადაარჩინა საქართველო. „გუთნის ტარი და ხმლის ტარი საჭეა ქართლის ცხოვრების". ეს პრობლემა ისე ბრწყინვალედ და სადად გადაწყვეტილი ჯერ არსად წამიკითხავს, როგორც ეს შოთა ნიშნიანიძის შესანიშნავ ლექსშია გამოხატული.

წიგნის მთლიანი გაცნობისას დავრწმუნდი, რომ შოთა ნიშნიანიძე ერთნაირი სიძლიერით ხატავს ისეთ მარადიულ თემას, როგორც სიყვარულია, და ადამიანის რთულ ფსიქოლოგიურ განცდებს, მინიატურებს...

სიყვარული მთავარი საფუძველია კაცობრიობის არსებობისა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ პოეტს ამ საკითხისადმი მთელი ციკლი აქვს მიძღვნილი, რომელშიც ბევრი ღრმად გააზრებული და ტკბილი ლექსია შესული.

შოთა ნიშნიანიძის სიყვარულის თემაზე დაწერილი ლექსებიდან ნათელია, რომ პოეტი საკმაოდ ღრმად წვდება ქალის ბუნებას, მის სულს. მოვუსმინოთ სტრიქონებს მისი წიგნიდან:

ზოგჯერ თვალებში ცრემლი გერევა —
აღარ ჩერდები და თავს მაბეზრებ,
და შენც ბავშვივით უცდი შემთხვევას,

რომ გამებუტო მცირე რამეზე;
რომ გამებუტო და გამომტყუო
მეტი ალერსი, მეტი ფერება,
შენ ქალი ხარ და ვერ გაგამტყუნებ —
ეს არის შენი ბედნიერება.

•

აი, ყოველდღე მოსვლას ვაპირებ —
რამე საბაბი ძინდა მოვძებნო;
ვარ უგუნებოდ და ვწევ პაპიროსს
და მთელი ღამე შენზე ვოცნებობ.

•

ნუ, ჩემო კარგო, ნუ გეწყინება,
ნურც ნურასოდეს დამემდურები,
თუ შენს ჩივილზე გამეცინება,
თუ ღიმილს მგვრიან საყვედურები...

შოთა ნიშნიანიძის სამყაროს განუყოფელი სტიქიონია ქარი. ქარს პოეტი წარმოგვიდგენს, როგორც სულიერს, მოაზროვნეს, აქტიურ ძალას. ქარი გრიალებს მის მთელ რიგ ლექსებში, როგორც ძლიერი ეფექტი საღებავთა: „ქარში ნაწვიმარი ხეები გუგუნებენ“, „ქარი შენებრ იცინის“, „ქარი ორღობეში ჩრდილებს მიდენიდა“, „ქარი ჩაჯდა ორღობეში დაფეთებულ ციყვად“, „ტყისპირ ჭიხვინებს აშვებული ქარი ფაშატი“...

მინიატურები საკმაოდ რთული პოეტური ჟანრია. ეს სირთულე იმაში გამოიხატება, რომ ორიოდე სიტყვით პოეტმა უნდა დახატოს შთამბეჭდავი სახე, დაუვიწყარი სურათები. შოთა ნიშნიანიძე შესანიშნავად ხატავს ასეთ სურათებს, რასაც ამტკიცებს „ნაადრევი ნაყოფი“, „ცეცხლი“, „...დილა ატმებში შეყუჟულა“ და მრავალი სხვა. „სიტყვა მოქნილი ჯობია“, — გვაფრთხილებს ნიზამი საუკუნეების სიღრმიდან

და ეს მოქნილობა თან სდევს ნიშნიანიძის ყველა მინიატურას.

მოვუსმინოთ რამდენიმე მათგანს:

შენ იმ მწვერვალზე დაიდგამ კარავს,
თუკი საგზალი ბოლომდე გეყო,
თურმე ამ მთებში ჩურჩულიც კმარა,
რომ ქუხილივით გაგზარდოს ეხომ.

ან

ქალსა და ნახატს საერთო აქვს ერთი თვისება:
უნდა მრავალჯერ შეიცვალო ჭვრეტის მანძილი,
რომ უფრო სწორად შეაფასო მათი ღირსება
და უფრო იგრძნო სილამაზე მათში განცდილი.

შოთა ნიშნიანიძეს შექმნილი აქვს მინიატურების დიდი პროდუქცია, რომელთაც რაოდენობასთან ერთად ძალზე მაღალი პოეტური ხარისხი გააჩნიათ.

სახეებით აზროვნება და ფილოსოფიური ჭვრეტა აუცილებელი პოსტულატია შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებისათვის. იგი თანამდევია მისი თითოეული ნაბიჯის, დაფიქრების, დაღონებისა თუ სიხარულის.

შოთა ნიშნიანიძე პოეტს მონადირეს ადარებს; იგი აღნიშნავს, რომ პოეტი ესწრაფვის სულის მილევით ნადირობას დაფიქრების სამყაროში, სადაც „მსხვერპლი“ მისი შეიძლება იყოს სიტყვა და მხოლოდ სიტყვა, რომელიც მისთვის არის „თოფიც, მიზანიც, ნანადირევიც“...

შოთა ნიშნიანიძე ქართული ბუნების ღვიძლი შვილია, იგი აქაც იჩენს ნოვატორობას და სოფელზე წერს ლექსს, რომელშიც არ იგრძნობა არც ტრაფარეტი და არც ყალბი პათოსი. მასში ჩვენ გვესმის სოფლის სურნელი, ყვითელი ფოთ-

ლების შრიალი, ჭრიჭინას გაბმული სიმღერა, რომელსაც წინ თითქოს საკერავი მანქანა უდევს და შემოდგომის კაბას კერავს.

სოფელში რომ ვარ,
ქალაქისთვის მელევა გული,
თბილისში რომ ვარ, სოფელი მსურს, გითხრათ მართალი,
როგორც ზამთარში მოგვინდება ხოლმე ზაფხული,
ანდა ზაფხულში გვინდა ზამთარი.

სოფელს უძღვნის შოთა ნიშნიანიძე მომდევნო ლექსსაც. აქაც თითქმის იგივე განცდაა, იგივე მსუქანი შემოდგომა ლვინის ტიკჭორით, ხილის ძღვენით, ყანის სურნელით და მათთან ერთად უსხედან სუფრას.

დედის წერილი,
მოკითხვები,
საყვედურები...

მშვიდობის და ომის თემაზე უამრავი ნაწარმოებია შექმნილი. გაივლის დრო და მათ რიცხვს კიდევ მრავალი ქმნილება მიემატება. ასეთი მოთხოვნილება და აუცილებლობა მშვიდობის საკითხისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებზე გამოწვეულია იმ უდიდესი პრობლემით, რომელსაც კაცობრიობის არსებობა ეწოდება.

შოთა ნიშნიანიძემ აღნიშნულ საკითხს უძღვნა ლექსი „ყავარჯნიანი". ამ ლექსში ჩვენ არ გვესმის არც ერთი ტყვიის გასროლის ხმა, არც ერთი დაჭრილი ჯარისკაცის კვნესა, მაგრამ ყავარჯნიანი კაცის გამოჩენა ეპილოგია სისხლიან ბრძოლათა

ეპოპეისა. ამ ეპილოგში ჩანს მთელი ბრძოლების შედეგი: სიკვდილი, შავები, ხეიბრები... პოეტი შეჰღაღადებს ბუნებას:

ო, სულო ტყისა,
დედავ ხისა, —
ფესვო და ყლორტო,
ნუ გაიზრდებით ნურასოდეს სახრჩობელებად,
ნურც ნურასოდეს დაითლებით საფლავის ჯვრებად,
ნურც ნურასოდეს ყავარჯნებად გაგთლიან... ამინ!

„უბის წიგნაკი". უბის წიგნაკი განუყოფელია ყველა პოეტისა და მწერლისა. შოთა ნიშნიანიძეც უბის წიგნაკთან ერთად დადის ქუჩაში სასეირნოდ. გზადაგზა ხსნის მას პორტსიგარივით და „სიგარეტივით აბოლებს ჯიშიან სტრიქონს".

აი ჯუჯა ხე... საოცარია ხეთა ცხოვრება, მათი უმოძრაობის ფილოსოფია, კვირტების გულმავიწყობა და ფესვების ფენომენალობა.

ჯუჯა ხე დგას მარტოდმარტო უღრან მთაში და გაჰყურებს მზით გავარვარებულ ტიალ კლდეებს.

აი, რაღაც იდუმალი ძალა ყვირის გაღმიდან და კლდის მკერდიდან ასხლეტილი ექო უკანვე უბრუნდება მის გამომწვევს. ძლიერია ეს ექო, მაგრამ იგი ქაფივით მალე კვდება და უტოლდება ნამდვილ ხმას. „ექოა ხმათა ეპიტაფია".

ხმის და ექოს საიდუმლოება პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ დაუკავშირა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. ზოგი ადამიანი ისე კვდება, რომ მისი სახელი მალე დავიწყებას ეძლევა, ზოგი კი სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობს. ამ შემთხვევაში სიკვდილი სიცოცხლეს უტოლდება. პოეტისათვის კი ისიც საკმარისი იქნება, თუ სიკვდილი მისი სიცოცხლის ეპიტაფია იქნება.

ეს აზრი მან გამოხატა ლექსში „ექო“, რომელსაც პარალელურად დაუკავშირა რიტმების ფილოსოფია: „ხილვა: რიტმები“.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ არ ვიცით, რა არის რიტმი. მაშინ მის ასახსნელად ზემოაღნიშნულ ლექსს ვესესხებოდით:

ეს რიტმი ეწეოდა ღმერთისკენ
ციხე-ტაძრებსა და მაჩუბებს,
საუკუნეები შერისხეს,
ზეცა ნუმბათებით დაშუბეს.

პოეტი საყვარელ შვილთან საუბრისას მისსავე ტოლად იქცევა და მეზღაპრის ენით საუბრობს. ამ ზღაპარმა აქცია იგი სპილოსთან, მგელთან და მელიასთან უძლეველ მორკინლად, ხოლო დააძმობილა ლომთან და ვეფხვთან.

და როცა მოყვარული მამა თავის შვილს შორდება, გულში ნაღვლიანად მიმართავს მას:

გაიზრდები და, შვილო, გაარჩევ
სინამდვილეს და ზღაპარს,
იგავისა და ეპვის გარეშე
ნახავ მათ შორის ნაპრალს.
გაიზრდებიან, შვილო, ბავშვები,
ნახავენ ათას რამეს,
ჰოდა, მამებში აღმოაჩენენ
მთლად ჩვეულებრივ მამებს.

ზედაპირულად ეს ლექსი თითქოს ძალიან უბრალოა, თითქოს მხოლოდ ბავშვისთვისაა დაწერილი, მაგრამ საკმარისია კარგად ჩავიხედოთ მის სიღრმეში, რომ უმალვე დავინახოთ კრისტალურად ფილოსოფიური აზრი.

ბერძნულმა მითოლოგიამ მსოფლიო საზოგადოებას დიდი

ხანია გააცნო ნახევრად ზღაპრული ადამიანები — ამორძალები. ეს ცხენებზე ამხედრებული ქალები ჩადიოდნენ არნახულ საგმირო საქმეებს, რის შესრულებაც თვით მეომარ ვაჟკაცებსაც არ შეეძლოთ. შოთა ნიშნიანიძემ ლექსში „ამორძალები“ მოგვცა ასეთი ფერწერული სურათი:

მამრი უარყვეს...
და ხედნიან ველურ ულაყებს...
მამრი უარყვეს...
ნანადირევის ტყავეული აცვიათ ჯუბად.
ფაზისს უწვდინეს
თერმოდონტზე ნასროლი შუბი...
ვახშმად სხდებიან კოცონებთან...
ხარს ატყავებენ
და მსხვერპლს სწირავენ იდუმალ და
საშინ ღვთაებებს...

შოთა ნიშნიანიძის მთელ შემოქმედებას საერთო სათაურად შეიძლება ვუწოდოთ „მეტაფორა“. მართლაც, თავის ლექსებში იგი უამრავ მხატვრულ ხერხს, შედარებებს, ტროპებს და მეტაფორებს იყენებს, რაც მის მაღალ ნიჭიერებაზე მიგვითითებს. ასეთი ხერხები პოეტს მარტო ლექსის შინაგანი ბუნების გაძლიერებისათვის კი არ აინტერესებს, არამედ მისი გარეგნული ფორმის დახვეწისთვისაც.

ჩვენში ისეთი ადგილი ვიცი,
ისეთი ვიცი ტყე და გორები,
სადაც ყოველი კუნჭული მიწის
დანაღმულია მეტაფორებით.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ მისი მხატვრული ხერხების რამდენიმე ნიმუშს:

„აბრეშუმდება ცა საღამური, ძირს მობალახობს ჩრდილების სისქე“... „ფეხქვეშ მივარდება მთელი დედამიწა“... „გაზაფხულის სუნთქვამ დაარწია რტონი“... „და მზე ამოდის მარადიულ ობელისკივით“... „მეც ამ გაზაფხულივით ტანში ვერ დავეტევი“... „დამსკდარ კვირტებიდან გამოჩნდა აპრილის საკაბე“... „გადამხობილა ბოგირი არხზე და ვერ გამძღარა ამდენი წყლის სმით“ და უამრავი სხვა.

ამით ვამთავრებთ შოთა ნიშნიანიძის მხატვრულ ნიმუშებზე საუბარს. მისი სახით ქართულ პოეზიას ჰყავს ორიგინალური ხმის პოეტი, რომლის შემოქმედება დღითიდღე იზრდება.

დიახ, შოთა ნიშნიანიძე ერთ-ერთი უნიჭიერესი შემოქმედია!

ბედნიერება იმის ხვედრია, ვინც ბევრს შრომობს, — ეუბნებოდა ლეონარდო და ვინჩი მოწაფეებს. და ჩვენი ახალგაზრდა პოეტიც ბედნიერია; შრომობს და იმკის პოეტურ ბედნიერებას.

„მოზაიკა“ და „წარმართული მელოდიები“

ნაზი კილასონია ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებული პოეტია. ეს სიტყვები მისმა ახლახან გამოქვეყნებულმა ლექსების კრებულმა მათქმევინა. აქვე ისიც უნდა ვაღიარო, რომ მის პოეზიას დღემდე ნაკლებად ვიცნობდი და ვერც კი წარმომედგინა, რომ „ნუკრია“ და უსათაურო „ვაი, რა ცუდად გიცვნივარ“ ნაზი კილასონიას დაწერილი იყო. ეს უკანასკნელი ხალხურიც კი მეგონა.

ამ რამდენიმე წლის წინათ ზემო იმერეთში, ჩემს საყვარელ სოფელ ბჟინევში, მთვარიან ღამით, როდესაც ჩემი შვილიშვილები მეზობლის გოგო-ბიჭებთან ერთად ამ ლექსს სიმღერად არაკრაკებდნენ ხოლმე, კიდევ ვიმეორებ, ვერც კი ვიფიქრებდი, რომ იგი ხალხური არ იყო.

მაპატიოს საყვარელმა პოეტმა ეს დანაშაული...

მაგრამ ბედნიერება ისაა, რომ მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტი ქალის ლექსი უკვე გახალხურებული იყო...

ახლა „ნუკრიას“ შესახებ: ამ ლექსის სიტყვებზე შექმნილი სიმღერა არაერთხელ მომისმენია რადიოში შესანიშნა-

ვი მომღერლების დები ჩაფიჩაძეების შესრულებით. თითქმის ზეპირადაც ვიცოდი და აი ახლა, როდესაც ჩემმა შვილიშვილებმა პოეტი ქალის ლექსთა ახალი წიგნი წამიკითხეს, მე უკვე ისე ვისმენდი მას, როგორც ძველს, ნაცნობს, ახლობელს...

ნაზი კილასონიას ლექსებში, უპირველეს ყოვლისა, იგრძნობა ქალის სათუთი ბუნება... იგი თითქმის ყველა ლექსში ქმნის ქალის და სიყვარულის ამაღლებულ სიმფონიას. პოეტი უსულო საგნებსაც კი ქალის სხეულით და სამოსელით ასახიერებს; ასკილში მთრთოლვარე ქალის პატარა გულმკერდს და მოკლე გამჭვირვალე კაბას ხედავს, ჭიამაიასთვის პატარა გოგოს მოლისფერ კაბას აკერინებს, ცხოვრობს იების სიზმრებით...

დედობის უმაღლესი ჰიმნია მოცემული ნაზი კილასონიას ლექსებში „მამუკა“ და „გიო“. კითხულობთ ამ ლექსებს და თითქოს სტრიქონებიდან, როგორც ნისლი, ამოდის დედური სითბო, მისი ალერსი...

პოეტი ქალის დიდი ბუნება დავინახე, როდესაც წავიკითხე ლექსის ბოლო სტრიქონი:

ოღონდ ნუ ჰკვირობ
მარტოდ სიარულს,
ოღონდ ნუ ჰკითხავ: „მამა რა უყავ?“
ეს გაუმარჯოს ქალის სიყვარულს —
უმამო შვილს რომ არქმევს „მამუკას“.

საპირისპიროდ ქართული ხალხური ლექსისა: „ვაით გშობე, უით გზარდე“, ნაზი კილასონია სულ სხვა განწყობით მიმართავს შვილს, რომელიც ჯერ არც კი გაჩენილა. ეს არის ლექსი „გიო“.

და ვიდრე მართლა
მოხვალ ამქვეყნად,
ჯერ უნდა მხოლოდ
სიზმრებში მდიო.
მე სევდიანად გპირდები ეხლაც:
მოხვალ,
სიცოცხლეს გაჩუქებ, გიო!

ვისაც შვილის სიყვარულით, მისი მოლოდინით გამოწვეული ბედნიერება განუცდია, შეუძლებელია გულაჩუყების გარეშე წაიკითხოს ეს ლექსი...

პოეტი ქალი ეძებს ტკბილი ცოლქმრული ურთიერთობის მიზეზს. ვინ არის ამ ოჯახური ბედნიერების შექმნის თავი და თავი? ვინ არის კარგი — ცოლი თუ ქმარი?

პოეტი თვითონვე პასუხობს საკუთარ კითხვაზე და დაასკვნის, რომ ქალი კარგია, იგი სულ სახლშია, აღარ წერს ლექსებს, აღარ იკეთებს თმებში ყვავილებს და „სულ აკვნებისკენ მიუხარია!“

გარეთ კი ისე ნორჩი ქარია!
გარეთ იმდენი კარგი ქალია —
რომ აჰა, ლამის დაკარგოს ტოლი,
და მაინც,
რარიგად უყვარს „ჩამქრალი“ ცოლი!
მაშ, რომელია კარგი:
ქალი თუ ქმარი?
— რასაკვირველია, ქალი!
— რასაკვირველია, ქმარი!

სიყვარული, ქმარი, ოჯახი, ბავშვი პოეტი ქალის უმთავრესი საფიქრალი და საზრუნავია. პოეტის ლექსებში მისი

ჯირადი, ოჯახური ბედნიერებაა ასარკული, მისი დედური და ქალური სულისკვეთების უდიდესი ნაწილია მოცემული.

და ეს გასაკვირიც არაა. ყველა ჯანსაღი, ყველა ჭეშმარიტი დედა ბედნიერი უნდა იყოს მის მიერვე შექმნილი ოჯახით...

ლექსებში — „შენ გაგიმარჯოს, პატარა გოგო“, „ბეატრიჩე ჩენჩი ეშაფოტზე ადის“, „ვიტორია კოლონნა — სატრფო მიქელანჯელოსი“, „მარჯორი უორდროპი“, „მინდა ეს ლექსი შენც მოგხვდეს გულთან“, „მონადირე“, „ზამთრის ზღაპარი“ — ორიგინალური პოეტური სახეებია მიკვლეული, მართალია, ყველა ამ ლექსის ძირითადი თემა ქალია და ამდენად ისინი ერთმანეთისაგან ბევრით არ უნდა განირჩეოდნენ, მაგრამ მათი პალიტრა და განწყობა იმდენად სხვადასხვაა, რომ ერთი ლექსი მეორის ასოციაციას არ იწვევს.

მოკლედ, პოეტი ქალი სიყვარულით და ოჯახური ბედნიერებით ცოცხლობს.

არ მწამს სიცოცხლე უსიყვარულოდ,
მე ქალი ვარ და ვერ გამამტყუნებთ...

„მოზაიკის“ განყოფილებაში ზემოთ განხილულ ლექსებს გარდა დაბეჭდილია კიდევ რამდენიმე სხვა განწყობის და ასოციაციის ლექსი. ესენია: „თებერვლის პირზე“, „დიდი ნაძვები“, „მამა“, „დაბერდა პოეტი“, „მოდის პოეტი“, „წითელი შინდი“ და სხვა...

მწუხარება და სულიერი ტკივილი მოხუცი მამის მიმართ პოეტ ქალს სადა და დამაჯერებელი ფერებით აქვს მოცემული.

მას ახსოვს ერთ დროს ჯანსაღი და ამაყი მამა, მისი მოსიყვარულე თვალები... ახლა კი... მისთვის, „საღამოს ლანდი მოახლოებულა“, მოღლილია, ნაჯაფარი და „საცოდავი მხრები“ უღონოდ ჩამოშვებია ძირს... პოეტი უსაზღვრო სულიერი ტკივილით შეჰყურებს ამ ამბავს და ამბობს:

ვაიმე:
უშენოდ
სიცოცხლის ხე ვარ და
ვხმები,
მამა!
მინდა
ავწიო და
პატიოსან ქვეყანას ვუჩვენო
შენი ნაჯაფარი მხრები,
მამა!
თვალებს ნუ მარიდებ
უტყვი განაჩენით,
მამა!
შენ ხარ
სიყვარული პეშმარიტი,
სხვა კი? —
დანარჩენი,
მამა!

ეს არის მამაშვილური აღსარება; ეს არის მადლობა მშობლის მიმართ მისი დიდი ამაგის სანაცვლოდ; ეს არის თანაგრძნობა მამის მოხუცებულობის მიმართ; უბრალო, მაგრამ მალამოსავით აუცილებელი თანაგრძნობა...

კრებულში ერთიერთმანეთის გვერდით დაბეჭდილია ნ. კალასონიას ორი ლექსი: „დაბერდა პოეტი“ და „მოდის პოე-

ტი“. მიუხედავად სათაურთა მსგავსებისა, მათი პოეტური ქარგა და განწყობა სულ სხვადასხვაა. პირველ ლექსში ჩვენ ვხედავთ სახელმოხვეჭილ, მაგრამ მოხუც პოეტს, რომელსაც ცოლი ბებრული ჟინით დაბამბულ ჟილეტს უკერავს; პოეტი კი გაჰყურებს სივრცეს და, ვით ყრმობის სახსოვარი, საწოლზე ჰაინეს წიგნი უდევს.

და აი ამ დროს:

ვიღაცა ქვევით
ჩერდება რიდით:
„აი, აქ ცხოვრობს
პოეტი დიდი,
პოეტი დი-დი“...

ზოლო ოთახში:

ქანაობს სკამი,
ვით საქანელა,
სულ ნელა, ნელა...

პოეტი ქალი ამ გარდუვალი ასაკობრივი ცვლილებების შედეგების გადმოსაცემად ისეთ სიტყვებს და სახეებს იყენებს, რომ ბრწყინვალედ აღწევს თავის სათქმელს.

ლექსში „მოდის პოეტი“ მე ვხედავ თვით პოეტ ქალს, თავის საყვარელ პირმშო პატარა დათუნასთან ერთად.

ღამეა... მთვარე სარკმელში შემოდის და ბიჭუნას თმები მისი სხივებით ივსება. ბავშვს ხელში ხავერდის დათვი უკავია და ეჩვენება მის შუშის თვალებს, რომ ქრიზანთემები ფინიებს გვანან.

— უცნაურ რამეს ნუ ამბობ, ბავშვო,
ეს ყვავილია. ის — ძაღლი უშნო...

მიმართავს დედა თავის პატარას და სთხოვს უსმინოს ზღაპრებს, ჭამოს წითელი ვაშლი და დაიძინოს. ბავშვი კი ტუჩებს კუმავს და

პატარა ტანით, პატარა ტვინით
ის ელოდება სტვირების ტირილს.
...ის ელოდება ზარების კივილს,
ზეკაცურ ტკივილს.
ჯერ კი ამ ლოდინს ბავშვობა ჰქვია...

დიახ, შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, პატარა დათუნა, შენ უნდა გაიარო ეს ასაკი და მერე:

სერების მიღმა,
დიდ გათენებას ელოდე დიდხანს,
დიადო ბავშვო!

ერთი შეხედვით, თითქოს უბრალო, ჩვეულებრივი ლექსია, მაგრამ თუ კარგად გადავიკითხავთ მის ყოველ სტრიქონს, ამ ლექსს შეიძლება საკაცობრიო, პრობლემატური ვუწოდოთ...

კრებულში მოთავსებულია აგრეთვე ნ. კილასონიას შესანიშნავი ლექსი „წითელი შინდი", რომელიც დიდად ნიჭიერ პოეტს გაბრიელ ჯაბუშანურს ეძღვნება.

ყველაზე მთავარი, რაც „მოზაიკის" განყოფილებაში შეინიშნება, ესაა თვით შემოქმედის ბედნიერი და მოსიყვარულე სულის პოეტური ამეტყველება. თითქმის არც ერთ სტრიქონში არ ჩანს ავტორის სევდიანი დამოკიდებულება სიცოცხლისადმი. მას, როგორც ჩანს, არ უყვარს სევდიანი, ავადმყოფური ლექსი. პირიქით:

მინდა ეს ლექსი შენც მოგხვდეს გულთან,
მინდა მეც მქონდეს პწკარი ძლიერი,
საქართველოში რომ ერთად ვსუნთქავთ,
სწორედ ამიტომ ვარ ბედნიერი.

კრებულის მეორე განყოფილებაში წარმოდგენილია ლექსთა ციკლი, რომლის საერთო სათაურია „წარმართული მელოდიები". ეს არის სრულიად ახალი და თავისებური სიტყვა ნაზი კილასონიას შემოქმედებაში.

„წარმართული მელოდიები" — ესაა პრეისტორიაში დაბრუნება; ესაა დღევანდელი მხატვრის მოგზაურობა იმ უხილავ და გარდასულ ლაბირინთებში, რომელიც დიდი ხანია დავიწყების ფერფლში დამარხულა.

თუ „მოზაიკის" განყოფილებაში წარმოდგენილ ლექსებში მთლიანად დღევანდელობაა ასახული, „წარმართულ მელოდიებში" ავტორი მთლიანად პრეისტორიას ეკუთვნის.

აღნიშნული ციკლით ავტორი ცდილობს დაინახოს ქართული და უშუალოდ კი მეგრული წარმართული პანთეონის ღვთაებანი: მნათობ-ღვთაებათა შვიდეული.

წინა და ბოლოთქმას შორის პოეტს მოცემული აქვს შვიდი სიმღერა, რომელთაგან თითოეული მიძღვნილია კვირა-შვიდეულის დღეთა წარმართული სახელებისადმი. ესენია: სიმღერა პირველი: კვირა, ბჟაშხა, ანუ დღე მზისა; სიმღერა მეორე: ორშაბათი, თუთაშხა — მთვარის დღე; სიმღერა მესამე: სამშაბათი, თახაშხა — დღე თარხონისა; სიმღერა მეოთხე: ოთხშაბათი, ჯუმაშხა — დღე მოგზაურთა; სიმღერა მეხუთე: ხუთშაბათი, ცაშხა — დღე ცისკრის ვარსკვლავისა; სიმღერა მეექვსე; პარასკევი, ობიშხა — დღე წვიმისა და

ღრუბლისა; სიმღერა მეშვიდე: შაბათი, საბატონი — დღე მორიგისა, ბედის მწერლისა.

...პირველი სიმღერა მზის საგალობელია. მზის ეშხით სულ სხვანაირი დღე თენდება, მღერიან ლელები და მართვეები:

ბზეო —
დღეს შენი დღეა. შენ მყავხარ გვერდში,
ჭინკველა რაა, დღეს არც მას ვერჩი...
გუშინ რომ სისხლი ვადინე მტერს,
დღეს ვეთამაშები...

სამაგიეროდ მთვარის ეშინია პოეტს. ის ლამაზია, მაგრამ მრისხანეა მისი რვალიანი ხელები (სიმღერა მეორე); იგი ბრძანებს და მიართმევენ ხარებს და ნადირთა ჯელგას, ბრძანებს და მიართმევენ ვაჟს და ქალიშვილს.

გისმენ, მბრძანებელო,
    გისმენ:
მე ობლად დავაგდებ ცოლსა და შვილს,
შვილს, ტბების უმანკო შროშანად შლილს,
ცოლსა და სარეცელს, კვამლიან ქოხს,—
რადგან შენ ბრძანებ,
რადგან შენ მთხოვ...
და შენ სამოსელი ჩამაცვი თეთრი,
შიგ გულში დამეც მახვილი მკვეთრი.

სიმღერა მესამე — დღე თარხონისა...

თარხონს შეუძლია გააკეთოს ცუდიც და კარგიც; მას შეუძლია ბრძანოს და კაცმა დააგდოს სახლი, ლამაზი ცოლი, ერთგული ძაღლი, მაგრამ მას შეიძლება სთხოვონ სიკეთეც, რომ არ გაუჟლიტონ უმწეო ყრმები და მტერმა ვერ ნახოს „მიჯნურის ჩემის ლამაზი წელი“.

გისმენ შენ, თარხონ,
მტერმა ვერ ნახოს
თავჩაკიდული წიქარა ჩემი.
გისმენ შენ, თარხონ!
ვკაფავდი ახოს,
ვთიბავდი სათიბს,
ღიღინით ვმკიდი,
მე ვიყავ მშვიდი. და ახლა, თარხონ,
მომხდურს მიჩვენებ მარჯვენით დიდით...

სიმღერა მეოთხე... მოგზაურთა დღეს ჰყავს მფარველი — ჯუმაშხა, რომელიც გზად გასულ და მის ბედს მინდობილ კაცს მფარველობს. მოგზაურები მას შესთხოვენ შველას, უხიფათო გზას და უკან მშვიდობით დაბრუნებას...

და მართლაც, იმ წარსულ დროში, როდესაც მოგზაურს ათასი ხიფათი ელოდა, იგი მშვიდობისათვის მოუხმობდა უხილავ ძალებს და ასე თანდათან ამ უხილავი ძალებიდან ქმნიდა ღმერთს. ასე შეიქმნა ჯუმაშხაც...

„შენ გამარიდე თვალები ავი, შენ ამარიდე შემხვდური შავი, — მიმართავდნენ ჯუმაშხას ადამიანები.

და კვლავ შესთხოვდნენ:

მიეცი გული
გზაჯვარედინებს,
მიეცი პური
კაცებს კეთილებს —
ვიწრო ქოხებში გამოკეტილებს:
რომ მიმასპინძლონ წვიმიან ღამით,
,როდესაც გზები და ქარი დამღლის...

ცაშხა — ცისკრის ვარსკვლავის დღე (მეხუთე სიმღერა)... ცისკარი დღემდე რჩება უბადლო პოეტურ შედარებად.

შოგზაურები, მონადირენი, მეოჯახენი მუდამ შესთხოვდნენ ციისკრის ვარსკვლავს, რომ მაცდურად არ მოყოლოდა რიჟრაჟს. „ცაშხავ, ჰოი, ცაშხავ, სად წამომეწიე?“...

თუ რას წარმოადგენდა ობიშხა (სიმღერა მეექვსე), მოვუსმინოთ თვით ლექსს:

ობიშხავ! ობიშხავ,
ბატონო ღრუბლის,
მეოთხე მთვარეა,
მშრალი გაქვს უბე.
ობიშხავ! უბრძანე
ღრუბელს და ღვარებს
ჩქერალით ააესოს სარწყული ღარი.

ბედის მწერლისადმი კეთილი სურვილების შესრულების თხოვნაა გამოხატული მეშვიდე სიმღერაში...

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ ნაზი კილასონიას ყველა ლექსი დიდი მოკრძალებით და პოეტური თავშეკავებითაა დაწერილი. როგორც ნიჭიერი პოეტი ამბობს: „ჩემი სიმღერები ჩუმად იმღერებენ“ და მართლაც, ჩუმად, მაგრამ საამოდ მღერიან ისინი.

ძმები ჭილაძეები

თამაზ ჭილაძე — „გასეირნება პონის ეტლით“ და „შუადღე“

თამაზ ჭილაძის პროზაული ქმნილებები ფსიქოლოგიური მოთხრობების ციკლს განეკუთვნება. ეს მოთხრობები ადამიანის შინაგანი სამყაროს ურთულეს პრობლემებს გადმოგვცემენ.

ამ ნაწარმოებთა მთავარი მოქმედი პირნი ახალგაზრდები არიან, რომელთა მიზანსწრაფვა და ცხოვრებასთან დამოკიდებულება დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ არსებული სამყაროს ფილოსოფიური გაგების მხრივ ძალიან გვანან ერთმანეთს.

თამაზ ჭილაძე თავისი შემოქმედებით და გმირებით ქალაქს ეკუთვნის, მისი დიდი ხმაურის და მაჯისცემის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. ამ მოქმედ პირთა სამოქმედო ასპარეზი ზოგჯერ პატარა ოთახით შემოიფარგლება, მაგრამ ამ ოთახში ადამიანის მთელი სამყაროა ჩასახლებული; აქ ჩნდება ცხოვრების ურთულესი ინტეგრალი, რომელიც ზოგჯერ სფინქსივით გამოუცნობია, ხოლო ზოგჯერ თავის ახსნას და გაგებას პოულობს. მაგრამ ამ ინტეგრალიდან მის გაგებამდე ერთბაშად როდი მიდის ადამიანი, არა — არიადნას ძაფს

მიყვება სამყაროს შეუცნობ ლაბირინთებში და ცდილობს ბოლოს და ბოლოს მიაგნოს ჭეშმარიტებას.

მხატვრიდან დაწყებული სასაფლაოს მომვლელი ქალის ჩათვლით, ყველა მოქმედი პირი ფსიქოლოგიურადაა განწყობილი როგორც ადამიანების, ისე სამყაროს მოვლენების მიმართ; ისინი ფლეგმატურად როდი უყურებენ სიკვდილს, სიხარულს, სიცოცხლეს, მის წარმავლობას და ბრუნვას. არა, რაღაც განსაკუთრებული ადამიანები არიან, რომელთა არსებაში თითქოს ვიღაც დიდი ფილოსოფოსის სულია ჩაბუდებული.

ნიკა, მარინე, მაია, ქალბატონი ეკა, დათო, ესტატე, ბრმა მამიდა (გასეირნება პონის ეტლით), თებრო, პავლე, გოგი, სტეფანე, ბარაბა და სხვ. (შუადღე), აი, თამაზ ჭილაძის მოთხრობების გმირთა გალერეის ერთი ნაწილი. ისინი ჩვენთვის ნაცნობ ადამიანებად ქცეულან, თითქოს სადღაც შევხვედრივართ და გავსაუბრებივართ კიდეც...

როგორც წიგნის ანოტაციიდან ირკვევა, „გასეირნება პონის ეტლით“ ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლის პირველი მოთხრობაა; მისი მეორე მოთხრობა „შუადღე“ ფილოსოფიურად გაცილებით რთული და მხატვრულად უფრო სრულყოფილი ნაწარმოებია, ვიდრე პირველი.

ამ ორ მოთხრობას აშკარად ემჩნევა მხატვრის ხელი, წერის დამოუკიდებელი სტილი, ხატვის თავისებური მანერა, მაგრამ მათ შორის დიდი ნახტომიც იგრძნობა. ეს ყველაფერი ამ ნიჭიერი და დიდად ორიგინალური მწერლის წინსვლასა და შემოქმედებით ტემპებზე მეტყველებს.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მოთხრობა „გასეირნება პონის ეტლით“ სრულყოფილი არაა. პირიქით, იგი დას-

რულებული ნაწარმოებია, რომელიც გამოქვეყნებისთანავე საკმაოდ გახმაურდა.

მოთხრობის გმირები—ნიკა, მარინე, დათო, ქალბატონი ეკა და სხვები, თავისი მოქმედებით და აზროვნებით ქმნიან ერთ მთლიან კოლორიტს და ფსიქოლოგიურ განწყობას; ისინი ავსებენ ერთმანეთს და ხელს უწყობენ სიუჟეტის ღრმად განვითარებას და მის კულმინაციურ სიმძაფრეს.

მწერალი მოქმედ პირთა გარეგნულ მხარეს მეორეხარისხოვან ყურადღებას აქცევს. იგი ორიოდე სიტყვით გადმოგვცემს გმირის გარეგნულ ხასიათს და შემდეგ მთელ გვერდებს უთმობს ამ გარეგნულ ხასიათში მისი შინაგანი ბუნების გამოხატვას. აი, ამიტომ იმარჯვებს მწერალი; ამიტომ ვიმახსოვრებთ ასე კარგად მისი მოთხრობის გმირებს; მათი ფიქრი და ტკივილი უაღრესად ზოგადი და მახლობელია ყველასათვის.

მწერალმა მარინეს პიროვნებას უშუალოდ დაუპირისპირა ორი სხვადასხვა პროფესიის ადამიანი: ერთი — ნიკა, მხატვარი და მოაზროვნე; მეორე — დათო, მშენებელი ინჟინერი, თავისი საქმის ერთგული, მშრომელი და ისიც ნიკასავით კეთილშობილი ახალგაზრდა.

მარინეს თავდაპირველად ნიკასთან ურთიერთობაში ვეცნობით, მაგრამ სულ მალე მას დათოს მეუღლედ ვხედავთ... როგორ მოხდა ყოველივე ეს, ნაწარმოებში არ ჩანს. მთავარი ისაა, რომ მარინე ნიკას ერთგული დარჩა ბოლომდე, ბრუნდება მასთან და ცრემლებით მიმართავს: „თუ შენ კიდევ გიყვარვარ, ხელს ნუ მკრავ, მე ახლა არსად არა მაქვს წასასვლელი, რაღაც მემართება, თვითონ არ ვიცი, რა...

ნიკა... ზღვაზე ერთხელ ვნახე, გემის ღუზა ვერაფრით

ვერ ამოათრიეს. ეტყობა ფსკერზე რაღაცას წამოედო და მაგრად ჩაიჭედა შიგ. გემი ცახცახებდა და ვერსად კი ვერ მიდიოდა. აი ის ღუზა, ფსკერზე რაღაცას წამოდებული, მთელ ჩემს ცხოვრებას ერთ ადგილას ჰყინავდა... დღეს ღუზაზე მიბმული ჯაჭვი უეცრად გაწყდა და ახლა ასე უაზროდ მოვეხეტე აქ"...

ნიკა თითქოს მოელოდა კიდეც მის დაბრუნებას და ამიტომ სრულებით არ გაჰკვირვებია მარინეს სიტყვები... ახალგაზრდა მხატვარმა უხმოდ მიიღო თავისი ძველი და სასურველი მეგობარი.

თუ რამდენად სწორად მოიქცა მარინე, დათო რომ დატოვა, ამაზე მკაცრი და საბოლოო განაჩენის გამოტანა ძნელია. დაე, მისი საქციელი თვით მკითხველმა განსაჯოს... მე კი ამ შემთხვევაში შეგნებულად ვიკავებ თავს...

ნაწარმოებში მარინეს დედა, ქალბატონი ეკა, შედარებით ეპიზოდურია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სახე მეტად საინტერესოდაა წარმოდგენილი. ეკას პიროვნებით მწერალმა დახატა მედიდური, ამაყი და უზრუნველი ცხოვრებით შინაარსდაკარგული ქალი, რომლის უმთავრესი ზრუნვის საგანი ოჯახური ბუტაფორია გამხდარა, ხოლო ყოველივე ამაღლებული მის სულში ჩაყინულა და გაქვავებულა.

მწერალი დიდი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გადმოგვცემს ნიკას და მარინეს ბავშვობის ამბებს. „მაშინ ომი იყო და ომობანას თამაშის მეტი არაფერი ახსოვდათ. ეზოში ერთი გამხმარი ლეღვის ხე იდგა. ლეღვის ხეზე თოკები ჰქონდათ გაბმული და კენწეროზე წითელი დროშა დაემაგრებინათ. ეს ხე მათი კრეისერი იყო და ბავშვები ხიდან აღარ ჩამოდიოდნენ"...

შეწუხებული მეზობლები ამ ბებერი ხის მოჭრას აპირებდნენ.

აქვე თამაშობდა ხოლმე ნიკას მეგობარი გელა და მისი ორი ძმა, რომელთა მამა ფრონტზე იბრძოდა, დედა კი ქარხანაში მუშაობდა და სამუშაოზე წასვლის წინ გელას პურს უტოვებდა ხოლმე ძმებისათვის. გელა „შუადღისას თავისი ტანით გამთბარ პურს ძმებს უყოფდა“...

ერთ დღეს მათი მეგობარი გელა სათამაშოდ ეზოში არ ჩასულა... ნიკა მიხვდა, რომ მოხდა რაღაც ცუდი... დიახ, გელას მამა ომში დაიღუპა...

არ შეიძლება მკითხველს დაავიწყდეს ნიკას ბრმა მამიდის და მისი ქმრის ესტატეს სახე. განსაკუთრებით კი ის მომენტი, სადაც აღწერილია ესტატეს უკანასკნელი გაკვეთილი სკოლაში, მისი მოსწავლეებთან დამშვიდობება და მუდმივი წუხილი იმაზე, რომ ადრე დატოვა სკოლა; აგრეთვე ბრმა ქალის უაზრო დგომა ჭიშკართან და შორეულ სივრცეში ყურება უჩინო თვალებით...

მოთხრობიდან ჩანს, რომ ავტორი ზედმიწევნით კარგად იცნობს მხატვრობის და მუსიკის სპეციფიკას.

მოთხრობაში „შუადღე“ თ. ჭილაძეს გაცილებით მეტი მწერლური შესაძლებლობანი აქვს გამოყენებული. ავტორი აქაც არ ღალატობს თავის უმთავრეს მოწოდებას — გვიჩვენოს ადამიანის გარეგნული სახე მის შინაგან სამყაროსთან დამოკიდებულებაში. მოთხრობის სამოქმედო ასპარეზს მკითხველი სასაფლაოზე გადაყავს, სადაც იგი ეცნობა მისთვის არასასიამოვნო მისტიკურ გარემოს და იქ, ნებით თუ უნებურად, სამუშაოდ მისულ ადამიანებს. ესენი არიან საფლავის მომვლელი ქალი — თებრო, მისი მეუღლე — მიწის მთხრე-

ლი — პავლე; მესაფლავეები — ბარაბა, სტეფანე, აგრეთვე სტუდენტი, ტაქსის მძღოლი გოგი და სხვები. ამ უკანასკნელს ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანებთან კავშირი არა აქვს და მისი მოქმედება საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილი ჩანს, მაგრამ კვანძის გახსნისას უეცრად იკვრება ის რგოლი, რომელიც თითქოს გაწყვეტილი ეჩვენება მკითხველს...

თებრო მოთხრობის მთავარი მოქმედი პირია. მისი სახლი სასაფლაოს ტერიტორიაზე დგას. ადრე, როდესაც მისმა ქმარმა პავლემ ეს სახლი საკუთარი ხელით ააშენა, „სასაფლაო შორს იყო“.

ნაწარმოების დასაწყისში თებრო უკვე ათი წლის ქვრივია. მის დადარდიანებულ გულს იშვიათად თუ ამხნევებენ შემთხვევით მოსული სტუმრები. მხოლოდ სტეფანე მესაფლავე აკითხავს ხშირად. თებრო „სხვას არც არავის იცნობდა, არსად არ ეჩქარებოდა, არავის არ ელოდა“.

სტეფანეს სახლიც სასაფლაოს გვერდით იდგა. ეზოში მას ატამი დაერგო. „ატამი ცოტა ხანს ყვაოდა და სტეფანე სინანულით უცქერდა დაუშნოებულ ხეს. როცა საფლავს თხრიდა, ცას ახედავდა ხოლმე. საფლავიდან ცა ძალიან პატარა ჩანდა და განთიადზე ატმისფერი გადაჰკრავდა. ზოგჯერ საფლავის თხრას რომ მორჩებოდა, შიგვე გაიშოტებოდა და პაწაწინა ცა თავზე დაადგებოდა; იმდენჯერ უნახავს ატმისფერი ცა, რომ დარწმუნებული იყო, მკვდარი რომ ვიქნები, მაშინაც უსათუოდ დავინახავო“.

რამდენადაც სტეფანე უხმაურო, კეთილი ადამიანია, იმდენად ბარაბა ბოროტი და ბნელი წარსულის მქონე კაცია, რომელსაც „პასიური შურისძიებისათვის“ დაუწყია მესაფლავეობა; თითქოს ფილოსოფიურად მოლაპარაკე, რომელმაც

„იცის ატომური ბომბის ფილოსოფია და განსხვავება სახლის საძირკველსა და საფლავს შორის“, სინამდვილეში გაუთავებლად მოლაყბე და ლოთია. იგი თავისი მხეცური ინსტინქტებით ამდაბლებს თებროს წყინდა ქალობას, მაგრამ ამასაც არ ჯერდება და კლავს მის მეუღლეს — მშრომელ, დინჯ და პატიოსან კაცს პავლეს „.

თავდაპირველად ავტორს წარსულში გადავყავართ და უბრწყინვალესი შტრიხებით გადმოგვცემს თებროს ბავშვობას, მისი და პავლეს გაცნობის თავისებურ, მათი ცხოვრების განუმეორებელ მომენტებს.

თებროს პიროვნებაში ავტორმა ჩააქსოვა ისეთი ადამიანის ხასიათი, რომელიც ღრმად განიცდის კუბოზე დაყრილი მიწის ხმაურს და იცის, რომ ეს ხმა სხვა ხმას არა ჰგავს, რომელსაც უკვირს მფრინავის სიკვდილი, სიკვდილი კაცისა— ციურ მანქანას რომ მართავს და სინამდვილეში კი „ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად იხოცებოდნენ და სასაფლაოზე მათ გვერდით იწვნენ. ცისა და მიწის ასეთი კავშირი თებროს ვერაფრით ვერ აეხსნა“.

„თებრომ ერთხელ ბეჭებში მოხრილი ჭაღარა კაცი დაინახა, რომელიც საფლავზე დარგულ ყვავილებს რწყავდა და თან ღიღინებდა. კაცს, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა, რომ სასაფლაოზე იყო“.

აი, ასე წარმოგვიდგინა მწერალმა თებრო — ერთი შეხედვით ძალზე უბრალო ადამიანი. ამით მან მიგვითითა, რომ თებროსთანა ადამიანებშიც შეიძლება დიდი გული ფეთქავდეს...

თ. ჭილაძეს საკაცობრიო თემები იზიდავს, თემები, რომ-

ლებიც ყოველ ეპოქაში თავისებურ და ახალ განმარტებას საჭიროებენ.

ჩვენი უნიჭიერესი მწერალი ცდილობს თავისებურად ახსნას ყოველივე ის დიდი და მტკივნეული, რასაც ზოგჯერ შეიძლება მარადიულობის გამოცანა ვუწოდოთ.

ოთარ ჭილაძის პოემები

ოთარ ჭილაძის პოემებს აქვს ერთდროულად როგორც ლექსის, ისე პოემის პრეტენზია. „დიდი ლექსი“ და „პატარა პოემა“ — აი, რა შეიძლება ვუწოდოთ მათ. არც ერთ პოემაში გმირი არაა დახატული, რომელიც მოქმედებდეს და აღასრულებდეს პოეტის ნება-სურვილს, ქმნიდეს ეპოქის შესაფერ, უარყოფითი ან დადებითი ადამიანის ტიპს. ყოველივე ეს შეცვლილია პოეტის პიროვნებით, რომელიც თვითონვე ხატავს, ქმნის ეპოქის გმირს და ამბობს ამ გმირის სათქმელს.

თანამედროვე ცხოვრებამ ისე წარმართა ხელოვნება, რომ მისი ყოველი სფერო ფილოსოფიური გადაწყვეტის გარეშე არარაობა იქნებოდა.

პრეისტორია, გილგამეშის მითიური ეპოქის ჩათვლით, სულისა და სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ამოძრავებს ოთარ ჭილაძის პოემების ღერძს. ამაში ვლინდება თვით პოეტის პიროვნება, მისი სამყარო და მისი დამოკიდებულება ყოველივე იმისადმი, რაც პოემებშია მოცემული, რადგან, როგორც ფოიერბახი ამბობს, ჩვენ არ შეგვიძლია სხვა რამ დავადას-

ტუროთ, თუ თვით ჩვენი თავი არ დავადასტურეთ, არ გამოვავლინეთ. ხოლო დოსტოევსკი უმატებს: მწამს არსება, რომელსაც მე ჩემში ვატარებ და ჩემში შევიცნობ.

ოთარ ჭილაძის შემოქმედება ნათელყოფს, რომ პოეტი უნებურად გადადის მისსავე პოემებში და იქ შეიმეცნებს საკუთარ თავს. ხოლო ამ მძაფრი შემეცნებისათვის როგორ უნდა მოვიქცეთ, დავხუჭოთ უპეები თუ ფართოდ გავხსნათ თვალთა კილოები? ამაზე თვითონ პოეტი უპასუხებს:

და ზოგი თვალებს იმიტომ ხუჭავს,
რომ ბნელში უკეთ განსჭვრიტოს გზები...

პოეტი ო. ჭილაძე თავის შინაგან სამყაროს ორგანულად უერთებს ციურ სამყაროს, კოსმოსს, როგორც მის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ციური სამყარო უსასრულო და მარადიულია, ხოლო ჩვენი შინაგანი სამყარო იღუპება ჩვენს სიკვდილთან ერთად.

ადამიანის ლტოლვა კოსმოსისაკენ, ეს უბრალოდ არც ფიასკოს განცდაა და არც ჰერკულესის სვეტებთან მიღწევის სურვილი.

„მხოლოდ თვალით ამაღლდება ადამიანი დედამიწიდან. ამიტომ იწყება თეორია ზეცაში ცქერით. პირველი ფილოსოფოსები ასტრონომები იყვნენ. ცა მოაგონებს ადამიანს მის დანიშნულებას, იმას, რომ მარტო მოქმედებისათვის კი არ გაჩენილა, არამედ ჭვრეტისთვისაც“ (ფოიერბახი).

პოემაში „დევებით სავსე ქუდი“ პოეტი წერს:

და დასიზმრებულ ვარსკვლავებს შორის
სძინავთ ჩემს დევებს, როგორც მფრინავებს.

როგორც ბფრინავებს, რომლებიც ციდან
ზვერავდნენ მიწას ცოტა ხნის წინათ.
და ახლა სძინავთ მშვიდებს და დიდებს,
ვარსკვლავებს შორის წვანან და სძინავთ.
ისინი დიდხანს დაქროდნენ ცაში
და ვარსკვლავებზე აჰქონდათ მიწა.

მთვარე და ქარი ჭილაძის პოემებში განუყოფლად ბატონობს; როგორი სახითაც გნებავთ, ისეა წარმოდგენილი მთვარე: ზოგან ნაფოტად, ზოგჯერ მოსიარულე არსებად, რომელსაც ტრამვაის ლიანდაგებზე უჭირს გადასვლა; ეს პოეზიის მარადიული მშვენება აქაც თავისი დანიშნულების სიმაღლეზე დგას.

ასევეა განსხეულებული და გასულიერებული ქარიც: „და ქარმა მითხრა, რომ ფოთლებს შორის ჩემთვის მალავენ შანთებს და ღვედებს". „გარეთ თანდათან იზრდება ქარი", „მაგრამ მოვარდა მიწიდან ქარი"...

მათ მოსწონთ ქარის თამამი მარში,
მათ მოსწონთ ქარი და უფრო მეტად
მოსწონთ ქალების ყურება ქარში.

მოკლედ, ქარი პოეტის სტრიქონებთან ერთად მიიწევს წინ.

სიცოცხლის საკითხი ერთ-ერთი მთავარი საკითხია პოეტისათვის. მან იცის, რომ ეს მარადიული პრობლემა ოდითგანვე ქარბორბალასავით ამოძრავებდა კაცობრიობის სულს მისი ყველაზე მძიმე და ტკბილი წუთების შემეცნებისას. ამის დასადასტურებლად პოეტი პრეისტორიაში გადადის და გილგამეშთან შეხვედრას გვიწყობს, რომელიც სინანულით გვიყვება: „კაცი ვიყავ, მაგრამ ყოველთვის მშურდა ღმერთების

ან უფრო სწორედ სიცოცხლე მსურდა დაუსრულებლად. მე მსურდა, მაგრამ არ სურდათ ღმერთებს და ჩემი მძლავრი სუნთქვის ნასახი ამ ხმელ ფირფიტას შემორჩა მხოლოდ.

...მაგრამ ვერც ერთი ვერ გავცდით მაინც ადამიანის უბრალო სახელს, ვერ ვძლიეთ სიკვდილს"...

მასთან კავშირში პოეტს შემოყავს მითიური ენკიდუ, რომელსაც უპირისპირებს ქალს — შამხატს. ამ ქალს მთელ ურუქში ყველაზე კარგად ესმოდა ქალის მთავარი საქმე. აი, მან ტანთ გაიძრო და უხეშ ხელებში მიაჩეჩა ენკიდუს მოქნილი წელი და მკერდი და აქცია იგი ადამიანად და მოკვდა, როგორც ადამიანი:

> რა უბრალოა ადამიანი,
> რა ცოტა ყოფნის, რომ იქცეს მიწად...

ასეთია პოეტის დასკვნა.

დიახ, ეს მართლაც ასეა, მაგრამ არის სხვა რამ — გამძლე და უკვდავი; ეს არის თიხა, ხოლო თიხაზე გამძლე — სიტყვა. სიტყვები ქცეულან ოქროს ზოდებად და მუზეუმის გრილი დარბაზებისათვის შეუფარებიათ თავი. მერე მიდიან მნახველები, მაგრამ ვინ როგორ უყურებს მას? აი, მთავარი ესაა. ზოგს უნდა მხოლოდ, რომ ამდენი ოქრო ერთად იხილოს.

პოეტი მეტი ეფექტისათვის დაგვატარებს ზღაპრულ გარინდებულ ქალაქში, რომელიც სიცხეს აუყვანია ხელში. ამ გარინდებულ ქალაქშიც ფეთქავს დიდი სიცოცხლე ადამიანის ცხელი გულის სახით. ესენი არიან მუშები, რომლებიც ზანტად გაჰყურებენ ფანჯარას. მათი ზანტი ყურადღება ბევრს არაფერს გვაძლევს. ეს იცის პოეტმა და ამისათვის იშველიებს ქალაქის შუა გარინდებულ მდინარეს — იმედივით კე-

თილს და ნათელს, რომელიც თავის ტალღებში ატივტივებს ქალაქის არეკლილ კედლებს. ძლიერია იგი, მაგრამ ზოგი მალე ივსება მიწით...

ამ სიმბოლოში პოეტს მდინარის ბედი კი არა, ადამიანის ყოფნა-არყოფნის საკითხი აინტერესებს. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი მარად ძველი და მარად ახალია. რაც წარსულში მოხდა, ის შეიძლება მომავალშიც მოხდეს:

> რაც დღეისათვის სათქმელად არ ღირს,
> ხვალ შეიძლება, სიმღერად იქცეს,

ან

> ხვალ შეიძლება, განახლდეს ისევ,
> რაც დღეს საოცრად ძველია უკვე.

იგივე პრობლემას შეეხო პოეტი პოემაში „იტალიური რვეული“.

ადამიანის სურვილია გაიგოს სამყაროს საიდუმლოებანი, აღმოაჩინოს ბევრი რამ დღემდე მისი გონებისათვის მიუღწეველი; პოეტი წერს: „აღმოჩენები ეკუთვნის ღმერთებს, ღმერთი კი ყველა ჩვენგანში ცხოვრობს“.

ჯანსულ ჩარკვიანის პოეზია

(ლექსთა კრებული „ერთი ღამის სიჩუმეში“)

ჩემ მიერ განხილული ავტორებიდან მხოლოდ რამდენიმეს თუ ვიცნობ პირადად, მაგრამ მე არ მიშლის ხელს, რომ მათ პიროვნებაზე ნამდვილად საღი და ნათელი წარმოდგენა ვიქონიო, რადგანაც წიგნი ხომ ეს არის „სიტყუანი გულისა მისისანი თესლითი თესლამდე“.

ამ რამდენიმე წლის წინათ წავიკითხე ასეთი შინაარსის მოთხრობა: ერთ-ერთ მხატვარს დავალებული ჰქონდა დაეხატა ლომონოსოვის პორტრეტი ნატურიდან, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მათი შეხვედრა ვერ მოხერხდა. ხელოვანს არასოდეს ენახა ეს დიდი მეცნიერი, მაგრამ მისმა შრომებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინეს მასზე, იმდენად გარკვევით ირეკლებოდა მასში მეცნიერის პიროვნება, რომ მხატვარმა ზეპირად შეძლო დაეხატა იგი; აღსანიშნავია, რომ მსგავსება ზუსტი იყო პორტრეტსა და ლომონოსოვს შორის.

ეს ამბავი შესაძლებელია მწერლის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდეს, შესაძლებელია სინამდვილიდანაც იყოს აღებული, მაგრამ მე მჯერა აღწერილი ფაქტის, რადგანაც, კიდევ

ვიმეორებ, წიგნი მწერლის სულის ანარეკლია, მისი გულის ნაწილია.

ახალგაზრდა პოეტის ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსთა კრებულის გაცნობამ დამარწმუნა, რომ იგი არის ნიჭიერი, მზარდი, ერუდირებული პოეტი.

„ფიქრი“, „მე ვიცი“, „დიდი სიცოცხლე“, „მოხუცი“, „დავით გარეჯის უდაბნო“, „მამადავითზე“, „ალპანიდან ცაგერამდე“ და სხვ. აი, სათაურები ლექსთა იმ ერთი ნაწილისა, რომლებშიც ნათლად დავინახე პოეტის სულიერი სამყარო.

ბედის მნათობთან საუბარში პოეტი ზღვასავით გაზრდას ნატრობს. ეს თითქმის ყველა შემოქმედის სურვილია. დიახ, გაზრდა სჭირდება პოეტს, ხელოვანს...

მინათე, ჩემი ბედის მნათობო,
რადგან ზღვასავით გაზრდა მწყურია,
სიცოცხლის გზებზე თუნდაც დათოვოს,
თოვლის ქვეშ მწვანე გაზაფხულია.

თოვლის ქვეშ გაზაფხულის არსებობის გრძნობა — ეს პოეტის დიდი იმედისა და საკუთარ ძალებში რწმენის ნიშანია.

ბედნიერია ის პოეტი, რომელიც გრძნობს ნიჭის დიდ ძალას. ეს კი მის მუდამ მღელვარე სულს ზოგჯერ იმ სიმშვიდეს ანიჭებს, რომელიც შემდეგ „ლამაზი სიკვდილის“ უფლებას აძლევს.

დავდგები ცერზე, როგორც ავაზა,
ერთს გადავხედავ დღეებს გაფრენილს,
მერე მოვკვდები ისე ლამაზად,
ვით დაიბადა ეს ყველაფერი.

კაზმული სიტყვა პოეტის სულიდან ამოდის; ლამაზი სიტყვა მას ცხელ გულზე აწერია; ცხელი გული კი ახალგაზრდას აქვს, ახალგაზრდას, რომელიც ყველა ძლიერების და ამაღლებების თავი და თავია.

და სიჭაბუკე ყვავილებს ერთვის —
ერთვის მტევნებს და ვაზებს სისხლივით.
რომ სიჭაბუკე დიდია მზეზე,
რომ მოდის სხივით კვლავაც თაობა,
რომ გამწევ ქედზე ეტყობა მოზვერს
ოჯახის ბედი და გამტანობა.

ჩვენს ოჯახს, ანუ იგივე ჩვენს სამშობლოს ჭეშმარიტად ახალგაზრდობის ხელი ატყვია. ეს ჩანს საზღვრებზე, შორს წასულ გემებზე, მწვერვალებზე, სართულებზე, კოსმოსში. ეს სიჭაბუკე, ეს ახალგაზრდობა აღელვებს პოეტს და ცდილობს თავისი კალმით საკუთარი გულისფეთქვა შეუერთოს მათ ძლიერ მაჯისცემას.

ეს მისი პოეტური ვალია. იგი თვითონ ახალგაზრდაა და გასაკვირი არაა, რომ მის ლექსებში სიჭაბუკის, სიყვარულისა და გაზაფხულის თემას უდიდესი ადგილი უკავია.

რა არის გაზაფხული? გაზაფხული ეს არის ადამიანის სიჭაბუკე, მისი ყვავილობის, სიყვარულის და სხეულის ჯომარდობა.

დიახ, უთუოდ ასეა, როცა პოეტურად ვაზროვნებთ.

მზემ უდიდესმა მიწას დაჰხურა
ყვავილი ატმის, ყვავილი ნუშის,
ყველა, ყველა და, ამ გაზაფხულმა
თითქოს მარტო მე ჩამხედა სულში...

არ არსებობს ეტალონი, რითაც შეიძლება სიცოცხლე შეჯაფასოთ. სიცოცხლე ბუნების შემოქმედების ყველაზე დიდი ნიჭია...

დიდი მწერლის ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში სიცოცხლის საკითხმა უმაღლეს წერტილს მიაღწია...

ახლა როგორ უყვარდა თაგორს ბუნების ეს დიდი ფენომენი!

ახალგაზრდა პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა იცის სიცოცხლის ფასი, რადგან იცის, რა არის იგი:

მდინარე, ღელე, თავთავი, ტარო,
აკვანი, ძმა და ყივილი მიწის,
რაც ქვეყნად ცოცხლობს, რაც ქვეყნად ხარობს,
რაც იცინის და რაც სულით იწვის,

. . . .

აი, რა არის სიცოცხლე შენი,
აი, რა არის სიცოცხლე დიდი,

ეს არის პოეტური სახეებით სიცოცხლის განმარტება.

მაგრამ პოეტს არ ავიწყდება, რომ სიცოცხლის საპირისპიროდ არსებობს სიკვდილიც. თუმცა სიკვდილიც არის და სიკვდილიც: ვინ მართლა კვდება და ვინ სიკვდილშიაც განაგრძობს სიცოცხლეს. აი, ეს აზრი აქვს გამოხატული პოეტს ლექსში, რომელსაც „ლამაზი სიკვდილი“ ეწოდება:

ყვავილები კი კვდებიან ისე,
თითქოს ხელახლად იბადებიან...

ამ თავისებურად მძიმე განწყობილებიდან პოეტს გამოვყავართ შესანიშნავი ლექსით „პატარა ხიდი“, რომელშიაც ერთ-

დროულად ვგრძნობთ ლირიკულ, იდილიურ და ნაღვლიან განწყობას.

ღრუბლებო, საით აპირებთ წასვლას,
ღრუბლებო, წვიმა საითკენ მიდის,
ახლა აღარ ჩანს წისქვილი არსად,
არსად არა ჩანს პატარა ხიდი.

პოეტი კვლავ უბრუნდება ადამიანთა ცხოვრების ბრუნვის თავისებურ ახსნას. მართლაც და რა უცნაურია ეს ბრუნვა; ჩანასახიდან დაწყებული სიკვდილამდე ადამიანის ცხოვრების ჩარხი ერთი წუთითაც არ ჩერდება. ჩვენ იძულებული ვართ დავემორჩილოთ ამ უცნაურ ლტოლვას, ამ უდიდესი და უხილავი მანქანის ტრიალს, რომლის ხმაური თითქოს ჩაგვესმის ყურში, მაგრამ თვით მანქანა კი არსად ჩანს.

მისმინე, ამქვეყნად რამდენიც მოდის,
იმდენი აქედან წასვლისთვის მზად არი.

აი, როგორ გაუნაწილებია ცხოვრებას ადამიანთა მოდგმის ბედი, ჩვენ ეს ვიცით, მაგრამ მაინც გვიხარია. ამ სიხარულის მიზეზს მომავალი თაობა განაპირობებს და კიდევ სიმღერა. ამიტომ

მიწად გადვიქცევით სანამდე სულ მთლად,
მანამ გადავიქცეთ ორივე სიმღერად.

ვაჟა-ფშაველა ნამდვილი მგოსანთმოძღვარია. ბუნებას პოეზიაზე დაუწერია მისთვის ჯვარი. მისმა დიდმა შემოქმედებამ და პიროვნებამ არაერთ ხელოვანს უბიძგა ახალი ნაწარმოების შექმნისაკენ.

პირად ცხოვრებაში ვაჟას რამდენჯერმე შევხვედრივარ,

რამაც საშუალება მომცა კარგად შემესწავლა მისი ხასიათი, მისი პიროვნება და სახის თითოეული ნაკვთის მოძრაობა. ამდენად, ვაჟა-ფშაველას კარგად ვიცნობდი. და როდესაც დღეს მე ვეცნობი მისდამი მიძღვნილ ლექსებს, წერილებს, ფერწერულ ტილოებს და სხვ., ვცდილობ გავარკვიო, თუ რამდენად კარგად ხსნიან ავტორები პოეტის ბუნებას, ხასიათს.

აი, ჯ. ჩარკვიანის ლექსი, რომელიც ვაჟა-ფშაველასადმია მიძღვნილი:

შატილით მოდიოდა —
დიდი მთებით,
მთვარეს შეხვდებოდა
ჟინვალთან,
მთვარის ოდენა ხინკალს
მიირთმევდა
ეს დიდი ბერმუხა და
მყინვარმთა.
ხელები ჰქონდა —
წყაროს ამოსცლიდა,
ქვეყნის მაჯისცემას
უგდებდა ყურს,
მერე დაჰყვებოდა, ბალახებს
დაჰკოცნიდა
და შეუკურთხებდა
ციმბირის წყლულს!
ის იყო დიდი და
ის იყო სხვა,
მისი მართალი სულის ცხონებამ,
მერე ცხოვრებას
მოუჭრა გზა
და შორს გაასწრო
თვითონ ცხოვრებას.

მე მომწონს ეს ლექსი, რადგან იგი უბრალოდ, მაგრამ ზუსტად გვიხატავს ვაჟას, რომელმაც მართლა გაუსწრო ცხოვრებას და მისი ლექსის სისხლსავსეობა მომავალ თაობებს უყივის...

გავეცანი პოეტის ლექსს „მოხუცი". ერთი წუთით რაღაც ჭმუნვა ვიგრძენი გულში, მაგრამ მაშინვე აღვიდგინე სულიერი წონასწორობა, როდესაც ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეს თვალი გადავავლე. ხანგრძლივ ცხოვრებას ბევრი სიკეთის მოცემა შეუძლია. დიდმა მხატვარმა ტიციანმა მოხუცობის ჟამს არაერთი მსოფლიო შედევრი შექმნა...

პოეტ ჯ. ჩარკვიანს მტკივნეულად განუცდია ადამიანის ცხოვრების უკანასკნელი წლების ეს თავისებური სევდა.

პოეტი ასე მიმართავს მოხუცს:

მერე ბაღებში დაიწყებ რონინს,
დრო მოგერევა და გაგბავშვებს.
გექნება მკაცრი მოხუცის როლი,
მაგრამ შენ მოხუცს ვერ ითამაშებ.

. . . .

და გეგონება სამყარო ვრცელი
მხოლოდ ყრმების და ჭაბუკებისა.

ჯ. ჩარკვიანი არც ჩვენს დიდ წარსულს და ისტორიულ ძეგლებს ივიწყებს. ლექსში „დავით გარეჯის უდაბნო" პოეტი ბუნების თავისებური სიდიადით და მიტოვებული ძეგლებით გამოწვეულ საერთო განწყობას იძლევა.

დავით გარეჯის უდაბნომ აკადემიკოს ლანსერეს ნახატებში ყველაზე საუკეთესო და ბრწყინვალე გამოხატულება პოვა. ეს სურათები თან ერთვის გ. ჩუბინაშვილის ფუნდამენ-

ტალურ წიგნს, რომელშიაც ძირფესვიანად აღწერილია თვით დავითის ლავრა.

წითელ ტონებში მხატვარს გადმოცემული აქვს უდაბნოს ნამდვილი განწყობა, იქაური მიწის მოწითალო ფერი და სიშიშვლე. გარეჯის ფრესკები ხომ მსოფლიო ხელოვნების საგანძურშია შესული. გარეჯის მხატვრობის სკოლა ნამდვილი დიდება იყო თავისი დროის და ეპოქისა და დღესაც საოცრებად ითვლება. უნიჭიერესმა გარეჯელმა მხატვრებმა ადგილობრივი მიწის აგურისფერი ტონი გადაიტანეს ფრესკებშიაც. და ამით თავიანთი ხელოვნება საოცრად შეუხამეს ბუნებას.

დღეს ეს დაცლილი ქვაბები, მიტოვებული მხატვრობა და გამქრალი სიცოცხლე არცთუ სასიამოვნო განწყობას აძლევს ამ დიდებულ მონასტერს, ანუ სამზრუნველოს, როგორც საბა იტყოდა. აქ ყოველივე წარსულის მტვერს და ბალახს დაუფარავს:

ჩიტის გულივით პატარა მთები,
ხოხბის ფერი და აგურის ფერი.
მზე მიწაზეა და მზეზე თბება,
გზად გაწოლილი ლამაზი გველი.

. .

წითელ მიწაზე თაკარა შფოთავს,
ნახვად ეძახის ქვაბები მსურველს,
დგას კილამონი უხსოვარ დროთა
და მიწა იწოვს მირონის სურნელს.

. .

ისმინე, ლაშა, ისმინე, ოთარ,
მიტოვებული ქვაბების გმინვა!..

ლამაზი და ორიგინალური სახეებით შეუქმნია პოეტს ლექსი „მამადავითზე“, რომელიც ქართული მხატვრობის დიდოსტატს ლადო გუდიაშვილს ეძღვნება.

ამ ლექსის ამოსავალი წერტილია გუდიაშვილის დიდებული მხატვრობა — შვლებით, ტანწერწეტა ქალებით, კომპოზიციის ფილოსოფიური გადაწყვეტით და განუმეორებელი ფერებით.

მხატვრობა, როგორც ღვთიური ნიჭის ნაყოფი, უკვდავ შედეგს იძლევა, ხოლო უკვდავი ტილო თავის მხრივ უკვდავების რწმენას უნერგავს ადამიანს.

აი, ეს უნდოდა ეთქვა პოეტს და შესანიშნავად გადაწყვიტა კიდეც ლექსში:

ო, ჩუმად, ჩუმად, სიტყვა არა თქვა,
მე მამუნჯებენ, მე თითქო მკლავენ.
ნისლი მიდის და ქრება თანდათან
და მე ვეხვევი ნისლივით მკლავებს.
შე ბედნიერო თბილისის მზერავ,
გადამაქციე წუთით თვალებად,
ო, გაქრი, ნისლო, მე მაინც მჯერა,
რომ არ არსებობს გარდაცვალება.

მხატვრულ სახეებს არ იშურებს ნიჭიერი პოეტი, როდესაც ეხება რაჭა-ლეჩხუმის გზებს. აი, მან გადაიარა ცხრა მთა, მაგრამ „ჩვენს ქვეყანაში ცხრა მთა, ცხრა ზღვა რამ გამოლიოს“, — დაასკვნის პოეტი და შემდეგ ლამაზი შედარების სახით იძლევა ასეთ სტრიქონებს:

და ლაჯანური ქედებს ისე უჩენს იარებს,
ვით საქართველო შემოსეულ სპარსს და ოსმალოს.

პოეტი სვამს მზის და სიყვარულის სადღეგრძელოს; იგი აღნიშნავს, რომ ამქვეყნად ყველაზე უფრო დიდი ადამიანია, რომლის შესამკობად ასეთ ჰიპერბოლას იყენებს:

გაუმარჯოს ადამიანს,
ყველაფერზე დიდს.
ლურჯი ცის და მიწის შუა
სიყვარულის ხიდს...

მამაშვილური სიყვარულის უმაღლეს გრძნობას ავლენს პოეტი იმ ერთ პატარა ლექსში, რომელსაც იგი თავის ქალიშვილს უძღვნის. ეს სტრიქონები ყველასათვის მახლობელი უნდა იყოს, ვისაც კი ბედნიერება ჰქონია — ყოფილიყო მშობელი...

ჯ. ჩარკვიანის კრებულში ზემოჩამოთვლილი ლექსების გვერდით კიდევ რამდენიმე პატარა ლექსია დაბეჭდილი, რომლებსაც მხოლოდ ლირიკული სურათის პრეტენზია აქვთ. ჩემი წერილის დასასრულს მე სწორედ ასეთი სტრიქონის ციტირება მინდა. მასში რამდენიმე კარგი პოეტური სახეა მოცემული. მოვუსმინოთ მას:

ელვამ რაღაცა ახარა ღრუბელს,
თითქოს ღმერთები უკრავდნენ თარზე,
მოვიდა წვიმა, დახატა გუბე,
წავიდა თვითონ
და გუბეში დატოვა მთვარე...

ჯანსუღ ჩარკვიანი ახალგაზრდა პოეტია, რომელსაც ჭეშმარიტად ეკუთვნის მომავალი. მომავალს კი ბევრის თქმა შეუძლია.

ლევან გოთუას მოთხრობები

ლევან გოთუაზე უბრალოდ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ნიჭიერია. ეს ძალზე ტრაფარეტული კრიტერიუმი იქნებოდა მისი შემოქმედების შესაფასებლად. ლევან გოთუა, უპირველეს ყოვლისა, ბრწყინვალე მოქალაქე და დიდი მამულიშვილია.

ლევან გოთუამ ჩვენი დიდი ისტორიის ფურცლებზე არაერთი „ყამირი გატეხა", მიაგნო ხელუხლებელ თემებს და მათი გადამუშავების შედეგად შექმნა ჩვენი წარსულის დიდი ეპოპეა — „გმირთა ვარამი" და მთელი რიგი ისტორიული მოთხრობები.

თუ ზოგჯერ მწერალი ამ მოთხრობებისათვის ნაცნობ სიუჟეტებს მიმართავს, სამაგიეროდ მათ უდგება სრულიად ახალი კუთხით და ხატვის განსხვავებულ ფერებს იყენებს.

ამაშია ლევან გოთუას შემოქმედების ძლიერება.

ამაშია მწერლის ნამდვილი გამარჯვება.

ხელოვანთა გალერეაში ლევან გოთუამ შემოაბიჯა შემოქმედებითი ძალების წყალვარდნილებითა და აზრთა უჩვეულო სიმდიდრით. ამ უხმაურო, ნიჭიერ ხელოვანს აღმოაჩნდა დიდი რეფორმატორის ნიჭი, მწერლის უძლიერესი კულტურა. საქართველოს წარსული, რომელსაც მისი კალამი ეხება, საოცრად პოეტური ხდება, ხოლო ამ პოეტურ სამყაროში მისი ამაყი გმირები იდგამენ უკვდავების კვარცხლბეკებს.

თავისი ყველა ნაწარმოები მწერალს უჩვეულო ლირიკულ სრულყოფამდე აჰყავს და, როგორც მხატვარი სპექტრის ყველა ფერს, იყენებს მთელ თავის მხატვრულ შესაძლებლობას, მაგრამ ამით იგი სრულებით არ ცდილობს, რომ მკითხველი თავისი პალიტრის სიმდიდრით გააოცოს. უპირველეს ყოვლისა, იგი ცდილობს, რათა მხატვრული შემოქმედების ფონზე წინ წამოსწიოს ცხოვრების ერთადერთი მესაჭე და მბრძანებელი ძალა—ადამიანი, ეპოქის გმირი.

მოთხრობები, რომელთაც ჩვენ აქ განვიხილავთ, შესულია კრებულში „ნისლი ნახატარის ტყეში". იგი 1963 წელს გამოაქვეყნა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ". სულ თერთმეტი მოთხრობა და ნოველაა აღნიშნულ წიგნში: „ნისლი ნახატარის ტყეში", „ცხოვრება იწყება წყალდიდობით" „ქვის ხოხობი", „კრწანისის სევდა", „უგზო ქარავანი", „სიბრძნე სიკვდილისა", „ხანძთის ზარი", „წიწამურის მიწა" „უფოთლო ხის ჩრდილი", „ყინცვისის ანგელოზი" და „ფრესკის მეორე დაბადება".

ლევან გოთუას, როგორც მწერლის, ესოდენ დიდი პოპულარობა უშუალოდ დაკავშირებულია მის ცნობილ ისტორიულ რომანთან—„გმირთა ვარამი". მაგრამ ამ ეპოქალური ნაწარმოების განხილვა ამჯერად ჩვენს საგანს არ შეადგენს ჩვენი მიზანია, მოკლედ და კონკრეტულად დავახასიათოთ ლევან გოთუას ზემოაღნიშნული მოთხრობები და ნოველები

გარდა პირველი ორი მოთხრობისა („ნისლი ნახატარის ტყეში" და „ცხოვრება იწყება წალდიდობით"), ყველა დანარჩენ ნაწარმოებთა სიუჟეტი უშუალოდ ისტორიულ ქარგაზეა აგებული. მათში მწერალი ცდილობს, გარდასული ხანა თანამედროვეობის ასპექტში წარმოგვიდგინოს ანუ, როგორ

ანტუან დე-სენტ-ეკზიუპერი ამბობდა, ძველ სანახაობაში ახალი აზრი აღმოაჩინოს.

ლევან გოთუა ძირითადად ისტორიულ თემებზე წერს, მაგრამ მას აქვს თანამედროვეობისადმი მიძღვნილი შესანიშნავი მოთხრობებიც, სადაც იგი გამოდის, როგორც დამცველი და თავდავიწყებამდე მოყვარული ჩვენი წარსული კულტურის ძეგლებისა, ჩვენი შესანიშნავი ბუნებისა.

ლევან გოთუა ერთი უპირველესთაგანი მოძღვარია ჩვენი უმდიდრესი ბუნებისა. იგი საკუთარი წიგნებით, წერილებით, სიტყვებით, საქმით იბრძვის მის დასაცავად და გადასარჩენად.

მოთხრობა „ნისლი ნახატარის ტყეში"...

ცენტრალური ფიგურა, რომლის გარშემოც მოქმედება წარმოებს, თვითონ ავტორია. ეხრობა პირველი პირით მიმდინარეობს და ერთი შეხედვით ნაწარმოები დოკუმენტური პროზის შთაბეჭდილებას ტოვებს. სინამდვილეში კი იგი ძალზე ამაღლებული, ლირიულობამდე აყვანილი, განუმეორებელი ეპიტეტებით შემკული მოთხრობაა, რომელშიაც იდილიურ ტონს თანდათანობით ენაცვლებიან ლირიკული სახეები, ტრაგიზმამდე დასული ფსიქოლოგიური განწყობილებები და სიმბოლოები, რაც ასე დამახასიათებელია ლევან გოთუას წერის სტილისათვის. აი, ყველაფერი ის, რითაც შეკრულია მოთხრობის სიუჟეტი, მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც მასში თითქმის პრობლემატურ საკითხადაა დასმული, ესაა ადამიანის სიყვარული და ზრუნვა ბუნების მოვლა-გადარჩენისათვის.

ამ საქმის უშუალო აღმსრულებლად გამოდის მოხუცი მთიელი, სახელად ბარათა, ბრძენი მეტყევე, ძველი რევოლუ-

ციონერი, ნაციმბირალი და პირველი მსოფლიო ომის ყოფილი ჯარისკაცი. მოთხრობის კვარცხლბეკზე იგი დგას, როგორც სიბრძნის, უკვდავების, იმედის და კაცობის სიმბოლო, რომელიც სიმბოლურადვე უხილავი ძაფებით დაკავშირებულია კაკლის ხესთან და ნახატარის წყაროსთან.

ის არის ადამიანი, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი მხვეჭელობა და პირადულზე უფრო საერთო-საზოგადოებრივ საქმეს უწევს ანგარიშს. აი, რას ამბობს ბარათა სატყეო განყოფილების უფროსთან ნახატარის ტყეში სამასალე თელების მოჭრის თაობაზე გამართული კამათის დროს: „სწორედ იმიტომ არ ვაძლევდი, რომ ჩემი არ იყო — მე მებარა“.

უფრო მეტიც: ტეტეს ტყვიით ფეხში დაჭრილი ბარათა უფრო ნახატარის ტყეზე ფიქრობს, ვიდრე საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე და ამბობს: „ფეხს არ ვჩივი—ხეს ვჩივი“. ბარათა ერთ-ერთი სრულყოფილი ტიპია მთელ მოთხრობაში. მისი ბრძნული და ჯანსაღი აზროვნებისათვის შეუმჩნეველი არაა ცხოვრების თუნდაც უმნიშვნელო დეტალიც კი, მაგრამ ამ გამოცდილ ბრძენსაც ცხოვრება დროებით ივალებს უხვევს და უსიტყვოდ ატანს ცოლად თავის საყვარელ ქალიშვილს ბოროტ და დაუნდობელ ახალგაზრდას ტუხა მახათელს, რომელსაც კასპის რაიონში თურმე ცოლ-შვილი ჰყავს. მწერლისადმი გაგზავნილ წერილში ბარათამ გულახდილად აღიარა: „ტუხამ აგვავსო ოქრო-ბროლით და საწოლ-ავეჯით“, მაგრამ, ჩანს, რომ ეს ოქრო-ბროლი ბარათასათვის არცთუ დიდი სიხარულის მომტანია და გზაჯვარედინზე მისული მოხუცი თითქმის სინანულით ამბობს: „ვერ გამიგია — სახლი ამიშენდა თუ მენგრევა?!“. და მართლაც, მოხუცისათვის სულ მალე ცხადი გახდა, რომ მისი თბილი ოჯახი დაინგრა, მაგრამ

კეთილი ადამიანისათვის ცხოვრება საბოლოოდ მეწყერად არ ქცეულა და მისი სულის სიღრმეში ისევ აინთო მომავლის ნათელი იმედი. ამ საკითხის ფილოსოფიურ გადაწყვეტას მწერალმა ისევ ნაცადი სიმბოლური სახეები დაუპირისპირა: შვილიშვილი ნუკრია, მოჭრილი ძველი კაკლის ხის ადგილზე — ახლად დარგული კაკლის ბაყილო, ხოლო ამომშრალ წყაროს მაგივრად — ახლად აღმოჩენილი წყარო...

მაყვალა ბარათას ერთადერთი ქალიშვილია, ერთადერთი პირმშო და იმედი. იგი დაჯილდოებულია მთიელი ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველაზე საუკეთესო თვისებებით, რომელსაც, უბრალოდ, სიდინჯე შეიძლება ვუწოდოთ. და მართლაც, მაყვალა ისე მოქმედებს მოთხრობის მთელ მანძილზე, რომ ჩვენ იშვიათად გვესმის, მისი საუბარი. მხოლოდ ქალიშვილის ქცევა და მოქმედება მიგვანიშნებს მის ადამიანობაზე.

მწერალი ლევან გოთუა კალმის ორიოდე მოსმით ეხება მაყვალას „ურჩ თმებს“ და „ოდნავ ამაყ ცხვირს“. ქალიშვილს საშუალო სკოლა ახალი დამთავრებული აქვს და ოცნებობს ისწავლოს სატყეოზე: „ალბათ, ნახატარისა და მამის სიყვარულით და მიხედულობით“.

სიყვარული, რომელიც იდუმალ ჩაისახა მაყვალასა და მწერალს შორის, თავიდანვე გაუბედავი და უიღბლო ჩანს. მართალია, ავტორი ფაქიზადაა განწყობილი ქალიშვილის მიმართ, მაგრამ ზომაზე მეტად თავშეკავებულია. მხოლოდ შორიდან შეჰხარის მას. თავის მხრივ მაყვალაც თანაუგრძნობს ავტორს.

მაგრამ ტუხა მახათელის ცბიერმა ხასიათმა და მოძალადეობამ მაყვალას წაართვა ნამდვილი ბედნიერება, რომელიც

მას ელოდა; მან მიისაკუთრა მაყვალა, რომელიც მას არ უყვარდა. ასეთ საქციელს მწერალი უბრალოდ ღობემძვრალობას უწოდებს და მახათელის მისამართით აღნიშნავს: „ცხოვრების მცირე მანძილზე შენ ყოველთვის მაჯობებ, ღობემძვრალობის ხერხს ხარ უაღრესად დაუფლებული, დიდ მანძილზე კი შენი ბურდღაც და სახსენებელიც სადღა იქნება?! ან, შენ იმდენი ძალა შეგწევს, რომ მე გამაუბედურო, თორემ ჩემი დამარცხება შენ არ შეგიძლია!“

ტუხა მახათელის მოქმედებამ გაანადგურა ნახატარის ტყე, მოხუცი ბარათა და ბოლოს — მაყვალა, რომელმაც არაგვში დაიხრჩო თავი.

როგორია მწერლის საბოლოო დასკვნა მოთხრობის მიხედვით? „ნახატარის თავზე ცისფერი ნისლი იმედისფრად გადმოიშალა“. რა იგულისხმება ამ სიტყვების უკან?

ბავშვი, რომელიც იმედად დარჩა მაყვალას.

ბაყილო — მოჭრილი კაკლის შაგირად.

ახლად აღმოჩენილი წყარო — გამშრალი წყაროს სანაცვლოდ.

ახალი ნერგები — გაჩეხილი ნახატარის ტყის ადგილზე.

ბუნებისადმი დაუძლეველი სიყვარულის გრძნობა ლევან გოთუამ სხვა მოთხრობებშიაც გამოამჟღავნა. მათ შორის მოთხრობა „ცხოვრება იწყება წყალდიდობით“ ერთი უპირველესთაგანია, რომელშიაც ბუნება მთელი თავისი სისხლსავსე ცხოვრებით ჰარმონიულად შერწყმულია ადამიანის სულიერ სამყაროსთან.

მოქმედების ადგილად მწერალს აღებული აქვს არმაზის ახლომახლო მიდამოები, ანუ რკინიგზელის ქალიშვილის ნანას სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიკეთის კუთხე“. ეს არის „სა-

ტირიფო ველი“. აქ „ლიანდაგის ახლოს, ყრუდ და ბიამანად მირჩენილ ჭალაში დიდი ბერტირიფი იდგა. მისი ღრუმრავალი ტანი მტკვარზე ჯერ გადაწოლილად, მერმე აკუთხულად აზიდულიყო“.

მოთხრობაში მწერალი იყენებს სიმბოლურ ხერხს და ამით მეტ ეფექტს, ძლიერებას და სიღრმეს აძლევს ნაწარმოებს, რომლის ცენტრში დგას ბებერი ტირიფი. ამ ბებერი ტირიფის ირგვლივ ბრუნავს ტყის უამრავ ბინადართა — ფრინველთა და ცხოველთა ცხოვრება. წერო, ყვავი, არწივი, დათვი, ბუ, „ზნეობის დამცველი“ მელია, შოშია, ირემი და კაჭკაჭი მატარებელნი არიან ადამიანთა ხასიათის, ზნეობის და თვისებების. ერთი სიტყვით, ისინი ადამიანებივით აზროვნებენ და მოქმედებენ.

ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს მწერალი უპირისპირებს ახალგაზრდა, კეთილშობილ ბიჭს—სახელად ბაკურს, რომელსაც ბრძოლა უხდება გაიძვერა ადამიანებთან — ბოროტი მელიის და არწივის სახით. ეს უკანასკნელნი ანგრევენ კლდეებს და საფრთხეს უქმნიან მატარებელს; იტაცებენ წიწილებს და სხვების გასაგონად ყვირიან: „ოჰ, რა ცოდვა-ბრალი ტრიალებს“, მერე ყლაპავენ ნადავლს და ერთმანეთს თვალისჩაკვრით ეუბნებიან: „შენც სუ და მეც სუ“...

ბაკურთან ერთად გამოდის ახალგაზრდა ქალიშვილი ნანა. მათი მომავლის გზები შეაერთა მწერალმა, როგორც სიცოცხლის, ბედნიერების სიმბოლო. მართალია, ეს ნაწარმოებიდან პირდაპირ არ ჩანს, მაგრამ ბაკურის სიტყვები ნანასადმი, რომ იგი მალე მობრუნდება და თან წაიყვანს მას და: „მე ეხლა ვიცი, რომ ცხოვრება იწყება წყალდიდობით“, თავისთავად მიუთითებს ამაზე.

ნაწარმოებში უაღრესად საინტერესო დეტალია ბერტირიფის დაღუპვის მომენტი, როდესაც ადიდებულმა მდინარემ მას უკანასკნელი საყრდენი—ფესვები გამოაცალა და ტალღებთან ერთად შორს გაიტაცა.

კეთილი ბაკური აქაც ცდილობს დახმარების ხელი გაუწოდოს ტირიფს, რომლის სახითაც მწერალმა მოგვცა მომაკვდავი ადამიანის სახე და ფსიქოლოგია და გვიჩვენა, რომ ტირიფის დაღუპვა ბუნებრივი მოვლენაა, გამოწვეული მისი ასაკით, დროით. ამ საკითხზე ბუმ შესანიშნავად გასცა პასუხი: „ყველას თავისი გზა და წარსავალი აქვს! ვეღარც დარჩებით, ვერც საშველს მისცემთ! ძველს ძირები აწყდება... ახალი კი, შენ რომ დარგე, აი, როგორი გახდა... ქარსაც უძლებს და ტალღასაც! იქ მიდით ყველა! თქვენ, ახალგაზრდები, მუდამ ებრძვით ცხოვრებისეულ სიბრძნეს“...

დაიღუპა ტირიფი სიბერისაგან, მაგრამ იგი არ მომკვდარა: კვლავ იზრდებიან მისი მოჭრილი ტოტებისაგან დარგული ნერგები.... ეს კი თავისთავად მემკვიდრეობაა, შთამომავლობაა, უკვდავებაა...

ლევან გოთუას შემოქმედების ძირითადი თემაა წარსული. ზოგჯერ მწერალი თავისი ნაწარმოების სიუჟეტად იღებს ცნობილ ისტორიულ ფაქტს, როგორიცაა, მაგალითად, თბილისის დაარსების ლეგენდა, გიორგი სააკაძის სიკვდილით დასჯა, ერეკლე მეფის დამარცხება კრწანისის ველზე და მისი გაქცევა მთიულეთში და სხვა, მაგრამ აღნიშნულ ფაქტებში იგი ყოველთვის აშუქებს უცნობ მოვლენებს, ნაკლებად დამუშავებულ დეტალებს; წინა პლანზე გამოყავს ჩვენთვის უცნობი გმირები, ხოლო დიდ მამულიშვილთა ხასიათებში ხსნის ურთულეს სამყაროს, რომელიც დატვირთულია ბრძო-

ლის და გამარჯვების ჟინით, პოლიტიკური კრახით, ბედის დაცინვით...

ყველა ეს ზემოჩამოთვლილი მოვლენები მწერალს მოცემული აქვს შემდეგ ისტორიულ თხზულებებში: „ქვის ხოხობი“, „კრწანისის სევდა“ და „უგზო ქარავანი“. საქართველოს სამი უდიდესი მამულიშვილის — ვახტანგ გორგასალის, გიორგი სააკაძის და ერეკლე მეორის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პერიოდებს ეხებიან აღნიშნული მოთხრობები.

თბილისის დაარსების ლეგენდა საქართველოს ხელოვანთა უშრეტი შთაგონების წყაროდ იქცა. ყველა შემოქმედმა თავისებურად განიცადა იგი; ყველა მათგანმა ორიგინალური შტრიხი გაავლო ამ ლეგენდის მხატვრულად ხორცშესხმის საქმეში.

ამ მხრივ ლევან გოთუა ერთი უპირველესთაგანია, რომელიც ახალი მოვლენებით, ახალი ადამიანებით და ახალი ფიქრით ტვირთავს თავის შესანიშნავ მოთხრობას „ქვის ხოხობს“. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო სათაურიც კმარა მწერლის ნიჭის დასახასიათებლად. რაოდენ პოეტური, რაოდენ ლირიული სათაურია და კიდევ სახე, სახე რომელიც დგას ახლად დაარსებული თბილისის უკვდავ, მარადიულ სიმპოლოდ.

ვახტანგ გორგასალის გვერდით „ქვის ხოხობში“ გამოდიან „ტფილის-ქალაქის უპირველესი თავკაცები“ — თაბორელი, ცალხელა ვახო ლისელი, ჯოჯობერი და სხვები. ამ მოხუცებთან ერთად ჩვენ ვხედავთ შიშველ ვახტანგს, რომელიც მწერალმა განგებ შემოიყვანა ასე და სიმბოლურად ათქმევინა: „რამდენი რამ მასმინეს, შემაგონეს, კბილიც გამკრეს მართებულად! რა ყოფილა ხოხბის იგავი — თუ გწადს სიბრძნით

სვლა, სიმართლის სმენა — შიშველი უნდა დადიოდე დედამიწაზე!“

თბილისის დაარსების ლეგენდიდან მწერალმა თავის მოთხრობაში დატოვა მხოლოდ ვახტანგის მიჟრ ხოხბის მოკვლის სცენა, დანარჩენი დეტალები მან თავისი მდიდარი ფანტაზიის წყალობით ააგო და დაუკავშირა ისტორიულ სინამდვილეს. მწერლის მიერაა გააზრებული თბილისის დასახლების ამბავი, შურის ციხის აღება და პიტიახშის დაპატიმრება, გოგირდის აუზში ბანაობა და მრავალი სხვა.

მოთხრობაში ყველაზე ბრწყინვალე დეტალია თბილისის, როგორც ქალაქის, დაარსების ისტორია: „შვილნი დედა-ქალაქს ვბადებთ და ვკაზმავთ! — გაიძახოდა გორგასალი და ყოველ ბალავარს ქვასაფუძველს თავად უყრიდა, დუღაბის პირველ ნიჩაბს თავად ადებდა“.

ამიერიდან თბილისს ორი მფარველი გაუჩნდა — ჯვარი ვაზისა, რომელიც მცხეთიდან „ტფილისს გადმოასვენეს“ და ქვის ხოხობი... იმ დღიდან არსებობის ბედნიერი გზა დაელოცა თბილისს, რომელიც მოვიდა დღემდე და მარად ივლის საუკუნეების მიღმა...

გიორგი საკაძის ლეგენდარული გმირობა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე იქცა აპოთეოზად. ლევან გოთუა „უგზო ქარავანში“ შეეხო გიორგი საკაძის ტყვედ ჩავარდნის და მისი სიკვდილით დასჯის მომენტს. ამ უკვდავი გმირის გვერდით მან დახატა საკაძის ერთგული მეომრის გორგასალ ნასყიდა-შვილის ფსიქოლოგიური სახე, რომელიც მზადაა საკუთარი სიცოცხლე გასწიროს თავისი ახალგაზრდა შვილის ბეჟანის გულისათვის, რადგანაც მოხუცმა კარგად იცის, რომ თვითონ მომაკვდავია, ხოლო მისი ვაჟიშვილი მომავალი ძალაა.

რომელმაც უნდა ამრავლოს საქართველო და დაიცვას მისი ძლიერება.

გორგასალის მიერ საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვამ სიკვდილს გადაარჩინა ბეჟანი. იგი დაბრუნდა საქართველოში და თან წამოიღო მამის თოფრაში გახვეული ჯვარი და სააკაძის ხმლის ნატეხი, აგრეთვე „უგზო ქარავანის ზინზილაკის ხმა“.

ბეჟანის სახით ამ მოთხრობაში დგას ახალგაზრდა გმირი, როგორც საქართველოს გადარჩენის, ძლიერების და მომავლის სიმბოლო.

ამაშია აღნიშნული მოთხრობის ძალა, მისი გმირული და ვაჟკაცური სული; ამაშია თვით მწერლის გამარჯვება.

მოთხრობაში „კრწანისის სევდა“ ასახულია აღა-მაჰმადხანის შემოსევა. კრწანისის ველზე 1795 წელს აღა-მაჰმადხანთან ბრძოლაში, ჯარის სიმცირის და გამცემლობის გამო, დამარცხდა საქართველოს მრავალჭირნახული და ბრძოლებით მოღლილი მეფე ერეკლე. მან ამალით თავი შეაფარა მთიულეთს. კრწანისიდან გასვლის წინ მისი ერთადერთი ღაღადისი იყო: „ღმერთო, მშვიდობით მოგვაბრუნებდე და მშვიდობით დაგვახვედრებდე!“

ლევან გოთუას, როგორც მწერლის, ღირსება ისაა, რომ იგი თავის ისტორიულ მოთხრობებში ხატავს ყველაზე უფრო რთულ და ყველაზე ტრაგიკულ მოვლენებს, მაგრამ ამ ტრაგიზმში ავტორი ნახულობს გამოსავალს და სიმბოლური სახით იძლევა მომავლის გმირს, რომელმაც უნდა გადაარჩინოს ერი და ქვეყანა.

მწერალს მეფეებთან და დიდ მხედართმთავრებთან ერთად მოთხრობებში გამოყავს უბრალო ადამიანები, მეომრები, მე-

ურმეები; ერთი სიტყვით, სწორედ ისინი, ვინც საკუთარი ოფლით, სისხლით და მარჯვენით ჩაკირეს საქართველოს მიწა და იხსნეს იგი.

მოთხრობა „სიბრძნე სიკვდილისა“ აგებულია ისტორიულ ქარგაზე და ეხება შაჰ-თამაზის და ქართლის მეფის ლუარსაბის ბრძოლას, მოქმედება ვითარდება ატენის ციხეში, სადაც ლუარსაბის დედა—მარიამ დედოფალი შეხიზნულა ხალხთან ერთად. ციხის გადარჩენისათვის მას მხარში უდგანან — ციხისთავი — ჯამარჯაისძე, წყაროს გამგებელი — ბაკურაული, ციხის მეომრები, უბრალო ადამიანები. მოთხრობაში ციხის სახით წარმოგვიდგება გარიყული და გაუვალი კუნძული, სადაც არ შეიძლება მიწვდეს მშველელი ხელი. და თუ ირგვლივ სოფლები ჩანან, ეს არაფერი ნუგეშია — „რა ახლოს, ხელისგულზე იყო ეს ყოველივე და თან რა მიუწვდომელად შორს!“

ატენის ციხე ეს არის ნამდვილი გოლგოთა, სადაც წყურვილისაგან იტანჯებიან მეციხოვნენი, ბავშვები და ქალები. ისინი ხტებიან გალავნის კედლებიდან და იკლავენ თავს.

დედებს უშრებათ ძუძუები, უშრებათ ცრემლებიც...

აღნიშნულ მოთხრობაში მწერალმა ჩააქსოვა უბადლო ნიჭი და მოგვცა გოლგოთური სცენა, რომლის არენაზე გატეხილი იქნა ციხე, თავს იკლავდნენ ადამიანები, კვდება მარიამ დედოფალი.

და არავინ იცოდა მათი საფლავი. „იქნებ აქაც იყო იდუმალი და გამოუცნობი სიბრძნე სიკვდილისა?!“..

მაგრამ ამ მოთხრობაში აღწერილ ტანჯვას ბევრად აღემატება ხანძთის ბერმონაზონის გრიგოლ მცირეს წამება, რო-

მელიც ასახულია ლევან გოთუას ბრწყინვალე მოთხრობაში— „ხანძთის ზარი“.

1552 წელს თურქებმა დაარბიეს სამცხე-საათაბაგო, დაცარიელდნენ ტაძრები, რომელთა ზარის ხმა „მერცხალივით გადაევლებოდა სამცხე-საათაბაგოს დაწყლულებულ სხეულს“. არათუ ერისკაცებმა, თვით ეკლესიის მსახურთაც კი იარაღს მოჰკიდეს ხელი. ამ სურათს მწერალი მისთვის ჩვეული ოსტატობით გადმოგვცემს.

...თურქი ჯარის საპირისპიროდ დგას ერთადერთი ადამიანი და ნამდვილი მამულიშვილი გრიგოლ მცირე. მისი მიზანი იყო გადაერჩინა ქართულ ტაძართა ხატ-განძეული მტრის ხელყოფისაგან, რომელთა გასაძარცვავადაც ისინი მოისწრაფოდნენ. გრიგოლ მცირეს და ეკლესიის მორჩილის შოშიტას სიმამაცის წყალობით მთელი განძეული გადამალულ იქნა. სამაგიეროდ ბერმონაზონი გოლგოთის ჯვარზე გააკრა მტერმა. მისი წამების სურათს მწერალი გადმოგვცემს საოცრად ძლიერი ფერებით. კითხულობთ წიგნს და თითქოს ნამდვილად გესმით, თუ როგორ შიშინებს წამებული ადამიანის სხეული, რომელსაც თურქები დაღავენ.

მხოლოდ ჭეშმარიტი ნიჭი მეფობს ამ ნაწარმოების თითოეულ სიტყვაში... ლევან გოთუა მოთხრობის ფინალში ისევ ნაცად ხერხს მიმართავს და სიმბოლოდ იღებს ხანძთის ზარს, რომელიც გადაარჩინა შოშიტამ და წაიღო შორს: „ხოლო ნაჭარბ ოქრო-ვერცხლისაგან ჩამოსხმული ხანძთის ზარი მომავალ საუკუნეებში წასული იმედივით არხევდა თავის ხალასსა და საამო ხმას“.

ზარი აქ მოცემულია, როგორც იმედის და როგორც უკვდავების ნიშანსვეტი.

მოთხრობაში მწერალი უხვად იყენებს მის მიერ შექმნილ მხატვრულ სიტყვებს, როგორიცაა: კედელხატული, ხატმადლი, თვალპატიოსანი, და უამრავ ეპიტეტებს: „უტყვი საყვედურები", „სათავეგადაგდებული ღარივით გადაწურული იმედი" და სხვა, რაც მეტ ძალას და სისხლსავსეობას ანიჭებს ნაწარმოებს.

საქართველოს უგვირგვინო მეფის ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულს უძღვნა ლევან გოთუამ მოთხრობა „წიწამურის მიწა". ნაწარმოებში არ ისმის არც თოფის გასროლის ხმა და არც დიდი ილიას უკანასკნელი ამოკვნესა. ეს ტრაგიკული და ფინალური სცენა არაერთმა მწერალმა აღწერა; ათობით მხატვარმა მიუძღვნა მას ტილოები. ამიტომ ლევან გოთუა შეგნებულად აერიდა ამ საკითხს და თავის მოთხრობის სიუჟეტად აიღო ილიას ცხოვრების უფრო რთული და უფრო დაძაბული წუთები ანუ, უფრო სწორად, მისი სიკვდილისწინა განცდები, რომელსაც თავისდა უნებურად გრძნობდა საქართველოს ღირსეული შვილი.

ილიას სწყინდა თბილისის თვალთაგან მოფარება და ეჩვენებოდა, რომ უკანასკნელად ხედავდა მას. უდიდეს მამულიშვილს ჯერ კიდევ სწყუროდა სიცოცხლე, არა მარტო საკუთარი თავის, არამედ ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ეს წყურვილი მწერალმა სიმბოლურად ასე გამოხატა: ილია მიმართავს მეთევზეს — „ახლა გაუშვი, გეთაყვა, ისევ წყალში გაუშვი თევზი! სიცოცხლე ჩვენც გვწყურია და მაგათაცა!"..

მიდის ჩაფიქრებული ილია და იგონებს გაუხარაშვილს, რომელმაც, მართალია, თოფი არ ესროლა, მაგრამ იგი ჩატეხილი ხიდის პრობლემამდე მიიყვანა.

„ჩემს საბრძოლო ურემს ორი ბორბალი ჰქონდა — ეროვ-

ნული თავისუფლება და შინაგანი უთანასწორობის ამომთელება... ჰოდა, უკანასკნელ ბორბალს უფრო დავაწექ და ავაჭრიალე". აი, პრობლემატური საკითხები, რომელთა გარშემოც ბრუნავენ ილიას ფიქრები.

ილია მცხეთას უახლოვდება, ამით ახლოვდება მისი ტრაგიკული სიკვდილის სცენაც და მწერალი ძაძებით მოსავს თავის მოთხრობას. მას ნაწარმოებში შემოყავს დედათა მონასტერში მიმავალი შავებში ჩაცმული დედაბერი, რომლის შემოსვლით იხსნება მოთხრობის კვანძი; ილიას შეკითხვაზე, ესვრის თუ არა ქართველი კაცი მას ტყვიას, შავებში ჩაცმული ქალი პასუხობს: „ვინ იცის... ქვეყანა ჭრელია!.."

ეს იყო ძალზე უხუგეშო სიტყვები, ხოლო ილიას სიკვდილი ამ სიტყვების პირდაპირი ახდომაა...

წიგნის ბოლოს მწერლის ორი მოთხრობაა დაბეჭდილი: „ყინცვისის ანგელოზი" და „ფრესკის მეორე დაბადება". აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორთავე ნაწარმოების სიუჟეტი ყინცვისის უბრწყინვალეს ტაძართანაა დაკავშირებული, მაგრამ ისინი დამოუკიდებელი ქმნილებები არიან. პირველ მოთხრობაში ასახულია ყინცვისის ანგელოზის მოხატვის სცენა, ამ განუმეორებელი და ხელთუქმნელი ფრესკის შექმნის ისტორია, ხოლო მეორე მოთხრობაში მწერალი ხაზს უსვამს იმ ბოროტ ადამიანთა მოქმედებას, რომლებიც პირადი ინტერესების და სახელის მოხვეჭის გულისათვის მზად არიან გასწირონ არა მარტო ხელთუქმნელი ძეგლები, არამედ ადამიანებიც კი.

არ შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ყინცვისის ანგელოზის მოხატვის ისტორია მწერალს სინამდვილიდან ან ლეგენდებიდან აქვს აღებული. ვერც მხატვრის და ვერც ან-

გელოზის პროტოტიპის — ლელაის შესახებ ვიტყვით რაიმეს. ჩვენ ამ მოთხრობას ვიხილავთ, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, ვიხილავთ და ფრესკის პროტოტიპის საკითხში ვეთანხმებით ავტორს. მართლაც, წყაროებიდან ვიცით, რომ გასულ საუკუნეებში იტალიის დიდი მხატვრები ტაძრის მოხატვის წინ დაიარებოდნენ ქუჩებში და ფრესკისათვის გულმოდგინედ არჩევდნენ ულამაზეს ტიპებს. მაგრამ ყოველივე ეს მათს საიდუმლოდ რჩებოდა. ფაქტი კი ის იყო, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ზოგიერთი ადამიანი საკუთარ თავს ცნობდა ამ ფრესკებში.

ყინცვისის ანგელოზის პროტოტიპად მწერალმა ლევან გოთუამ დაგვიხატა ახალგაზრდა ქალიშვილი ლელაი, ახლად დანიშნული და ულამაზესი ქალწული. მთავარმა მხატვარმა ტაძრის მოხატვა ვერ მოასწრო და, გრძნობდა რა გუმანით მოახლოებულ სიკვდილს, ანდერძით დაიბარა, რომ დაწყებულ საქმეს დაამთავრებდა მისი ნიჭიერი მოწაფე, მუნჯი მხატვარი იოანე, რომელიც მთავარი მხატვრის სიკვდილის დროს სადღაც იყო გადახვეწილი და ბოლოს ვარძიაში აღმოაჩინა მოურავმა.

მხატვარი ხელოვნებისათვის იყო დაბადებული. „სიცოცხლე სწყუროდა ახალგაზრდა მხატვარს, სიცოცხლე და შემოქმედება, ჰოდა, ჭეშმარიტად მხოლოდ ხატვის დროს ცხოვრობდა“, და მან ყინცვისის ანგელოზის სახით ისეთი „უმჯობესი და ნეტარქმნილი“ ფრესკა დახატა, რომ დღემდე იგი მსოფლიო ხელოვნების საგანძურად ითვლება.

ფრესკაში ლელაი „უფრო სცნობდა თავის თავს, ვიდრე ბრჭყვიალა სარკეში... აქ მიწიერი ქალურობა ებრძოდა ანგელოზურ ზეციურობას“. და, მიუხედავად ასეთი ბრწყინვალე

ნიჭისა, მხატვარი მაინც გარიყული იყო საზოგადოებისაგან. ქორწილის დროს მას არავინ აქცევდა საყდარში ყურადღებას და დასცინოდნენ კიდეც.

მწერალი ლევან გოთუა თავის მოთხრობაში უთანაგრძნობს ხელოვანს და ამით, პირველ ყოვლისა, აღმერთებს ნიჭს...

გავიდნენ საუკუნეები და იმავე ტაძარს დაემუქრა დანგრევის საშიშროება. ბოროტ გეოლოგს ელიბო ბარბაქაძეს მიზნად დაუსახავს ტაძრის დანგრევა; ყოველ შემთხვევაში, მისი მოქმედებიდან ასე ჩანს. იგი აფეთქებს ტაძრის ქვეშ მყოფ მარმარილოს საბადოს და გაიძახის: „თუ ვერ გაუძლებს, დაინგრეს! მის ქვეშ ათასი ახალი ძეგლის საშენი მასალაა! აი ჩემი სიმართლე!“.

ელიბოს წინააღმდეგ გამოდის მხატვარი ჯონდო ხომლელი, გეოლოგი ქალიშვილი ცისო მესხი — იგივე „მარმარილოს ქალი“ და ტაძრის საბედო-დარაჯი. თავის მხრივ ელიბოც ებრძვის მათ და ღვარძლიანად ამბობს: „მე ვანადგურებ ყველას, ვინც მებრძვის“.

ასი პირი და ასი ხელი შეიკრა ბოროტმოქმედის წინააღმდეგ და ამან გადაარჩინა უბრწყინვალესი ძეგლი დაღუპვისაგან.

ლევან გოთუა მოთხრობაში გვიხატავს ელიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ბრწყინვალე სცენებს. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ თავგანწირულობამდე მიდიან საბედო-დარაჯი და ცისო მესხი. ისინი თვალებში უყურებენ სიკვდილს და არაფრად თვლიან სიცოცხლეს, ოღონდ გადაარჩინონ ტაძარი. ეს არის ამ მოთხრობის ყველაზე უმძაფრესი ადგილი.

საბედო-დარაჯი ერთი უშესანიშნავესი ტიპია მთელ

მოთხრობაში. იგი ძალზე კოლორიტული, ძალზე შთამბეჭდავი და დაუვიწყარი ფიგურაა, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში ის მეორეხარისხოვან ტიპადაა გამოყვანილი.

რა შეიძლება ვთქვათ ცისო მესხის შესახებ? იგი ნამდვილი გმირთა გმირია. როგორც ვეფხი თავისი განწირული ბოკვერის გადასარჩენად, ცისოც ისე თავგანწირვით იბრძვის ტაძრის გადასარჩენად. რაც შეეხება ელიბო ბარბაქაძეს, იგი ისე ბრწყინვალედ წარმოგვიდგინა მწერალმა, რომ წაკითხვის უმალ გვძულს ეს ბოროტი და მხეცი ადამიანი, რომელთა მსგავსნი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობენ ცხოვრებაში...

დასასრულ ჩვენ განვიხილავთ მოთხრობას „უფოთლო ხის ჩრდილი", რომელიც მოცულობით სულ რამდენიმე გვერდს არ აღემატება.

პირველ ყოვლისა, დააკვირდით თვით ნაწარმოების სათაურს — „უფოთლო ხის ჩრდილი". ხე — ბუნების ეს განუმეორებელი სილამაზე — მწერალმა დაგვიხატა, როგორც სიმბოლო ტკბობისა და სიცოცხლისა, ფოთოლცვენისა და სიკვდილისა.

მოთხრობა თითქოს მწერლის მოგონების ანარეკლს წარმოადგენს. იგი აკაკი წერეთლის დაკრძალვის გახსენებაა, რაც თვითონ ავტორს ბავშვობაში უნახავს და მძიმე მოგონებად დარჩენია დღემდე... „მე ვეღარ ვხედავ ხეს... იგი ან მოჭრეს, ან ისე გაიზარდა, რომ ვეღარც ვცნობ... აი, მის უფოთლო ჩრდილს კი ახლაც ვხედავ".

აკაკის დაკრძალვის დროს ავტორი პატარა იყო, უფოთლო ხის ტოტზე იჯდა და პროცესიას თვალს ადევნებდა. მართალია, მას მთლიანად არ შეეძლო აღექვა ის მძიმე სურათი,

მაგრამ მის გადმოსაცემად მწერალი იშველიებს ვიღაც ბრმა ხეიბარს და შემთხვევით მოსაუბრე პირთა სიტყვებს.

აი, ხეიბრის სიტყვები: „ხანდახან ბედნიერი ვარ, რომ ბრმა ვარ! აბა, ჯარგს რასა ხედავ, გეთაყვა! გაიკითხეთ და გამაგებინეთ!..

...ჰაი დედასა, მტრისას, მე, ბრმა, ცოცხალი ვიყო... თვალნათელ აკაკის კი სიკვდილი აბრმავებდეს, მიწას აბარებდეს?!"

მძაფრი, დამაჯერებელი სურათებით აქვს გადმოცემული მწერალს დაკრძალვის უმძიმესი პროცესი. ხალხის გაუთავებელი ნაკადი მიასვენებს „თეთრ ღმერთს" — აკაკის, რომელიც „სულ ზეცაში იხედება და ისე მიდის, ფეხს არც კი აკარებს დედამიწას... აი, რა ყოფილა უკვდავება! კაცი ჯოხს რომ გადააგდებ და ისე მიხვალ... ისე მოგყვება ხალხი! ვეღარ გამიგია — ეს კაცის სიკვდილი თუ არის—რაღას ჰქვია კაცის გამარჯვება?!".

მწერლის მიზანია, უთხრას შთამომავლობას, რომ აკაკი იყო საქართველო... „მისი სახელი და სიტყვა უხმობდა თაობებს! ერთმა ნაპერწკალმა მეც ამინთო ჩუმი სანთელი და იმის შემდეგ გულში დამაქვს უფოთლო ხის ჩრდილთან ერთად", — ამბობს დასასრულ ავტორი.

ასეთია მოკლედ ლევან გოთუას მოთხრობები, ასეთია მათი სიუჟეტი, მათი ისტორიული ქარვა, მათი დადებითი და უარყოფითი გმირები, მათი დღევანდელობა.

წიგნის მთავარი თემაა წარსული, ამიტომ მისი მოქმედი გმირებიც ისტორიული პიროვნებები არიან — აღებული ან სინამდვილიდან ან წარმოდგენით შექმნილნი.

მათ შორის კიდევ დავასახელებთ — ვახტანგ გორგასალს, გიორგი სააკაძეს, ერეკლე მეორეს, ილია ჭავჭავაძესა და

სხვებს. ამ გმირთა გალერეაში მწერალმა შემოიყვანა მის მიერ შექმნილი ჯანღონითა და სიცოცხლით სავსე ადამიანები რომელთა შორის სიყვარულით დავასახელებთ — ბარათას მაყვალას, ვახო ცალხელას, გორგასალ ნასყიდაშვილს, გრიგოლ მცირეს, ჯონდო ხომლელს, ცისო მესხს, საბედო-დარაჯს და სხვებს.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ, საერთოდ, ლევან გოთუას მოთხრობებში უფრო მეტი დადებითი და კეთილშობილი გმირები არიან, ვიდრე უარყოფითი ადამიანები. ეს ამბავი ორი გარემოებით უნდა გავამართლოთ; პირველი მით, რომ ლევან გოთუა თვითონ არის კეთილშობილი, სპეტაკი ადამიანი და დიდი მამულიშვილი; მეორეც — მისი სურვილია, რომ ცხოვრებაში საერთოდ არ არსებობდნენ უარყოფითი ადამიანები, რადგანაც ისინი ამახინჯებენ როგორც საზოგადოებას, ისე მხატვრულ ნაწარმოებს.

ჩვენ მიერ განხილული ლევან გოთუას წიგნი ეს არის სამშობლოს, ადამიანის, ბუნებისა და ძეგლთა დაცვის ჰიმნი; ეს არის მოწოდება სიკეთისაკენ; ეს არის ბრძოლა ბოროტთა შესამუსრავად; ეს არის დიდ მამულიშვილთა და კეთილშობილთა გალერეა...

„წმინდა ხელოვნების იდეა ყალბია, — წერდა ჩერნიშევსკი, — ყოველი ხელოვნება დამოკიდებულია ცხოვრებისაგან და, მაშასადამე, ხელოვნების ღირებულების საზომიც საძიებელია იმაში, თუ როგორ ემსახურება იგი ცხოვრების მიერ დაყენებული ამოცანების გადაწყვეტას და მოაქვს მას საზოგადოებისათვის სარგებლობა თუ არა. ჭეშმარიტი ხელოვნება უნდა იყოს რეალური სინამდვილის უკუფენა და ამავე

დროს ამ სინამდვილის მსაჯულიც. ცუდია ამიტომ ის ხელოვნება, რომლის ნაწარმოები არ წარმოადგენს „ცხოვრების სახელმძღვანელოს“.

ჭეშმარიტად, „ცხოვრების სახელმძღვანელოა“ ლევან გოთუას წიგნი.

გრიგოლ ჩიქოვანის „ოდიშური მოთხრობები“

„ოდიშური მოთხრობები“ ეს არის გრ. ჩიქოვანის შემოქმედების მწვერვალი. აქ მწერალი გამოჩნდა, როგორც ნიჭიერი ფსიქოლოგი და შესანიშნავი კალმოსანი, რომელმაც ბატალური სურათების ფონზე წარმოგვიდგინა XVII—XVIII საუკუნეების სამეგრელო. აღნიშნულ პერიოდში სამეგრელო, ისე როგორც მთელი საქართველო განიცდის ომის ეპიდემიას მაჰმადიანური ქვეყნების მხრიდან. ეს ეპიდემია მართლაც ტოტალური ხასიათის იყო, რასაც თან ერთვოდა შინაფეოდალური ომები და შუღლი.

საერთოდ, საქართველოს აღნიშნული პერიოდი არაერთხელ გამხდარა ხელოვანთა ყურადღების საგნად, როგორც გასულ საუკუნეში, ისე დღესაც. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ სამეგრელოს ცხოვრება ნაკლებად არის ასახული ხელოვანთა ქმნილებებში. ეს იმ დროს, როცა ძველმა კოლხეთმა თუ დადიანის სამეგრელომ ბრძოლებით და შემოქმედებით აღსავსე არაერთი ფურცელი ჩაწერა ისტორიაში...

დადიანის სამეგრელოს არსებობა ემთხვევა ფეოდალური ურთიერთობის უკანასკნელ ეტაპს და ხასიათდება საოცრად მძაფრი ცხოვრებისეული კონტრასტებით, რამაც ასე მიიზი-

და გრ. ჩიქოვანის ყურადღება და, როგორც მწერალმა, შეიძ-
ლება თამამად ითქვას, ყამირი გატეხა ამ კუთხის ისტორიის
ხელუხლებ ტრამალებში. იგი ქმნის მოთხრობათა შესანიშნავ
კრებულს. მასში გაცოცხლებული სამეგრელოს ცხოვრების
მრავალი სურათი, ეთნოგრაფიული მონაკვეთი და სახეები
ახალია ჩვენს დიდ მწერლობაში.

„ტაგუდან" დაწყებული „მხედრების" ჩათვლით ეს არის XVII—XVIII საუკუნეების სამეგრელოს ცხოვრების ერთი ბატალური სცენა, რომლიდანაც გამოიყოფა რამდენიმე მოთხრობა თავისი დამოუკიდებელი სიუჟეტით, ფსიქოლოგიური გადაწყვეტით, სახეებით და მოქმედი გმირებით.

აღნიშნულ მოთხრობათა თემები სტიქიურად არ ამბოხებულან გრ. ჩიქოვანის სულში. როგორც ჩანს, ისინი დიდი ხანია აწვალებდნენ მას და მათი დაძლევა მხოლოდ სრული შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში შეძლო.

გუსტავ ფლობერი მეგობარი მწერალი ქალის ლ. კოლესადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „რიგიანად უნდა მოიფიქრო შენი ობიექტი, ვიდრე ფორმისათვის იზრუნებდე, რადგანაც ფორმა კარგი მხოლოდ მაშინ არის, როცა მთლიანად დაგეუფლება სიუჟეტის ილუზია".

მართლაც, ეს ილუზიები დროზე და შეგნებულად რომ არ დაუფლებოდა მწერალს, იგი ვერ შექმნიდა ისეთ კრებულს, როგორიც „ოდიშური მოთხრობებია".

„ტაგუ" გრ. ჩიქოვანის შემოქმედებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ნაწარმოებია, რომლის მოკლე განხილვასაც თვით სათაურიდან დავიწყებთ. ეს სათაური აღებულია მოთხრობის ერთ-ერთი წამყვანი გმირის ტაგუ ზარანდიას სახელის მიხედვით. ტაგუ ფრიად უძველესი სახელია

მეგრელი მამაკაცისა, რომელიც წარმართობის დროიდან უნდა მომდინარეობდეს.

„ტაგუ“ უფრო ნოველაა, ვიდრე მოთხრობა, რომელიც ორგანულ კავშირშია მომდევნო ნაწარმოებებთან: „სინთუ“, „შონი“, „შურისგება“, და „მხედრები“. ტაგუს თხრობის პროცესი სულ რამდენიმე სააათს გრძელდება და მთავრდება ორი მთავარი გმირის ტრაგიკული დაღუპვით.

თურქთა დესპანების ჩამოსვლა ფოთის ნავსადგურში მომასწავებელი იყო მომავალი სისხლისღვრისა ოდიშის მიწაზე. ეს მთავარმა დადიანმაც კარგად იცოდა, მაგრამ ქეშან ჭილაძე მაინც ზრდილობის გულისათვის დაახვედრა სულთან მურადის მოციქულებს ფოთის ნავსადგურში. ჭილაძეს თან ახლდა გამოცდილი, კეთილშობილი ჭყიში, მოხუცი ზარანდია და მისი 17 წლის ვაჟი ვაღურია, რომელსაც სილამაზის გამო სკვერი ეწოდა.

მამა- და შვილი უწიგნური, მაგრამ საღი გონების, აღნიშნული ეპოქისათვის ტიპიური, ხალხის ღვიძლი შვილები და სამშობლოს ერთგული ადამიანები არიან. მათ კარგად იცოდნენ ოდიშის თითოეული მტკაველი მიწა, თითოეული ლაკადა და, ბუნებრივია, ქეშან ჭილაძემ მეგზურად სწორედ ისინი აიყვანა, თუმცა მოხუც ტაგუს მკლავი და თვალი აღარ უჭრიდა ძველებურად. ერთ დროს ბედნიერ ტაგუს უბედურება დაატყდა თავს: ერთადერთი საყვარელი ქალიშვილი თურქებმა გაიტაცეს, ხოლო სულ მალე პატარა ბიჭი ქუჯიც მაშინდელ ცრუმორწმუნეობას შეეწირა...

ტაგუს და მის ბიჭს შურისძიების გრძნობა ამოძრავებდათ თურქი დესპანების მიმართ და, თუმცა მათი ფიზიკური განადგურება არ შეეძლოთ, მაინც გადაწყვიტეს, უღრანი და

ჭაობიანი ტყეებით ეტარებინათ ისინი, რომ თავისი გაჩენის დღე ეწყევლათ. ეს ამასთანავე იყო ერთგვარი პოლიტიკაც, მათი თვალის ახვევა, რათა დესპანებს არ ეხილათ აყვავებული ოდიშის ველ-მინდორი. ისინი მოდიოდნენ შალდაყიანი ტყის გაუვალი გზებით: „ირგვლივ ყველაფერი გალურსული იყო. მხოლოდ ჭაობი ყიპყიპებდა ყრუდ და წუოდა კოღო. ტყეში ჩამდგარი მზის მსხვილი და წვრილი სვეტები წაიხარა. შემზარავი ფერი დაედო ჭაობის დამპალ, გველის კანივით ჭრელ ზედაპირს“.

ასეთ ჭაობში მამა-შვილის დაღუპვა არც შემთხვევით და არც კერძო ინტერესით ყოფილა გამოწვეული, პირიქით, დიდ-მამულიშვილურმა გრძნობამ განაპირობა მათი ავბედობა. მართალია, ისინი მტერთან პირადი შერკინებისას არ დაღუპულან და მათ სიკვდილს თითქოს პასიურობის ბეჭედი აზის, მაგრამ მათი დაღუპვა უფრო უთქმელი, უფრო მტანჯველი და გოლგოთური იყო.

ტყის ზემოაღნიშნული ტრაგედია უნებურად გვაგონებს ეგნატე ნინოშვილის „პალიასტომის ტბას“, თუმცა მისი სიუჟეტი სულ სხვა ქარგაზეა გამოჭრილი და მის დასასრულს „ბრძოლა არსებობისათვის“ განაპირობებს მხოლოდ.

ყველაზე უდიდეს ტკივილს ჩვენში იწვევს მოთხრობის ფინალი: „ტაგუმ დაინახა საშინელი, გადათეთრებული თვალები. ბაბა! — გაისმა ნადირის კივილის მსგავსი გაგუდული ძახილი, მერე ბუყბუყი და იმ ადგილას, სადაც უკანასკნელად გაიელვეს ვაღურია სკვერის თვალებმა, ბლანტის წებოვანი, შავი და მსხვილი ბუშტები ამოიბურთა. მწარე ქვითინი აღმოხდა ტაგუს. მდუმარედ იდგნენ თურქები. ყველა იმ ად-

გილს დასცქეროდა, სადაც იბურთებოდა და სკდებოდა ბლანტის შავი ბუშტები“.

მწერალი გრ. ჩიქოვანი ტაგუს ოჯახის მთლიანი განადგურების მიზეზს პირდაპირ არ მიუთითებს, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი თვითონ გააკეთებს დასკვნას, ფეოდალთა და თავად-აზნაურთა სიბეცემ და პირადი ინტერესების პირველ პლანზე წამოწევამ სამთავროებად დააქუცმაცა საქართველო და ის მტაცებელთა ექსპლოატაციის ობიექტად აქცია. ამას მოყვა ჩვენი დიდი კულტურის განადგურება და ცხოვრების ეკონომიური მოუწესრიგებლობა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ოდიშის მთავარს ჯარი სრულებით არ ჰყავდა და იგი იძულებული იყო, ძლიერი სახელმწიფოების წინაშე ქედი მოეხარა.

მოთხრობა „ტაგუს“ მოქმედი გმირები, გარდა დადიანისა, ისტორიული პირები არ არიან. ეს არ ამცირებს ნაწარმოების ავტორიტეტს, პირიქით, მიუთითებს ავტორის შემოქმედებითს ფანტაზიაზე.

ეხებოდა რა რეალური პირის თუ მოგონილი პერსონაჟის საკითხს, ჰემინგუეი წერდა: „მაგის ახსნას რომ მივყვე, იმ ვექილების ცნობარი გამოვა, რომლებიც დიფამაციის საქმეს წარმართავენ“-ო. ამგვარად, მთავარია, რომ შექმნილ გმირთა აზროვნება და მოქმედება შეეფერებოდეს ასახულ ისტორიულ ეპოქას.

ამ პატარა ისტორიულ ნაწარმოებში გრ. ჩიქოვანმა შეძლო აგრეთვე კარგად გადმოეცა ოდიშის ბუნების მთლიანი ილუსტრაცია, როგორც ესთეტიკური, ისე გულშემზარავი შეგრძნების ფონზე. თუ ერთგან ჭაობის მძიმე სურათს იძლევა, შემდეგ „ოქროს მტვრით“ აფერადებულ ყვავილებს და

ტყეებს ხატავს, სადაც გარეული ფრინველები დასრიალებენ.

მოთხრობა „ტაგუ“ საინტერესოა ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც. აქ მოცემულია ჭყიშთა, ანუ მწყემსთა ცხოვრება და მათთან დაკავშირებული წარმართული ცრურწმენა. ერთხელ ღამით, როდესაც ტაგუ საქონელს მწყემსავდა, ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი და მოვიდა მერეხი, რომელმაც საქონელი ხევში ჩაიტანა და დაახრჩო. „ისინი მთის პატრონის, დარ-ავდრის ბრძანებლის მთავარანგელოსის მიქამგარიოს რისხვას მიაწერდნენ. ის გაგვიწყრა და გაგვიგულისდაო“.

მიქამგარიოსი, ანუ მიქელ-გაბრიელი სიკვდილის ანგელოსად არის ცნობილი რელიგიურ ლიტერატურაში.

ამდენად გრ. ჩიქოვანის მოთხრობაში აღნიშნული მაგალითი ეთნოგრაფიულად საინტერესოა, მით უმეტეს, რომ მიქამგარიოს კულტი სათანადო წყაროებში დღემდე სრულიად უცნობი იყო.

მოთხრობა „სინთუ“ აგრძელებს „ტაგუს“ მომდევნო ეპიზოდებს. მართალია, ეს უშუალოდ არ ჩანს კრებულში, მაგრამ მასში აღწერილი ბრძოლის სურათები და საერთო ისტორიული ვითარება ამას თავისთავად უსვამს ხაზს. „სინთუ“ ავტორმა რამდენიმე წელია გამოაქვეყნა ცალკე კრებულად.

ახალგაზრდა ქალიშვილი სინთუ მოთხრობის მთავარ გმირად წარმოგვიდგინა მწერალმა, რომელიც ღირსეული მიჯნურია მამაცი და თავშეკავებული ჭაბუკის ჩონთისა.

მოთხრობის მთავარი თემაა ოდიშელთა ბრძოლა თურქი ჯარის სარდლების საჰილ ალის და მაჰმუდ ჰასანის წინააღმდეგ, რომლებიც უკვე მომდგარი იყვნენ ხომალდებით შავი ზღვის სანაპიროზე, მაგრამ თითქოს საქართველოს ბუნებაც ამხედრდა მათ წინააღმდეგ, დელგმა მოვარდა და გაშმაგე-

ბულმა ზღვამ დაამსხვრია მათი აფრიანი გემები. ამაოდ უბრძანებდა გადარჩენილ მეომრებს მაჰმუდ ჰასანი, როგორმე აეთრიათ დამსხვრეული სხეულები და საბრძოლველად გამზადებულიყვნენ. იგი კარავში იჯდა და ცეცხლს ყრიდა თვალებიდან, ხოლო როდესაც მასთან ლიპარტიანის ელჩები—უჩა ფაღავა და ლომგული ძმები თუძბაიები მოვიდნენ და დამორჩილება მოსთხოვეს, მისმა აღშფოთებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა და ცინიკურად წარმოთქვა: „ბრიყვს თუ შეეძლო შემოებედნა მაჰმუდ ჰასანისათვის ასეთი უსტარი...“

ფიცხელმა ბრძოლამ არ დაინდო სიცოცხლე მრავალი დარჩეული ოდიშელი მხედრისა, მაგრამ მტერი მაინც განადგურებულ იქნა.

სინთუ დიდ ხანს ელოდა თავის საქმროს, რომელიც თურქებმა ტყვედ წაიყვანეს და მხოლოდ ოცი წლის შემდეგ მოახერხა უკან დაბრუნება, მაგრამ საცოლე უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო.

მოთხრობაში „სინთუ“ მწერალი გრ. ჩიქოვანი „ოქროს ზომიერებით“ გადმოგვცემს მძაფრ ბატალურ სცენებს, ოდიშელთა თავგანწირვას.

„შონი“ შესანიშნავი ნოველაა, რომელშიაც ერთმანეთს ეხლართებიან უძველესი სვანური და მეგრული ადათები. ამ წარმართულ ამბებზე იშლება ნაწარმოების სიუჟეტი. სვანი ბიჭის გაუს საცოლე დედის მუცელშივე დანიშნეს მისმა მშობლებმა. და როცა პატარა მზისა დაიბადა, გაუს მამამ თავისავ ჩართოლანმა მზისას მშობლებს ფინთიხი მიუტანა და უთხრა: „ბექმურზა, თუ შენი მზისა ნებით ან უნებლიეთ სხვას გაჰყვა, მე და შენ... თავისავმა ორლესულის ვადაზე დაიდო ბარის სიფართე ხელი“.

მერე მათ ნაყდანვირი და დასაკავებელი მიართვეს ერთ-მანეთს, რის შემდეგ მზისას სხვაზე გათხოვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, და თუ ეს მოხდებოდა, მაშინ საქმე უსისხლოდ არ ჩაივლიდა. აი ეს არის ამ მოთხრობის ძირითადი კვანძი, რომელიც ეყრდნობა ძველ სვანურ ტრადიციებს, რომლის დაცვა ღვთის კანონად ევალებოდა ყველას. ეს დაუწერელი კანონი გადაეღობა გაუს, როდესაც იგი ოდიშში ჩამოდის სამზითვო ფულის საშოვნელად და შემთხვევით იცნობს ულამაზეს მეგრელ ქალიშვილს ცირუს. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. კინაღამ „ეშმაკმა ჩაუფურთხა საქმეში" გაუს, კინაღამ ცირუს სიყვარულზე მიიტანა იერიში, მაგრამ აქ მის წინ აღიმართა უძველესი და უმკაცრესი მამაპაპური ადათი, ხოლო ამან, თავის მხრივ, თვალწინ დაუყენა სევდიანი და მორჩილი მზისა! ორი გრძნობის ჭიდილში გაატარა გაუმ რამდენიმე დღე და ბოლოს, როდესაც ცირუ და გაუ მდინარის პირას ერთმანეთს შეხვდნენ, რწმენით შეპყრობილმა გაუმ საოცარი გულგრილობა გამოიჩინა ვნებიანი ქალიშვილის მიმართ. მართალია, ეს უკანასკნელი თვითონ ეალერსებოდა ვაჟს, მაგრამ „გაუს ხელი უგრძნობი იყო, ცივი და მძიმე... ცირუ ეკვროდა მხრით, მკერდით. გაუ თავს იკავებდა". გაუ წავიდა იმ გზით, რითაც ყულევის ომში წავიდნენ ცირუს მამა და ძმა, რომელნიც აღარ დაბრუნებულან.

არც გაუ დაბრუნდება, რადგანაც ამას უკარნახებენ სვანური რიტუალები, მზისას თვალები, მურყვამობის მადლი, სიყვარულის ღვთაება, რომელიც მზისასთან მიაჩქარებდა შეხვედრად.

ცირუს და გაუს სიყვარულზე სწორედ ზედ გამოჭრილია ძველი პიესის სიტყვები, რომელიც ჰყანენ თავის „იდეებს"

წარუმძღვარა წინ, მხოლოდ თუ დასასრულ ერთ სიტყვას შეცვლით: „ქალი სიყვარულის ღირსი იყო და ვაჟს უყვარდა იგი, მაგრამ ვაჟი არ იყო სიყვარულის ღირსი და ქალს მაინც უყვარდა იგი...“

გაუს საქციელი ამართლებს სვანურ ადათ-წესებს, რომელიც სისხლში აქვს გამჯდარი ახალგაზრდა ვაჟს, მაგრამ მის მოქმედებაში ჩვენ ვხედავთ თვითონ ავტორს, რომელიც თანაუგრძნობს მაშინდელ სვანთა ზნე-ჩვეულებებს. იგი არ შეეცადა დაერღვია მათი ადათების საუკუნოვანი მყუდროება. საპირისპიროდ მოიქცა ვაჟა-ფშაველა, რომელმაც ალუდა ქეთელაური მთიდან გააძევებინა ხალხს, რადგან ქისტ მუცალს მკლავი არ მოსჭრა და ამით ზურგი შეაქცია დახავსებულ გადმონაშთებს, რასაც ზიანი მოჰქონდა ხალხისათვის...

ნოველაში „შონი“ დახატულია თურქებთან ომის შემდგომი პერიოდი, როცა დროებით მშვიდობა ჩამოვარდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებითი შესვენების პერიოდი; სულ მალე ისევ გამძაფრდა საერთო ვითარება, დადგა ოდიშელთა ყოფნა-არყოფნის საკითხი. „შურისგებაში“ სწორედ ეს დაძაბული დღეებია დახატული. მას შემდეგ, რაც ოდიშის მთავარი გარდაიცვალა, ისქანდერ ალის დიდი გული მიეცა და გადაწყვიტა ქვრივი კესარია დადიანის საგარეო თუ საშინაო საქმეებში ხელების ფათური. უპირველეს ყოვლისა, სურდა ბატონიშვილის მოსყიდვა, რომელიც ამ დროს გელათში იყო გაბარებული და იზრდებოდა ისე, როგორც ყველა სოფლელი გლეხის ბიჭი. ეს ტყაშმაფა (ტყის მეფე) ჭაბუკი ისქანდერ ალის ბრძანებით მიდის სასახლეში, რომელსაც თან მიჰყვებიან ესიკა წერეთელი და ცალთვალა თავადი, ნათლია პოჭინა აბაშიძე.

ისქანდერ ალი ბატონიშვილს მხარდაჭერას სთხოვს იმერეთის წინააღმდეგ საბრძოლველად და თან მაცდურად მიუთითებს: „დიდი ფუნჯი დიდ იეროგლიფებს წერს... შენც დიდი საქმის გაკეთება შეგიძლია შენი ხალხისათვის“. მაგრამ უარს მიიღებს და განრისხებულს დედოფალი აჰყავს სამსხვერპლოზე.

დასჯის წინა დღეებში დედოფალი შესთხოვდა ღვთისმშობლის ხატს სამშობლოს ბედნიერებას: „უკანასკნელი ჩემი ფიქრი ჩემ ხალხთანაა, მეუფეო“. და მოკვდა იგი ამაყად, რადგან სასიამოვნო და საპატიოა სამშობლოსათვის სიკვდილი, როგორც იტყოდა ჰორაციუსი.

ფეხზე ადგა მთელი დასავლეთ საქართველო. წინ მიმავალ ბატონიშვილს ყურებში ჩაესმოდა დასჯილი დედის სიტყვები: „წარუძეხ შენს ხალხს!“ სამშობლოსათვის წამებული კესარიასთანა ქალები ბევრი იცის საქართველოს ისტორიამ, მანვე იცის თემურ ლენგის სიტყვებიც: „შეუძლებელია დაიმონო ერი, რომელსაც ასეთი ქალები ჰყავს. მთელი აზია ფეხქვეშ განვირთხე, მაგრამ ქართველებს ვერ მოვაგრეხინე ქედი“...

მომდევნო მოთხრობა „მ ხ ე დ რ ე ბ ი“ თითქმის პირდაპირი გაგრძელებაა მოთხრობა „შურისგებისა“. მთელი დასავლეთ საქართველოს ამბოხებამ ისქანდერ ალის წინააღმდეგ უკიდურესობამდე გაამხეცა იანიჩრები და ოდიშის სამთავროს ეპიდემიასავით მოედვნენ. ქოსისციხესთან მომხდარი ბრძოლა იანიჩრებსა და ოდიშელებს შორის ამ თავზარდამცემ სურათს გვიხატავს. მეგრელ მხედრიონთა თავგანწირვამ, მუშნი და უჩა ხეციების მეთაურობით, გმირობის ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. დაღუპულთა შორის იყო თვით მუშნიც,

ხოლო უჩამ მოახერხა მგლის მინდორზე გასვლა, სადაც ვამეყ ბატონიშვილი ელოდა. მეგრელი ქალიშვილის გვანცას თავგანწირვამ სიკვდილს ვერ გამოსტაცა მუშნის ვაჟკაცური სიცოცხლე...

ბრძოლის თემაზე აგებული „ოდიშური მოთხრობები“ საგალობელია ჩვენი დიდი წარსულისა, გმირთა ხსოვნისა, მამაპაპათა კურთხეული სისხლისა. სხვანაირად არ შეიძლება ამ ნაწარმოებთა შეფასება.

ბერძენი გიორგოსის სახით ქართულ ლიტერატურას შეემატა ისეთი გმირი, რომელიც ღირსია იცოცხლოს ჩვენი სახელოვანი ლიტერატურული გმირების დიდ ანსამბლში. ნაწარმოების მიხედვით იგი უბრალო მედუქნეა. „არავინ იცოდა ვინ იყო მედუქნე, საიდან მოვიდა, ჰყავდა თუ არა თვისტომი და ჭირისუფალი, რა ბედმა და განგებამ გადმოხვეწა აქ ცარიელ-ტარიელი, რამ ჩაუხურა და ჩაუხვია გული, რად განუდგა ცასა და მიწას“.

XIX საუკუნე კაპიტალიზმის უდიდესი აღზევების პერიოდია მთელ დედამიწაზე. ბრძოლა მსოფლიოს გადანაწილებისათვის — აი ეს იყო მთავარი იდეალი. მე-17 საუკუნიდან ინგლისელებს უკვე ხელთ უპყრიათ აღმოსავლეთ აზიისა და აფრიკის ქვეყნები. ბოლოს ესეც რომ არ იკმარეს, საბერძნეთისაკენ აიღეს გეზი. 1873 წელს მათ დაიპყრეს კვიპროსი, ხოლო მეამბოხენი სახლებში ამოწვეს ან ისე გაჟლიტეს. მათ შორის იყო გიორგოსის მეუღლე, ხოლო თვითონ ძლივს მოახერხა გაქცევა და დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ საქართველოში მოხვდა და აქ გაიჩინა ბინა.

სამშობლოს დაკარგვა, ოჯახის განადგურება და პატარა გოგონა ურანიას გაუჩინარება იყო მიზეზი იმისა, რომ ჯერ

კიდევ ახალგაზრდა კაცი მთლიანად გათეთრდა და საოცრად მობერდა. გიორგიოსი, ეს არის კეთილშობილების ნამდვილი განსახიერება, რომელმაც ოჯახის დაკარგვის შემდეგ თავისი ადამიანური სიყვარული დაუკავშირა გახუ ღვინჯილიას მიტოვებულ მეუღლეს — თათიას და მის პატარა ცირუს, რომელშიაც თავისი ურანია დაინახა. უსასყიდლოდ უზიდავდა მათ სურსათს და ბოლოს, როცა თათია იღუპება, ბერძენი თავისი ხარჯით ასაფლავებს მას, ხოლო ცირუს საკუთარი შვილივით ზრდის, ცდილობს ფული შეაგროვოს, რათა სკოლაში ასწავლოს.

მართალია, გახუმ ცოლ-შვილი მიატოვა, მაგრამ მისი სახე ისეა მოცემული ნაწარმოებში, რომ მკითხველი მაინც უთანაგრძნობს მას. ბრალი ამ საქციელში მარტო მას როდი მიუძღვის. აქ მთავარია მაშინდელი სოციალური მდგომარეობა, არსებული ვითარება.

მართალია, ბერძენი გიორგიოსი სულ დახლთან იჯდა, მაგრამ იგი მაინც პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია, რადგან მის დუქანში ხშირად იკრიბებიან რევოლუციურად განწყობილი ადამიანები. ნაწარმოები აღსავსეა დამაჯერებელი სურათებით, მოქმედ პირთა დასრულებული სახეებით და იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური განწყობით. მაგალითად, თათიას ფიზიკური შრომა აღშფოთებას იწვევს ზოგიერთ ადამიანში, ხოლო მამამისი იპოლიტე შუშანია წონასწორობიდან გამოდის: „არ გამაგონოთ მისი სახელი! ოჯახის შერცხვენა არ იკმარა იმ გათახსირებულმა, ახლა შუშანიების მთელ გვარს მოგვეჭრა თავი!“

ამ სიტყვებით შემოქმედმა ხაზი გაუსვა თავად-აზნაურთა მიერ შრომის უარყოფის სამარცხვინო აქტს და ერთხელ კი-

დევ მოგვაგონა, რომ შრომის გარეშე ადამიანთა საზოგადოების არსებობა, თუნდაც ერთი წუთითაც, წარმოუდგენელია.

ურანიას ევროპიდან მოულოდნელი ჩამოსვლა ხობის მარიამობაზე და ბერძენის მკვლელობა ხსნის ამ შესანიშნავი ნაწარმოების კვანძს...

„ოდიშური მოთხრობების“ გვირგვინია პატარა მოთხრობა „მ ი დ ე გ ა“, რომელშიაც ადამიანის და ძაღლის ურთიერთობის საკითხი უმაღლესი ფსიქოლოგიით არის დასმული და გადაწყვეტილი. აღნიშნული თემა, მართალია, ახალი არ არის: ძაღლს ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანები ხატავდნენ გამოქვაბულის კედლებზე, რადგან ის მათი განუყრელი მეგობარი იყო; ძაღლს ნახავთ გენიალური ტიციანის ტილოზე „მწყემსი და ნიმფები“; ძაღლის სახელს გაიგონებთ ქართულ ვერბალურ შემოქმედებაში: „ძაღლი თეოზე მყეფარი“; ძაღლს უბრწყინვალესი მოთხრობა მიუძღვნა რუსული ლიტერატურის კლასიკოსმა ტურგენევმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გრ. ჩიქოვანის „მიდეგა“ ეს არის დამოუკიდებელი, ფსიქოლოგიურად უაღრესად ძლიერი ნაწარმოები.

ამ მოთხრობის უძლიერესი ადგილებია უნივერსიტეტში წასვლის წინ ძაღლთან დამშვიდობება, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთიდან დაბრუნება და უკვე ბებერ ძაღლთან შეხვედრა: „ არა, დედა ისე არ შემბრალებია მაშინ, როგორც მიდეგა. თავდახრილი იდგა, მეგონა, აი, ახლა ატირდება შეწუხებული, რომ ისე არ დამხვდა, როგორც წინათ მხვდებოდა. თითქოს მისი ბრალი იყო, რომ სიბერემ უწია“.

მწერალი გრ. ჩიქოვანი კარგად მოიქცა, რომ ვალმოხდილი და დაუძლურებული ძაღლი ბუნებრივი სიკვდილით მოკლა, თორემ ამას უთუოდ ვუსაყვედურებდით. აბა, რას ეტყოდით

თქვენ მწერალს ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ. უკვე პატრონს ძაღლი მოსაკლავად მიჰყავს: „მიდეგა იდგა გარეგნულად მშვიდი, შერიგებული თავის ხვედრს, თან მედიდური, წარმოსადეგი და თვალს არ მაშორებდა. თოფი საოცრად დამიმძიმდა. ვიდექ დაბნეული, შეშფოთებული, არ ვიცოდი, რა მექნა. ვეღარ გავუძელი მის მზერას, უცებ შევტრიალდი და სასწრაფოდ გავშორდი“.

ახლა დავუპირისპიროთ ამ სიტყვებს ტურგენევის „მუმუდან“ ამოწერილი სტრიქონები, როცა გერასიმემ ნავზე აიყვანა მუმუ და აგურებიანი თოკი წამოაცვა. „ძაღლი თავის მხრივ ნდობით, უშიშრად და კუდის ქანცურით უცქეროდა მას. გერასიმე შებრუნდა, თვალები მოხუჭა და ხელები გაუშვა“. ეს, რა თქმა უნდა, როდი მიუთითებს, რომ ყრუ-მუნჯი გლეხი გერასიმე შეუბრალებელი ბუნების ადამიანი იყო, პირიქით, იგი იყო უაღრესად კეთილი, მას ძალიან უყვარდა მუმუ, მაგრამ სასტიკი ქალბატონის წინააღმდეგ ვერ წავიდა, რის გამოც საკუთარი ხელით დაანრჩო საკუთარი ხელითვე გაზრდილი საყვარელი ძაღლი.

მოთხრობებში „მუმუ“ და „მიდეგა“ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება უპირისპირდება ერთმანეთს, ორი სხვადასხვა დროის და ფსიქოლოგიის ადამიანი და, ბუნებრივია, მათი ფინალიც სხვადასხვაა, მაგრამ გადაწყვეტის სიმაღლე ორივე მოთხრობაში ზენიტშია აყვანილი.

და აი, „ოდიშური მოთხრობების“ მოკლე განხილვით, დაწყებული დადიანის სამეგრელოდან, მოვედით სამამულო ომის დღეებამდე, რაც ასე ახალი კუთხითაა ასახული ნოველაში „დაჩუტული ბურთი“, მასში ფრონტის ამბები უშუალოდ არაა ასახული, მაგრამ ნახევრად დაცარიელებული

რუსთაველის პროსპექტი, დაღვრემილი თვალები ამას თავისთავად მეტყველებენ....

გრ. ჩიქოვანმა აქაც შეძლო მთლიანად გაეშალა თავისი ფსიქოლოგიური შესაძლებლობანი.

ნოველაში „მალსეკო“ მწერალმა დახატა ლევანისა და ქეთევანის სტუდენტური სიყვარული, ხოლო შემდეგ კონფლიქტი მათ შორის. ლევანი სადოქტორო დისერტაციის დაცვამ გააყოყოჩა, ადამიანთა მოძულე გახდა და როცა ერთხელ მასთან მეურნეობიდან მის მიერ გამოგონილი ლიმონის წამლის „გრიგალის“ სათხოვნელად მოვიდნენ მშრომელები, ლევანმა ისინი სახლში არ მიიპატიჟა, რის თაობაზეც ქეთევანმა სამართლიანად უთხრა: „თქვენ ისინი წვიმაში შინ არ შემოიპატიჟეთ, არ მიესალმეთ, არ დაემშვიდობეთ, თავსხმაში მიატოვეთ გარეთ“, მაგრამ ლევანისათვის ამ სიტყვებს მნიშვნელობა არ ჰქონდა. საზღვარგარეთ სიარულმა და სიმდიდრემ თვალები დაუბრმავა მას, გაამხეცა და გააძუნწა, ხოლო მისმა გამოგონილმა პრეპარატმა პლანტაცია გადაახმო. „დისერტაციამ ვერ განკურნა „გამარჯვების“ პლანტაცია... თქვენი დისერტაცია თქვენს მეტს არავის სჭირდება. მის დასაცავად თქვენ „კარგი ხელფასის გამო“ იღვწოდით და კიდევ სახელი...“ — მიაყვირა ქეთევანმა.

საუბედუროდ, ასეთი ადამიანები ჯერ კიდევ არსებობენ ჩვენს სინამდვილეში და აღნიშნული ნაწარმოების მიზანიც სწორედ ის არის, რომ ამხილოს და გაკიცხოს ისინი.

ასეთია მოკლედ ჩვენი შეხედულება „ოდიშურ მოთხრობებზე“. „ოდიშური მოთხრობები“ ჩვენი მწერლობის კარგი შენაძენია. აქვე უნდა გავიმეოროთ პლატონის სიტყვები: „კარგი წიგნი ავტორისა ეს უკვდავი ბავშვია, რომელიც თავის მშობელს მარადიულ სიცოცხლეს ანიჭებს“.

რევაზ ინანიშვილი

თანამედროვე ქართულმა პროზამ ორმოცდაათიანი წლების შემდეგ თავისებური გარდატეხა განიცადა. კლასიკური წერის სტილში იგრძნობა ერთგვარი დივერგენცია, რომელშიაც ჭარბობს მცირე ზომის მოთხრობები, განსაკუთრებით კი — ნოველები.

რ. ინანიშვილის წიგნი „წვეთები ფოთლებზე“ მოთხრობებისა და ნოველების კრებულს წარმოადგენს. კრებულში მოთავსებული ზოგიერთი მოთხრობა თუ ნოველა რამდენიმე გვერდს არ აღემატება, თუმცა ეს სრულებით არ უშლის ხელს, რათა მათი წაკითხვის შემდეგ მკითხველმა განიცადოს ესთეტიკური სიამოვნება და მოქმედ პირთა სახეებში იგრძნოს დასრულებული ხასიათი.

ახალგაზრდა მწერალი რევაზ ინანიშვილი უკვე მოთხრობათა რამდენიმე კრებულის ავტორია და მკითხველთა შორის სარგებლობს დიდი პატივისცემით და დამსახურებული სიყვარულით. მისი მოთხრობების თემატიკა მოიცავს მრავალფეროვან სამყაროს, სადაც არსებობენ საოცრად მხიარული და სიცოცხლით აღსავსე ბედნიერი ბავშვები, ახალგაზრდები

და მათთან ერთად განუყრელ კავშირში — უფროსი ადამიანები. მათი უმრავლესობა სოფლის მკვიდრნი არიან, ცხოვრობენ კახეთის სხვადასხვა ადგილებში და ამიტომ მწერლის ნაწარმოებებში იგრძნობა კახური სამყარო, კახური კოლორიტი. ეს თითქოს ვიწრო ჩარჩოში სვამს ამ მოთხრობებს, მაგრამ მათში მოქმედებენ ისეთი ადამიანები, რომელთა ფიქრი საერთოა ყველა ჯანსაღად მოაზროვნე ქართველი ადამიანისათვის. უპირველეს ყოვლისა, ბევრი ახალგაზრდის ხასიათში თვითონ მწერალი ჩანს და ეს არცაა გასაკვირი. მარკ ტვენი (სამუელ კლემენსი) თავის ჰეკლბერი ფინზე წერდა: „უმეტესობა ამბებისა, რაც ამ წიგნშია აღწერილი, სინამდვილეში მოხდა, მათგან ერთი თუ ორი მე თვითონვე გადამხდა თავს, დანარჩენები — ჩემს თანასკოლელ ამხანაგებს. ჰეკ ფინი ცხოვრებიდან არის აღებული; ტომ სოიერიც, მაგრამ ტომის სახე ჩემი ნაცნობი სამი ბიჭის ხასიათიდან არის შედგენილი“.

კრებული „წვეთები ფოთლებზე“ იყოფა ათ ქვეთავად: „მთები“, „ზამთრის პირის ბინდი“, „მძიმე ფეხსაცმელები“, „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“, „მოწმენდილი ცა“, „ცხოვრება პოეტისა“, „ჩემი საყვარელი დეიდა“, „ფერები შორიდან“, „ფასანაურში“ და „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“.

კრებული იხსნება საინტერესო ნოველით „ჩემი მეგობარი“, რომლის მოქმედება ერთ-ერთ ტყიან სოფელში მიმდინარეობს ერთი დღის განმავლობაში. გვიანი შემოდგომის წვიმიანი დღეა და სოფლის ფონზე გამოდის მეგობარი.

ჩვენ არ ვიცით მისი სახელი, ვინაობა, წარსული, მაგრამ ნოველიდან ჩანს, რომ იგი სოფლის უბრალო ადამიანია,

რომელიც უზომოდაა შეყვარებული თავის ცოლ-შვილზე, მეგობარზე, ხარებზე.

იგი ძალიან კეთილი, უბრალო და თავისებურად მოაზროვნე ახალგაზრდა გლეხკაცია. „წვერგაუპარსავია, გახუნებული, დაბამბული ქურთუკი და დიდი დაბრეცილი ჩექმები აცვია. მიდის და მიაბოლებს. ხელმარცხნივ ტყიანი გორაა, ხელმარჯვნივაც. ერთსაც ბურუსი დასწოლია ზემოდან, მეორესაც. არავის არ აფიქრებს — იმ ბურუსს იქით რაა“.

მართლაც, ამ მეგობრისათვის ჭვრეტის ობიექტი არაა ბურუსს იქით არსებული სამყარო, მაგრამ სივრცეებისადმი ჭვრეტის უქონლობა სრულებით არ ამცირებს მეგობარ გლეხკაცს, რადგან თავისებურად მას საკუთარი სამყარო გააჩნია. იგი კმაყოფილია თავისი სოფლის იდილიით; მისი ზრუნვის საგანია რეალური ცხოვრება — ოჯახი.

შეულამფავი კოჭები, პურის კარადა და მაგიდა, აი მთელი მისი ავლადიდება, მაგრამ იგი მაინც ყველაზე ბედნიერი კაცია მთელ ქვეყანაზე: ჰყავს ერთგული მეუღლე, ცამეტი წლის ცისფერთვალება გოგონა და ორი ბელებივით ბიჭი, ერთმანეთს რომ ებღლარძუნებიან ხოლმე იატაკზე.

ზის ბედნიერი კაცი ბედნიერ ცოლ-შვილში, თვალებით ჭამს მათ და განიცდის უდიდეს სიამაყეს. სიხარულისაგან ენა აქვს დაბმული და არ იცის, რაზე ესაუბროს მათ, რით დაიწყოს. საქმით და ფიქრით სავსეა პატარა, თბილი ოჯახი...

ისევ მთა... ხევსურეთის ერთ-ერთი პატარა სოფელი. სიპით ნაშენი სახლის ბანზე ზის ახლად წამოჩიტული გოგონა მზისა, რომელშიაც უკვე გაღვიძებულია სიყვარულის ფარული ინსტინქტი, მაგრამ ეს გრძნობა ჯერ არავისთვის გაუმხელია, რადგან მზისას ამის საშუალება არა აქვს. ცხოვრობს

ისეთ სოფელში, სადაც არათუ რომელიმე მგზავრის, თვით ხევსურის დანახვაც კი გაოცებას იწვევს მასში. ირგვლივ მხოლოდ მთები და კლდეებია და მზისას მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ თხილის გრძელი წკნელით ჩიტები დააფრთხოს, სახლის ბანზე გაფენილ ხორბალს რომ კენკავენ.

და აი მოულოდნელად გამოჩნდნენ ცხენებზე ამხედრებული მთამსვლელები. ერთი მათგანი შიდის გოგონასთან და წყალს სთხოვს. მზისა სახლში შერბის და „იქ რაც შეიძლება ლამაზ, ლამაზ სასმისებს ეძებს“... და შემდეგ ისინი 'მორდებიან ერთმანეთს.

გადის რამდენიმე დღე. „მზისა კი ისევ ბანზე ზის. იქ ზის მეორე დღესაც. ბანზე ახლა ხორბალი აღარ არის გაფენილი. მზისას სუფთა, ლამაზი, დაწინწკლული კაბა აცვია და ლამაზად აქვს დაწნული თმები“.

სულ ეს არის ამ პატარა, მაგრამ საინტერესო ნოველის მოკლე შინაარსი. მწერალს მასში მოცემული არა აქვს რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე დეტალები. ნაწარმოების ბოლო სტრიქონებს მივყავართ იმ ინტიმურ გრძნობებამდე, რომელიც ამ შემთხვევაში ძალიან უბრალო, მაგრამ სათუთი და უმანკოა. მკითხველი თანაუგრძნობს მზისას სიყვარულს, რომელსაც გაღვიძება სჭირდება და ჯერ ამის შემთხვევა არ დამდგარა...

რ. ინანიშვილს იზიდავს ბავშვთა სამყარო მთელი თავისი სიდიადით, უბრალოებით და უმანკოებით, იზიდავს და შესანიშნავად შეუძლია გადმოსცეს ბავშვის ხასიათი. ეს საქმე არცთუ იოლია, რადგან იგი მოითხოვს ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნას. პატარისთვის დაწერილი ნაწარმოები უნდა იყოს დამაჯერებელი, მისი ხასიათის და განწყობის გამომხატ-

ველი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვისათვის ის იქნება უინტერესო და მიუწვდომელი.

როდესაც ვკითხულობთ რ. ინანიშვილის მოთხრობას „ზამთრისპირის ბინდი“, ჩვენ ვგრძნობთ, თუ რაოდენ შესანიშნავად შეუძლია მწერალს გადმოგვცეს ბავშვთა სამყარო. ნაწარმოების ენა სადა და დახვეწილია, ხოლო დიალოგები ძალიან ბუნებრივი.

აღნიშნული მოთხრობა შესანიშნავი, უნაკლო, მეტად საინტერესო და მიმზიდველი ნაწარმოებია არა მარტო მხატვრულობის, არამედ დიდაქტიკის თვალსაზრისითაც.

საერთო სათაურის ქვეშ „მძიმე ფეხსაცმელები“ გაერთიანებულია სამი პატარა ნოველა: „ცუდი სიზმარი“, „მძიმე ფეხსაცმელები“ და „ერთი ბოთლი შამპანური“: მათი სიუჟეტი ძირითადად სიყვარულის ქარგაზე იშლება, ამიტომ მათ შორის ბევრი რამ საერთოც არის და განსხვავებულიც.

ნოველა „ცუდი სიზმარი“... ნაწარმოების დასაწყისში არ ჩანს, თუ რა სულიერი დამოკიდებულება არსებობს პრაქტიკანტ სტუდენტებს გუბაზსა და ელიკოს შორის. ელიკო ლამაზი გოგონაა და სიცოცხლით სავსე ჰაბუკს მისდა უნებურად იზიდავს; მაგრამ ამაში ახალი და განსაკუთრებული არაფერია.

ნოველაში უაღრესად საინტერესოა მოხუცი ქალის სახე, რომელიც მწერალმა შეგნებულად დაუპირისპირა ახალი თაობის, ახალი მოდის ტიპიურ წარმომადგენელს ელიკოს. მათი შეხვედრა და საუბარი ხდება ტენტით დახურულ მანქანის ძარაზე.

ქალის მიამიტურ საუბარში ჩვენ ვგრძნობთ სითბოს და განვიცდით დიდ სიყვარულს მისდამი, თანავუგრძნობთ მას.

კომიკური დიალოგების ხატვაში რ. ინანიშვილს აქვს შესანიშნავი, ხალასი, უზადო ნიჭი, რომელსაც ძალიან ლაკონურად და ბუნებრივად იყენებს თავის ნაწარმოებებში.

„ეგ რა უქნია თმისთვის, ან რა აცვია, ქა!“— ასეთია ამ კახელი ქალის პირველი შეხვედრით მიღებული გაკვირვება და მისი პირდაპირი და მოურიდებელი კითხვა ქალ-ვაჟისადმი. სოფლის უბრალოებას შეჩვეულ ქალს ეხამუშება თანამედროვე ახალგაზრდობის უცნაური ჩაცმულობა და თმის უჩვეულო ვარცხნილობა.

მალე ეს ქალი ცვლის საუბრის თემას და ახალგაზრდა ქალ-ვაჟის სიყვარულში თავისუფლად აფათურებს ხელებს, თუმცა არც თავის წარსულ ტრფობას ტოვებს ხელწამოუკრავს: „მე ჩემი კაცი ქვეყანას მერჩივნა, ერთი გამურული რაღაცა კი იყო...“

„რძალიც ელიკოსთანა მოვიყვანეთ, — თავისთავად განაგრძობს არამკითხე, მაგრამ მხიარული ქალი, — წანწყარასავით დაქანქალებდა, რომ მოვიყვანეთ. ეხლა თითო ფუთი არტალა აუვა ფეხზედა. ორ-ორი ისეთი ტროყია ბიჭი ჰყავ, ნეტავ თქვენს დედასო, იტყვით. შეიძლება ეგეც ისეთი გახდეს. შენზეა ეგა. გულს გაუხარებ—გაკეთდება, გულს გაუფუჭებ და გაგიფუჭდება. რიყესთან გააჩერებინეთ, შვილო, ემანდ არ გამაცდინოთ“.

ამ უბრალო და მხიარული დიალოგიდან ჩვენ ნათელი წარმოდგენა გვექმნება ქალზე, რომელიც ეპიზოდურად შემოდის ნოველაში და ასევე მოულოდნელად ქრება ჩვენს თვალთაგან, მაგრამ თან მიაქვს მკითხველთა სიყვარული და სინანული. ეს კი მწერლის დიდ გამარჯვებად უნდა ჩავთვალოთ.

ნოველაში „მძიმე ფეხსაცმელები“ რ. ინანიშვილი გვიხა-

ეტავს ახალგაზრდა მეტეოროლოგის ზვიადის და მისი შეყვარებულის ელოს სახეს. ნაწარმოებში თითქოს არ იგრძნობა არავითარი დაძაბულობა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, გარეგნულად. თუ ღრმად ჩავიხედავთ ზვიადის სულში და მისი ბოლო საქციელიდან დასკვნას გამოვიტანთ, ვნახავთ, რომ იგი ააფორიაქა ელოს გარეგნობამ და იმ რამდენიმე სიტყვამ, რომლითაც მას ვიღაც ბიჭმა ქუჩაში მიმართა.

ზვიადის სახით ჩვენ ვხედავთ ძალზე უბრალო, შრომისმოყვარე ახალგაზრდას, რომლისთვისაც მომაბეზრებელია ყოველგვარი ხელოვნური, თეატრალური, ქუჩური მოქმედება. იგი ნამდვილი, ღირსეული მოქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს და ამდენად მის ესთეტიკას ვერ დააკმაყოფილებდა ელოს ვერც გარეგნული და ვერც სულიერი გამოხატულება.

ლამარას და ჯუმბერის ურთიერთობა კი („ერთი ბოთლი შამპანური“) სულ სხვა ქარგაზეა აგებული. ახლად ხელმოწერილ წყვილს თავდავიწყებით უყვართ ერთმანეთი. იმდენად დიდია მათი სულიერი ლტოლვა, რომ საათის უბრალო ხმაურსაც კი თავისებური დისონანსი შეაქვს მათ თავდავიწყებამდე მისულ სიყვარულში...

ნიჭიერი მწერალი რ. ინანიშვილი თავის ძლიერებას აღწევს ისეთ პატარა მოთხრობებში, რომელთა თემები უშუალოდ სოფლის ცხოვრებიდანაა აღებული. მას იზიდავს სოფლის უბრალო შუკები, ჯანღონით აღსავსე იქაური ბიჭები, ძარღვებდაბერილი მოხუცები, ენამოსწრებული ადამიანები.

ასეთ მოთხრობათა შორის დავასახელებთ: „მთიბავებს“, „მეველეს“, „ბეჟანას“ და „დედაბოძს“. ეს მოთხრობები ერთი საერთო სათაურის („ჩემი წყალ-ჭალის ხმები“) ქვეშ არიან გაერთიანებული. ისინი კახეთის ლამაზი სოფლის საერთო

ფონით ძალიან გვანან ერთმანეთს, მაგრამ განსხვავდებიან ადამიანებით, მათი მოქმედებით, ფიქრით, მწუხარებით, იუმორით...

მოთხრობაში „მთიბავები“ მწერალი ერთმანეთს უპირისპირებს სოფლის იდილიურ ცხოვრებას და თანამედროვე ტექნიკას მატარებლის, ლიანდაგების და ელექტროანძების სახით, რომელიც შეიჭრა ამ სოფელში და მის მამაპაპეულ მყუდროებას დახავსებული საფუძველი დაუნგრია. ამ ტექნიკასთან განუყრელ კავშირში არიან ახალი ადამიანები, რომელთა ფიქრს წყალბორბალასავით ამოძრავებენ დღევანდელი ტექნიკის მოწინავე იდეები.

დათო პაპა, სანდალა და მსგავსნი მისნი არიან ქართული სოფლის ღვიძლი შვილები. მათში ვხედავთ ჩვენ წმინდა, შეურყვნელ ქართულ სულს, ფიზიკურ ძლიერებას, უბრალოებას. ამიტომ ვუთანაგრძნობთ მათ და ყველგან და ყოველთვის ვიცავთ მათ შრომითს და ადამიანურ ღირსებას.

აი, თავაუღებლად აწოდებს სანდალა თივას ზვინზე ასულ დათო პაპას. ხელს რომ გაიქნევს, მის სხეულზე „ცეკვავენ, თრთიან, ქრებიან და ჩნდებიან ათასგვარი კუნთები“. თავისთავად ეს სიტყვები კარგ განწყობას უქმნიან მკითხველს. ისინი ჩვენში აღძრავენ სიჯანსაღის და უშრეტი სიცოცხლის გრძნობას.

მთიბავები თითქოს შენატრიან მატარებელში მყოფ მგზავრების ბედს, რადგან ისინი ბედნიერ ადამიანებად მიაჩნიათ. და როცა მთიბავები სადილობის შემდეგ თვალისმოსატყუებლად იძინებენ, „ძილ-ბურანში ხედავენ ლამაზ მატარებელს, რომელშიც სულ ლამაზი, კარგი, ბედნიერი მგზავრები სხე-

დან და რომელიღაც ნათელი, ლამაზი ქალაქისაკენ მიიხარიან“...

შესანიშნავადაა დახატული კოქლი და ჭროღათვალება მეველე. მწერალი არც თვითონ და არც რომელიმე მოქმედი პირის ენით არ იძლევა ამ მეველის დახასიათებას. ამას იძლევა თვითონ მისი დიალოგი მეზობელ სოფლის ბიჭთან; და ჩვენ წინაშე წარმოდგება მეველის დასრულებული ტიპი, შესანიშნავად დახატული უბრალო ადამიანის სახე.

მეველესთან ერთად დაუვიწყარია სოფლელი ბიჭის ბეჟანას სახეც. ეს არის ჩასკვნილი, ენამოსწრებული, სიცოცხლით და ჯანღონით სავსე ყმაწვილი.

ამ პატარა მოთხრობაშიც რ. ინანიშვილი მისთვის ჩვეული ხერხებით ხატავს მსუბუქი და გადაუჭარბებელი იუმორით აღსავსე დეტალებს, რაც ასე ნიშანდობლივია მწერლის თიოქმის ყველა ნაწარმოებისათვის.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ და მოზრდილ მოთხრობას „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ „დედაბოძი“ ნამდვილი დედაბოძია რ. ინანიშვილის აღნიშნული კრებულისა.

მართალია, მასში განსაკუთრებული, სენსაციური, ეპოქალური არაფერია, მაგრამ მწერლის მადლიანი კალმით სულ რამდენიმე გვერდზე ისეა დახატული კახეთის ერთი უბრალო ოჯახის, ცოლ-ქმრის ცხოვრების პატარა, რამდენიმე საათიანი მონაკვეთი, რომ ავტორისადმი უმალვე მადლობის გრძნობით ვიმსჭვალებით. ქართული ოჯახის ჯანსაღი სურათი შესრულებულია მსუბუქი იუმორით და ბუნებრივი საღებავებით, არ იგრძნობა ხატვისადმი რაიმე ძალდატანება.

მაგდა შესანიშნავი სახეა ამ მოთხრობაში.

აღსანიშნავია, რომ მეველის, ბეჟანას და მაგდას სახით ზემოხსენებულ სამ პატარა მოთხრობაში დახატული არიან სრულიად დამოუკიდებელი თვისების, ხასიათის, მოქმედების ადამიანები, რომელთაც ადამიანურ ჯილდოდ თან დაყვებათ სითბო, უბრალოება, იუმორის ლაღი გრძნობა და შრომისადმი დიდი პატივისცემა.

საერთო სათაურის ქვეშ „ცხოვრება პოეტისა“ გაერთიანებულია სამი პატარა მოთხრობა: „ფიროსმანი“, „ცხოვრება პოეტისა“ და „ჩემი საყვარელი დეიდა“.

პირველი მათგანი, როგორც ეს სათაურიდან ჩანს, ეხება ჩვენი დიდი მხატვრის ფიროსმანის ცხოვრებას, რომლის ბიოგრაფია ლეგენდად ქცეულა ჩვენთვის; ეს იმ დროს, როცა მისი სიცოცხლე სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლით თუ შორდება ჩვენს დღევანდელობას.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ანტიკური ხანის მოქანდაკეებზე გაცილებით უფრო მეტი ცხოვრებისეული ამბები იცის ხელოვნების ისტორიამ, ვიდრე ჩვენს საყვარელ ფიროსმანზე. ეს ყველაფერი განაპირობა მაშინდელმა ისტორიულმა სინამდვილემ, მკაცრმა და შეუბრალებელმა დრომ...

დღეს ფიროსმანიშვილის სახელი უფრო ზღაპრად, უფრო ღმერთკაცად არის ქცეული, ვიდრე იმ ხელოვნად, რომელიც მიწიერი კაცის სახელს ატარებს. უამრავი პოეტური შედევრი, დრამატული, პროზაული და ფერწერული ქმნილებები მიეძღვნა ფიროსმანის ცხოვრება-მოღვაწეობას. ამ ქმნილებათა უმრავლესობა უფრო ფანტაზიაზე და მხატვრის ნახატებიდან გამოწვეულ შთაბეჭდილებებზეა აგებული, ვიდრე დოკუმენტურ მასალაზე, რაც საერთოდ ძალიან ძუნწად შემოგვინახა ისტორიამ.

მწერალი რ. ინანიშვილი აქაც არ ღალატობს მისთვის ჩვეულ ხერხებს და მცირე ზომის მოთხრობით კმაყოფილდება ფიროსმანის უიღბლო სიყვარულის გადმოცემისას.

აი, თბილისში ჩამოვიდა ფრანგი მოცეკვავე ქალი მარგარიტა, რომელმაც ფიროსმანის სული ააფორიაქა და განუკურნებლად დაჭრა. მართალია, ფიროსმანმა შეძლო მისი გულის მონადირება, მაგრამ მოშურნე დარბაისლების წყალობით საქმე ჩაიშალა.

მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო უიღბლო ხელოვანისათვის ეს ამბავი: „ფიროსმანმა ეტლამდე ძლივს მიათრია მოწყვეტილი ფეხები, ზედ აბობღდა, ისევ ორთაჭალისაკენ გადაახვევინა, იქ ბალახებზე წაიქცა, ხელადა ჩაიხუტა და გაქვავდა“...

ლადო ასათიანის სახელი უნიჭიერეს პოეტთა რიცხვშია. მიუხედავად იმისა, რომ იგი უდროოდ წავიდა ჩვენგან, მან შექმნა ისეთი პოეტური ნაწარმოებნი, რომლებიც ნამდვილად ამშვენებენ ქართულ მწერლობას. მისი არაერთი ლექსი და თვით პოეტის სახე დეკლამატორთა, მომღერალთა და მხატვართა შთაგონების წყაროდ იქცა. ამიტომ სრულებით არაა გასაკვირი, როდესაც მწერალი რევაზ ინანიშვილი ასე სათუთად და სიყვარულით ხატავს მის სახეს თავის პატარა დოკუმენტურ მოთხრობაში „ცხოვრება პოეტისა“.

„ჩემი საყვარელი დეიდა“ საინტერესო მოთხრობაა. მწერალი აქაც ცდილობს ღრმად ჩაიხედოს ადამიანის სულში, ცდილობს წინ წამოსწიოს ადამიანის სულიერი მხარე, რომელსაც ორგანულად უკავშირებს მოხუცი ქალის თითოეულ ნაბიჯს, ტკივილს, ფიქრს, მწუხარებას და საქმიანობას.

მომდევნო მოთხრობებში: „ძახილი მთაში“, „უკანასკნელ

არდადეგებზე“, „ზღვა“ და „ფასანაური“ მწერალი ისევ მისთვის ჩვეულ სიმაღლეზე დგას და დახვეწილი ენით, მსუბუქი იუმორით, თბილი, ადამიანური განცდებით ქმნის ისეთ ნაწარმოებებს, რომელთა წაკითხვის შემდეგ მკითხველი მისდა უნებურად მოქმედ პირთა გვერდით ტრიალებს, როგორც გმირი ამ ნაწარმოებისა, ხოლო წაკითხვის შემდეგ თითქოს ემშვიდობება მათ და განიცდის ამ დაშორებით გამოწვეულ სინანულს.

რევაზ ინანიშვილის ერთ-ერთ შესანიშნავ ქმნილებად უნდა ჩავთვალოთ მისი საკმაოდ ვრცელი მოთხრობა „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“. ამ ნაწარმოებმა ქართულ ლიტერატურას შესძინა ახალგაზრდა მასწავლებელი ქალის ელენეს დაუვიწყარი სახე.

ელენეს ვაჟკაცურ, მაგრამ სათუთ მოქმედებაში ჩვენ ვხედავთ ისეთ ხასიათს, რომელიც კრიტიკულია ყველაფრის მიმართ; თამამი და თავშეკავებულია ერთდროულად, ამპარტავანი და თანაც თბილია; სათუთი სიყვარულითაა გამსჭვალული დედის მიმართ; ლაღი და იუმორისტულია მისი საუბარი.

ელენეს უყვარს ახალგაზრდა მხატვარი სულხანი. თუ როგორ დაიწყო მათი ინტიმური კავშირი, ეს ნაწარმოებში არ ჩანს, მაგრამ ქალიშვილი ძლიერ შეყვარებულია მასზე და მისი თუნდაც ერთი წუთით ნახვაც კი უდიდეს შვებას აგრძნობინებდა ელენეს.

საუბედუროდ, ქალაქში ორი დღით ყოფნამ ელენეს ეს ნატვრა არ შეუსრულა: სულხანი ამხანაგებთან ერთად კახეთში დახვდა წასული. ამ ამბავმა ელენეს ისეთი ტკივილი აგრძნობინა, რომ კინაღამ ქუჩაში წაიქცა. იგი მთელი ღამის განმავლობაში ჩუმად ქვითინებდა.

ეს ღრმა ფსიქოლოგიური განცდა მწერალმა მოკლედ, მაგრამ ბუნებრივად და შთამბეჭდავად გადმოსცა. მკითხველი გულწრფელად თანაუგრძნობს ელენეს.

კიდევ ვიმეორებთ: ელენეს სახე ძალზე ორიგინალური და სრულყოფილია რ. ინანიშვილის მოთხრობების მოქმედ პირთა შორის და ამასთან დასრულებული და ერთ-ერთი შესანიშნავი ტიპია ქართული მწერლობისა...

რევაზ ინანიშვილი, როგორც ჩანს, მთელი დატვირთვით მუშაობს საკუთარ თავზე. გარდა ზემოთ განხილული ნაწარმოებებისა, იგი ავტორია: 'თელი რიგი შესანიშნავი საბავშვო მოთხრობებისა' და ზღაპრებისა.

რევაზ ინანიშვილი დგას ისეთ ახალგაზრდა ქართველ შემოქმედთა შორის, რომელთა სახელებს ჩვენი მაღალი გემოვნების მქონე მკითხველი მუდამ პატივისცემით იხსენიებს. ეს უდავო აღიარებაა მწერლის დიდი ნიჭისა.

ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“

თავისი არსებობის მანძილზე ქართულ მწერლობას გმირის არაერთი ისეთი პორტრეტი შეუქმნია, რომელიც განსაკუთრებული თვისების, უნარის, მოქმედებისა და ხასიათის გამო გახალხურებულა და ერის ზოგად ტიპად ქცეულა. ყოველი მათგანის მიზანსწრაფვა სულ სხვადასხვაა: ვის სულში მამულისა და მეგობრისადმი თავგანწირვის უკეთილშობილესი გრძნობა ამაღლებულა; ვინ სიყვარულის უსპეტაკეს განსახიერებად ქცეულა; ვის სვეტიცხოველი და ვარძია უშენებია; ვის ვაზი უხარებია და სალამური უთლია...

გმირის მკითხველთა გულში შესახლებას ერთი და იგივე დრო როდი განსაზღვრავს; ეს თვით ტიპის მონუმენტურობაზეა დამოკიდებული.

მოკლედ რომ ვთქვათ, გმირში მკითხველმა თავისი დიდი წინაპარი, თანამედროვე და მომავალი ადამიანი უნდა შეიცნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ შეეთვისებიან ერთმანეთს. გმირი უნდა ატარებდეს ერის ყველა ტკივილს და სიხარულს...

სულ რამდენიმე წელია, რაც ჩვენი მწერლობის გმირთა

დიდ ანსამბლს ნოდარ დუმბაძის შესანიშნავი წიგნებიდან ახალი უკვდავი გმირები შეემატნენ. სწორედ გუშინ, ჩვენს თვალწინ დაიბადნენ ეს ადამიანები და ისე დაგვიახლოვდნენ. რომ ძნელია მათ გარეშე წარმოიდგინოთ ქართული მწერლობა. ბებია, ილიკო, ილარიონი, სოსოია, ხატია, მამიდა ქეთო, ბეჟანი და სხვები უკვე ამაყად დააბიჯებენ საქართველოში, რუსეთში, საზღვარგარეთ...

„მე ვხედავ მზეს“ ქართული მწერლობის ბრწყინვალე შენაძენია. ძნელია მისი წაკითხვა ერთდროულად ცრემლისა და სიხარულის გარეშე. ხატვის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ხერხით — იუმორით და ფსიქოლოგიური გააზრებებით გადაწყვეტილია ამ ნაწარმოების იდეა. და მწერლის ეს ორი სხვადასხვა ხერხი ისეა ერთმანეთთან შერწყმული და შეხამებული, რომ კითხვისას არავითარი უხერხულობა არ იგრძნობა.

იშვიათად შემხვედრია ისეთი წიგნი, სადაც სიცილი და ტირილი ასე ჰარმონიულად და ასე შესანიშნავად ენაცვლებოდეს ერთმანეთს...

წიგნში დახატულია სამამულო ომის გარკვეული პერიოდი. მოქმედება გურიის ერთ-ერთ სოფელში მიმდინარეობს; ბრძოლის ბატალური სცენები უშუალოდ არსად ჩანს, მაგრამ იმდენად დიდია ომის ექო ამ შორეულ და მყუდრო სოფელში, რომ ნათლად იგრძნობა მისი საშინელი ძალა... შიში, შიმშილი, ობლობა, მძიმე უწყებები, უეცარი შეკივლებები და ქვრივის შავ ტანსაცმელში გამოწყობილ დიაცთა მწუხარება...

სოსო, ხატია და მამიდა ქეთო შეიძლება ჩავთვალოთ ამ წიგნის მთავარ მოქმედ პირებად, დანარჩენები — ბეჟანა, ლევან გურიელიძე, ლუკა, ბეგლარა მეწისქვილე და სხვები

შეორეხარისხოვან გმირებად წარმოგვიდგინა მწერალმა, მაგრამ მათი არსებობა სისხლხორცეულს ხდის მთავარ პირთა ცხოვრებას, ჭეშმარიტად ბევრს დაკარგავდა წიგნი მათი სახეების გარეშე.

ნაწარმოების თხრობა პირველი პირით მიმდინარეობს, სრულიად ახალგაზრდა უდედმამო, ცოცხალი და კეთილშობილი ყმაწვილი, რომელსაც მეზობლები სოსოიას ეძახიან, გვესაუბრება მწერლის მაგიერ, გვიხასიათებს ადამიანებს და გვისურათებს ცხოვრების საერთო ვითარებას.

იგი იზრდება თავის გაუთხოვარ მამიდასთან, რომლის დახასიათებასაც სოსო წიგნის პირველსავე გვერდზე გვაძლევს. „მამიდა ყველაზე განათლებული და ლამაზი ქალია ჩვენს სოფელში... ბაბუაჩემის სკივრში რომ ხატი დევს, იმაზე გამოსახულ ღვთისმშობელს გავს, მარიამს, ქეთევანი ჰქვია. ალბათ ამიტომ ვერ გაუბედა ვერავინ სიყვარული ეთქვა და არის მამიდა გაუთხოვარი. მე ძალიან მიყვარს მამიდა და სულ მეშინია, არ გათხოვდეს“.

ამ იდეალურ ქალს მწერალი უპირისპირებს მკვლელს და ომის დეზერტირს დათიკო ბრიგადირს, რომელიც ცდილობს მოიგოს ქალის გული, მაგრამ ეს სურვილი მისთვის მიუღწეველი რჩება... კეთილთან ჭიდილში მარცხდება ბოროტი ძალა.

მე დღემდე იშვიათად წამიკითხავს სამამულო ომის თემაზე დაწერილი ისეთი მხატვრული ნაწარმოები, როგორიც ნ. დუმბაძის წიგნია, რაოდენ უბრალო სიტყვებითაა გადმოცემული მასში ომის დაწყების სევდიანი სცენა; რაოდენ მელანქოლიურია ყოველი ადამიანის თითოეული ამოსუნთქვა.

აი, როგორ განიცადა ხალხმა ომის დაწყების თავზარდამ-

ცემი ამბავი: „მივხვდი, რომ მოხდა რაღაც დიდი, საოცრად დიდი უბედურება. არასოდეს არ მინახავს ამდენი ხალხი ერთად დამუნჯებული, გაფითრებული, შეშინებული და უცებ შემეშინდა, ისე როგორც შუაღამით სოფლის სასაფლაოზე მარტოდ გავლა“.

ახლა ამ ხალხიდან ცალკე გამოვყოთ რამდენიმე ადამიანი და მათი მოქმედებაც სოსოს სიტყვებით გადმოვცეთ:

„ლუკაიას უცებ მკვდრის ფერი დაედო, კვამლი სასულეში გადასცდა და ხველა აუვარდა.

მამიდას ცომიანი ხელი აუკანკალდა, იგი თვალს არ მაცილებდა, თუნგიდან თბილი წყალი იღვრებოდა გობში, გობი თანდათან აივსო და ახლა რძისფერი სითხე გადმოდიოდა და იღვრებოდა მამიდას ფეხებთან. მე თვალს არ ვაცილებდი მამიდას ათრთოლებულ ხელებს...“ ამას მოსდევს ომში მიმავალთა და გამცილებელთა ტრაგიკული სცენა, რომელსაც ბუნებრივად ენაცვლება მწერლისათვის დამახასიათებელი თბილი იუმორი. აგერ კლუბის აივანზე გადმოდგარი კომისარი „მიწასთან ასწორებს გერმანიას“, „ჰიტლერი და მუსოლინი მოხარშული კარტოფილივით ეფცქვნება ხელში“ და იმდენს ლაპარაკობს საბჭოთა ჯარების წარმატებაზე, რომ ჯარში წასასვლელად გამზადებულ ხალხს ლამისაა შინ აბრუნებს...

მომდევნო ფურცლებზე ჩვენ ვხედავთ უსინათლო, თითისტოლა და დედაკაცივით ბრძენ გოგოს ხატიას, რომელიც ერთ-ერთი ახალი, დაუვიწყარი და უკვდავი ტიპია ქართულ მწერლობაში. მისი უსასრულობაში ცქერა, ღიმილი, და ამ ღიმილში რაღაც უდიდესი ტანჯვა, მისი დამრიგებლური ტონი, ოპტიმიზმი და კეთილი დამოკიდებულება მეზობლებთან, ყვე-

ლაფერი ეს ხატიას წარმოგვიდგენს უკეთილშობილეს ადამიანად.

ხატიას იმედი აქვს, რომ მალე სინათლე დაუბრუნდება მის თვალებს. ამ იმედის მოციქულადაა გამოყვანილი წიგნში სამხედროს მასწავლებელი ლევან გურიელიძე, რომელიც ერთი შეხედვით ცივი, ზერელე, ქარაფშუტა მამაკაცი ჩანს, მაგრამ პირიქით: იგი ერთ-ერთი უკეთილშობილესი ადამიანია. მოვუსმინოთ მის საუბარს ხატიასთან:

„— ნუ იყურები სადღაც იქით, აგერ მიყურე თვალებში! — უთხრა უცებ ხატიას.

— მე ვერ ვხედავ, მასწავლებელო!..

— სულ ვერ ხედავ, ბიძიკო?

— მზეს ვხედავ, მასწავლებელო. ექიმმა უთხრა მამას ბათუმში, თუ მზეს ხედავს, სინათლეს დავუბრუნებო.

— კი დაგიბრუნებს, ბიძიკო, კი... მეც დავბრმავდი ხასანის ტბასთან, ვერაფერს ვერ ვხედავდი.

— მზეს ხედავდით, მასწავლებელო? — ჰკითხა ხატიამ.

— მზეს ვხედავდი და დამიბრუნეს სინათლე...

— აბა, მეც ვხედავ მზეს...“

და მოსწავლეებმა შენიშნეს, როგორ ტიროდა ყოფილი ჯარისკაცი.

ახალგაზრდა უნიჭიერესი მწერლის ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებში „მე ვხედავ მზეს“ წინა პლანზე წამოწეულია იმედიანი განწყობილება.

დიახ, იმედით ისტუმრებდნენ მშობლები და მეუღლეები თავიანთ შვილებს და ქმრებს ომში, იმედით ელოდნენ მათ, იმედით არსებობს ხატიაც, მაგრამ იმედი ყოველთვის არ მართლდება...

ამის გამო იყო, რომ კოწია ფოსტალიონი კოლმეურნეობის კრებაზე უარს ამბობს თავის ხელობაზე, რადგანაც აღარ შეუძლია ამდენი თვალცრემლიანი ხალხის ყურება. „არ მინდა ცხოვრება, მეზობელს თუ ჩემი დანახვის ეშინია, არ მინდა... ღმერთო, შენ მაინც არ გეცოდები? ჩამოდი ფეხად და შენ თვითონ დაურიგე ამ ხალხს აგი ცნობები, შენ ღმერთი ხარ და ყველაფერს გაუძლებ... მე კაცი ვარ და მეტი აღარ შემიძლია, შენი გაჩენილი თუა ეს ქვეყანა, შენ თვითონ მოუარე, მე რომ მათრევინებ ამხელა ცოდვას...“

და ბოლოს ისე მთავრდება წიგნი, რომ ხატია მაინც უსინათლოა, მაგრამ მას აქვს მომავალი წლის იმედი, როცა ის ჩავა ბათუმში და ექიში უმკურნალებს, მერე სოფელში დაბრუნებული ხმამაღლა იტყვის:

— ეს მე ვარ, ხატია, მე გხედავთ თქვენ...

ხატიას და სოსოს ინტიმური კავშირი სპეტაკი და ფაქიზია. მართალია, ამ ორ ადამიანს ერთმანეთისათვის სიყვარული არ გაუმქღავნებია, მაგრამ ბეჟანას აჩრდილთან საუბარში სოსო არ მალავს თავის დამოკიდებულებას ხატიას მიმართ და გულახდილად აცხადებს, რომ ხატიას აეხილება თუ არ აეხილება თვალი, ის მაინც შეირთავს მას და დიდ ქორწილს გადაიხდის, მერე კი ეყოლება შვილები და ნათლია სხვა იქნება...

ბეჟანა ერთ-ერთი საინტერესო ფიგურაა; ამ პიროვნებაში ერთდროულად განსახიერებულია ფსიქიურად წონასწორობადაკარგული და კეთილშობილი დევკაცი. ბეჟანა არა მარტო ბავშვების, თავისი მეზობლებისთვისაც კი სასურველი სტუმარია;

იგი თავისი ნებით დაიარება კარდაკარ და ერთი იჯრა

ლობიოს და ჭიქა ღვინისათვის დილიდან საღამომდე ეხმარება ხალხს.

ბეჟანას უდიდესი ჰუმანურობა ვამომჟღავნდა მის დამოკიდებულებაში ანატოლი რომანოვისადმი, რომელიც დაჭრილი და ცოცხალ-მკვდარი იპოვა გვიმრებში. ბეჟანამ არა მარტო იზრუნა კეთილ მეზობლებთან ერთად მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად, არამედ საკუთარი თავიც კი შესწირა მას.

მკითხველს ენანება მთელი გულით ამ საოცრად კეთილი კაცის ტრაგიკული სიკვდილი; ხოლო ფიქრებში წასული სოსოია საათობით ესაუბრება ბეჟანას აჩრდილს: ასეთი საუბარი წიგნში რამდენჯერმე მეორდება. და ეს შემთხვევით არ გაუკეთებია მწერალს, რადგან აქ მჟღავნდება მისი, როგორც მწერლის, თანაგრძნობა თავისი გმირისადმი.

„არ მინდოდა ჯვრის დასობა, ჩემო ბეჟან, მაგრამ აკვირინე ბებიამ არ ქნა“, — მიმართავს ფიქრებში სოსო მიცვალებულის აჩრდილს. მერე ჰპირდება, რომ სახლს გადაუთოვლის და სანამ ქვეყანაზე დაიარება, არ წაუქცევს სახლს. სოსო ბეჟანას ცოცხალი ადამიანივით სოფლის ახალ-ახალ ამბებს უყვება...

ანატოლი რომანოვის პიროვნების სახით მწერალმა ხაზი გაუსვა ქართველი და რუსი ხალხის ძმურ მეგობრობას, მთელი სოფელი აღდგა დაჭრილი ჯარისკაცის გადასარჩენად; მარტოხელა ქალმა ქეთომ საკუთარ სახლში შეიფარა იგი და თვეების განმავლობაში მზრუნველობას არ აკლებდა, აკვირინე, ხატია, ქეთო, სოსო, ბეჟანა მთელი ძალითა და მონდომებით ებრძოდნენ ანატოლის ავადმყოფობას და აკი გადაარჩინეს კიდეც...

ანატოლი მშობლიურ კაცად ჩათვალეს სოფლელებმა; თა-

ვის მხრივ ანატოლიმაც გულის კარები გაუღო მათ, მან აიძულა მოხუცი ლუკა, რომ შავ ტილოზე დაწერილი შვილის სიკვდილის განცხადება კედლიდან ჩამოეხსნა და ცეცხლში დაეწვა.

„ქაღალდი არ კლავს კაცს, კაცს ტყვია კლავს“, — ანუგეშებს იგი გულმოკლულ მოხუცს. ამით აძლევს უდიდეს რწმენასა და იმედს, რომ მისი შვილი შეიძლება ცოცხალი იყოს და თავის დროზე დაბრუნდება კიდეც...

ხანგრძლივმა ომმა თავისი კვალი დააჩნია სოფელს: დაცარიელდა მაღაზია, სარეველა ბალახები შეეპარა ყანებს, გაჩერდნენ წისქვილის თვლები, ეზოში მოეკრეს მსხმოიარე ხეები...

შიმშილობაა...

სოსოს უნდა როგორმე დაეხმაროს საყვარელ მამიდას. ამისათვის იგი დედ-მამის უკანასკნელ სახსოვარს, მათ ტანსაცმელს იღებს სკივრიდან და ხატიასთან ერთად მეზობელ სოფელში მიაქვს სიმინდზე გადასაცვლელად.

მხოლოდ ომს, მხოლოდ უკიდურეს გაჭირვებას შეეძლო მიეყვანა ადამიანი ამ ნაბიჯის გადასადგმელად.

ქეთო ჯერ არ ანებებს ტანსაცმელს ძმისშვილს, მაგრამ მერე იძულებულია დაუთმოს...

შეუძლებელია თვალი არ აუცრემლდეს ადამიანს ამ სტრიქონების წაკითხვისას...

ეს ადგილი ყველაზე მძაფრი; ყველაზე მტკივნეული და გულისამაჩუყებელია.

ჭეშმარიტად, ენანება მკითხველს ნოდარ დუმბაძის ბრწყინვალე წიგნის უკანასკნელი გვერდების დამთავრება, ენანება, მაგრამ ბედნიერია იმით, რომ ამ წიგნის გმირები მასთან ერთად რჩებიან და ცხოვრობენ.

გურამ რჩეულიშვილი

მშვენიერი იყო ეს სიცოცხლე,
გაზაფხულის წმინდა შროშანივით.

თ ა გ ო რ ი

ვაგლახ, რომ ასე ძალე აიყვანა სიკვდილმა ხელში მისი ვაჟკაცური სიცოცხლე! გვარიც ზედ გამოჭრილი ჰქონდა: მართლაც რჩეულიშვილი იყო!..

ზღვამ შთანთქა 26 წლის ჭაბუკის ამბოხებული სული; ზღვამ, რომელიც ასე გაგიჟებით უყვარდა მას...

სულ ხუთიოდე წლის განმავლობაში წერდა გურამ რჩეულიშვილი, მაგრამ წერდა იმდენს, რომ ადიდებული ნილოსივით თავის კალაპოტში რომ აღარ ეტეოდა, ნაპირებიდან გადმოდიოდა... არავინ იცის, როგორ წავიდოდა შემდგომ მისი შემოქმედებითი გზა; შესაძლებელია მან, ოცდაექვსი წლის ჭაბუკმა, კიდევაც ამოწურა მთელი თავისი შესაძლებლობანი ან, პირიქით, მომავალი მას მიიყვანდა მიუღწეველ მწვერვალებამდე...

გვაგონდება ბაირონის ლექსი: „დღეს შემისრულდა 36 წელი“, რომელიც გედის სიმღერას ჰგავდა. საბერძნეთის თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდი სულ მალე დაემშვიდობა საყვარელ სიცოცხლეს. გედის ასეთივე სიმღერა გურამ რჩეულიშვილსაც წამოცდა სიკვდილამდე რამდენიმე

წლით ადრე. ეს იყო მისი პატარა მოთხრობა: „მე ახლა ოცდახუთი წლის ვარ“ (თუმცა გურამი მაშინ რაღაც ოცდაოდე წლის ჭაბუკი იყო).

გურამ რჩეულიშვილმა 1956 წელს შექმნა ყველაზე მეტი მოთხრობა, ნოველა თუ ჩანახატი. დაუდეღარ მაჭარს ჰგავდა მისი შემოქმედება, მაგრამ მათ შორის ჩვენ ვხედავთ სარკესავით დაწმენდილ ნაწარმოებებსაც, რომელთა ფსკერზე ნაირფერი კენჭები ირეკლებიან.

გურამ რჩეულიშვილის გმირთა უმეტესობა დღევანდელი ეპოქის შვილები არიან, რომლებიც სვანეთის მთებს ეჭიდებიან, წერენ და მუდამ შემოქმედებით ძიებაში არიან, ხოლო ზოგიერთი მათგანი, ბათარეკას და სხვათა სახით, ათენა პართენოსის ფარზე შემორჩენილ ფიდიასის ლანდადქცეულ ავტოპორტრეტს ჰგავს.

რჩეულიშვილის ნაწარმოებთა გმირები ჰგვანან ერთმანეთს: ყველა მათგანი ფსიქოლოგიურად მოაზროვნე ადამიანია; იქნება ის შემოქმედი, მძღოლი, მთამსვლელი თუ კოშკებში ჩამწყვდეული ხევსური. მათი ზრუნვის და ფიქრის საგანია სიკვდილ-სიცოცხლის, სიყვარულის, ძიების და აღმოჩენათა საკითხი. ბევრი მათგანი საოცრად მოძრავია, ხოლო ზოგიერთი მასეკენივით გარინდული წევს საწოლზე და სარკმელში შემოსულ მზის სხივებს ბუდას მოთმინებით უშტერებს თვალს.

ხატვის ამ თავისებურებათა გამო გ. რჩეულიშვილის შემოქმედებამ თავდაპირველად ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია. განსვენებულმა გიორგი შატბერაშვილმა პირველი შეხვედრისთანავე შეიცნო გურამ რჩეულიშვილის ნიჭი და პირველმავე უკურთხა კალამი; საუბედუროდ, რამდენიმე წლის

შემდეგ ისევ თვითონვე წაუმძღვარა გამოსამშვიდობებელი წერილი მწერლის კრებულს, რომელსაც ავტორი ვერ მოესწრო.

როდესაც კითხულობთ მოთხრობებს „ნელი ტანგო“ და „ზღვა არცთუ ისე ღელავდა“, თითქოს ხედავთ გურამის ნაღვლიან თვალებს: შესანიშნავი მოცურავე თითქოს თავის თავზე წერდა წინასწარ... „მკვდარი ამოათრიეს ნაპირზე. მე გავუკეთებ საფლავს აქ, ზღვისპირას... ზედ დიდ ლოდს დავადებ მისი პროფილით. მერე რა პროფილი ჰქონდა, კეხიანი ცხვირი და დიდი შუბლი“. სწორედ რომ თავის თავზე დაუწერია გურამს, რადგან კაცის ენამ ზოგჯერ ყივილი იცის ხოლმე წინასწარ, როდესაც მას სტიქიური გრძნობა ეუფლება.

აღსანიშნავია, რომ პირველ გამოცემაში შეტანილი არ ყოფილა გურამ რჩეულიშვილის ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები, მეორე გამოცემაში კი სრულადაა წარმოდგენილი მწერლის შემოქმედება. გ. რჩეულიშვილის ნაწარმოებთა გაცნობა გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა მწერალი სულით ხორცამდე დიდ შემოქმედად იყო დაბადებული. გ. რჩეულიშვილს, უპირველეს ყოვლისა, ქართველი კაცი აინტერესებს მთელი თავისი ფიქრით, შემოქმედებით, ეგზოტიკით, იდილიით და ტკივილით. რჩეულიშვილის ყოველი გმირის სულში თვითონ გურამი ზის და ამის გამო მათი ძარღვები მუდამ სისხლსავსეა.

სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, როგორც ყველა რჩეულ შემოქმედთათვის, მთავარი ღერძია გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებებისთვისაც. მართალია, მისი გმირები სიკვდილს რაბინდრანატ თაგორის შიშით და წარმოუდგენელი ტკივი-

ლებით არ განიცდიან, მაგრამ, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, ეს მძიმე ბიოლოგიური აუცილებლობა აფიქრებთ და აღონებთ.

ბებია და ბაბუა, დედ-მამა, შვილები, — აი ყველა ინდივიდუალური ოჯახის ბუნებრივი შემადგენლობა. რა საყვარელია ბებია და ბაბუა, დედა და მამა; რაოდენ უყვართ მოხუცებს პატარა შვილიშვილები, რომელთა თვალებშიაც ისინი თავიანთ უკვდავებას, თაობას და გზის გაგრძელებას ხედავენ. მაგრამ თაობა წისქვილის დოლაბს ჰგავს, რომელიც ბრუნავს და ამ ბრუნვასთან ერთად იცვლება დრო, თაობები. ერთ მშვენიერ დღეს ვნახავთ, რომ აღარ გვყავს ბებია, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ბაბუა ან მამა.

მოთხრობაში „მე ახლა ოცდახუთი წლისა ვარ“ სწორედ ეს საკითხია დასმული და შესანიშნავად გადაწყვეტილი. დაიხოცნენ ვალმოხდილი მოხუცები. „სახლში დავრჩით დედა, მამა და მე. ჯერ ბუნდოვნად, მერე აშკარად შემოიჭრა ჩემს გონებაში, რომ უფროსი თაობიდან ერთი უკვე აღარ იყო. ახლა კარგად ვგრძნობდი, სიკვდილს მე თვითონ მივუახლოვდი ერთი საფეხურით“.

შემდეგ ვაჟამ ცოლი შეირთო; მალე პატარა ბავშვი შეეძინა ოჯახს და ბებიის და ბაბუის ადგილი დედამ და მამამ დაიკავა, ხოლო თვით მათი ადგილი ვაჟამ და მისმა მეუღლე კრავაიმ. „ჩვენს ოჯახში ისევ სამი თაობაა. მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ“.

მართლაც, ბედნიერია ასეთი ადამიანი, რადგან მან იცის, რომ მოდის ახალი თაობა და ოჯახის გვარი ინარჩუნებს სიცოცხლეს, უძეოდ სიკვდილი ორჯერ სიკვდილია ყველა ადამიანისა.

სიცოცხლის უდიდეს პრობლემას ეხება გ. რჩეულიშვილის მოთხრობა „ასვლა“, რომელშიაც, როგორც პირველ მოთხრობაში, ვაჟა ჯანდიერი და კრავაი მონაწილეობენ. მათთან არიან ჯემალ სვანი და სხვა მთამსვლელები, რომლებიც დონღუზ-ორუნის მთაზე ასვლას ახორციელებენ მის ჩრდილო ფერდიდან.

ამ მოთხრობაშიაც, უპირველეს ყოვლისა, თვით გურამის ორეული გამოდის, როგორც ბრწყინვალე და უშიშარი, მეწინავე მთამსვლელი. გურამ რჩეულიშვილი მართლაც ცნობილი ალპინისტი იყო და არაერთი რთული ტრავერსი ჰქონდა განხორციელებული ძნელად მიუვალ მწვერვალებზე. ამიტომ, როდესაც „ასვლას“ ვკითხულობთ, ვაჟა ჯანდიერში ჩვენ ვხედავთ გურამს, რომელსაც ეს-ესაა მწვერვალამდე მიუღწევია პირველს, ყინულის კედელზე პალოებს ასობს და იმის მაგივრად, რომ მომავალ გამარჯვებაზე ან მოსალოდნელ საფრთხეზე იფიქროს, ნატრობს ქალაქს, თეთრ პერანგს და მაღალყელიან შავ ფეხსაცმელებს, მერე კი სიცოცხლის საკითხზე მსჯელობს: „კაცმა უნდა მთელი სულით იცოცხლო, — ან რა არის მუდმივობა, — სისულელე. ყველა ადამიანი მუდმივად ცხოვრობს: ყოველ შემთხვევაში მისი მარადიულობა ის წლებია, რომელსაც გაატარებს ამ ქვეყანაზე. კაცმა რომ თქვას, არცა კვდება კაცი, იბადება სხვა, რომელიც ოდნავ განსხვავდება გარდაცვლილისაგან“.

ბევრს, ძალიან ბევრ ქართველ და უცხოელ მოგზაურს იზიდავს საქართველოს ერთ-ერთი არქაული კუთხე—ხევსურეთი. უძველესი კოშკები, ხატები თუ ანატორის და მუცოს სიპერდიანი აკლდამები და განსაკუთრებით კი მებრძოლი და უცნაური კულტურის შემოქმედი ხევსურები, რომელთაც

დღემდე შემორჩათ საოცრებით სავსე რიტუალები, ყველასათვის ეგზოტიკის მხარედ და ლეგენდარულ ადამიანებად გამხდარან.

გერმანელი მწერალი ალფრედ კურელა, მისი მეუღლე ელპიდე და პატარა ბიჭი წლების განმავლობაში სიამოვნებით მოგზაურობდნენ ხევსურეთში, ხოლო შემდეგ საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალებს აქვეყნებდნენ გერმანულ ჟურნალებში.

მოგზაურობის მოყვარული მწერალი გურამ რჩეულიშვილი კარგად იცნობდა და მეგობრობდა მათ. იგი მოწმე იყო იმ საშინელი ტრაგედიისა, რაც ელპიდე კურელას შეემთხვა ხევსურეთში ერთ-ერთ მოგზაურობის დროს. იგი დამფრთხალმა ცხენმა გადმოაგდო ძირს და ქალი გარდაიცვალა.

ტრაგიკულ ამბავს კურელა აუღელვებლად შეხვდა. ცხედართან ისხდნენ მამა-შვილი და სრულებით არაფერს ამბობდნენ. ალფრედმა სურათი გადაუღო მეუღლეს, გადაუღო რამდენჯერმე და ბოლოს ჩვეულებრივ წარმოთქვა: „ამას ვთვლი მე ერთ-ერთ ბედნიერ სიკვდილად, თუ შეიძლება ასე დაერქვას სიკვდილს“. ალფრედი სამახსოვრო და გამოსამშვიდობებელ სურათებს იღებდა. გურამს კი უკვირდა, თუ როგორ ახერხებდა იგი დარდისა და საქმის ასე საოცრად შეთავსებას. გურამის მეგობარმა კურელა უდარდელ კაცად ჩათვალა და დაასკვნა: „ვინც დარდი არ იცის, მან არც მხიარულება იცის, არც რაიმე ძლიერი გრძნობა, მან მხოლოდ გონებით იცის, რომ არის ძლიერი და სუსტი განცდები“.

გამოირკვა, რომ ვაჟას ამ სიტყვებს კურელას მიმართ საფუძველი არ ჰქონდა. ალფრედის გულში ჩუმად და შეუმჩნევლად დუღდა ტკივილი... სიკვდილი მისთვის ძალზე ჩვეუ-

ლებრივი მოვლენა იყო. ალფრედმა თავისებურად იცოდა ქართული ხალხური სიბრძნე, რომ ყველა სიკვდილის შვილები ვართ და ცივად უმატებდა: „სიკვდილი ხომ სიცოცხლესთან ერთად იბადება“.

მიუხედავად ამ უბრალო და საყოველთაოდ ცნობილი დოქტრინისა, მკითხველი თავისებურ გულისწყრომას გამოთქვამს გერმანელი მწერლის მიმართ, რომელიც უახლოესი მეგობრის სიკვდილს ასე ინდიფერენტულად შეხვდა, მაგრამ დახეთ საოცრებას: სასტუმროში მისულმა ალფრედმა თვალი შეავლო მეუღლის კაბას. იგი „დაეცა საწოლზე და აღრიალდა. ის ტიროდა, ხმამაღლა ქვითინებდა და ზორბა მხრები უძაგძაგებდა“. ფინალი ხაზს უსვამს ალფრედ კურელას უმაღლეს ხასიათს და საოცრად ადამიანურ ბუნებას.

ელპიდე კურელას იზიდავდა თურმე მშვენიერი ხევსურეთი და ანდერძად ტოვებდა, რომ თუ შემთხვევით მოკვდებოდა, მისი გვამი იქ დაემარხათ, სადაც სულს დალევდა. განგებამ აღასრულა მისი სურვილი და ელპიდეს ცხედარი მიიბარა ხევსურეთის მიწამ; ჯერ უბრალო, ხოლო შემდეგ სპეციალურად გათლილი საფლავის ქვა, სათანადო წარწერით, დაადეს ზემოდან... ასრულდა ნატვრა და დარჩა საფლავი უცხოელის გვამით მაღალ მთებში...

„სიკვდილი მთებში“ უძვირფასესი ქმნილებაა, იგი სავსეა მძაფრი ტრაგიკული სცენებით, სადაც არ იგრძნობა არავითარი ხელოვნურობა და სიყალბე. არ შეიძლება მისი წაკითხვა უცრემლოდ, არ შეიძლება მისი დავიწყება არასოდეს. მართალია, მასში რეალური ადამიანები მოქმედებენ და თემა ეხება სინამდვილეში მომხდარ ფაქტს, მაინც აღნიშნული ნაწარმოები სრულებით არ ტოვებს დოკუმენტური მოთხრობის

შთაბეჭდილებას. მასში ფართოდაა გაშლილი მწერლის ფანტაზია.

გ. რჩეულიშვილი სხვა ნაწარმოებებშიაც სვამს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მწერალი მარტო ამ თემით იყოს შემოზღუდული...

აი ბრმა მოხუცი წევს და უსინათლო თვალებით ზეზეს შეჰყურებს, რომელსაც იგი ვერ ხედავს და მხოლოდ გრძნობს. ყურთასმენაც დაკარგული აქვს და როცა პატარა შვილიშვილები ეკითხებიან, თუ რა მანძილია აქედან ქალაქამდე, იგი, ცხადია, არაფერს პასუხობს. არც პატარებს უსვამს თმებზე ხელს, რადგან თვალუჩინოა. ასეთ პირობებში მყოფ ადამიანს სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა იჯდეს გარე სამყაროდან მთლიანად გამოთიშული და მხოლოდ სიკვდილზე იფიქროს.

„ნეტა რა დროა", — ბუნდოვნად ფიქრობს იგი, მაგრამ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც შეეძლოს როგორმე გააგებინოს მას ნანატრი დრო, რასაც ფაქტიურად მისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ასეთი ადამიანი მკვდრისაგან არაფრით განსხვავდება, მაგრამ თუ მისი მდგომარეობა სრულიად უმწეოა, სამაგიეროდ მას უპირისპირდებიან პატარები, რომლებიც აგრძელებენ მის სიცოცხლეს.

„მუნჯი ახმედი და სიცოცხლე" გურამ რჩეულიშვილის ბრწყინვალე ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი უძლიერესი ქმნილებაა. მეთევზის ძველთაძველ ქოხში, სადაც მოქმედება მიმდინარეობს, იჯდა ბებერი მეთევზე — „მუნჯი ახმედი, გამხდარი, ჩამოყრილი მხრებით და უძლური სხეულით სიცოცხლეს უნარჩუნებდა კერას".

ზღვაზე გაატარა მთელი თავისი სიცოცხლე მუნჯმა მეთევ-

ზემ. ზღვა იყო მისთვის მიწა და უფრო მეტიც, ზღვა აძლევდა საზრდოს, ზღვამ მისცა მას ძველი ნავი და 12 წლის ლილი, რომელსაც შემდეგ ცოლად ირთავს. ახმედი მუნჯი იყო და არ შეეძლო მოალერსებოდა ცოლს, მაგრამ ლილი მაინც კმაყოფილი იყო თავისი ბედით და სიხარულით მოელოდა იმ დღეს, როცა მათ ქოხში პატარა ბავშვი დაიწყებდა ჟყივილს. მაგრამ მოხდა სამწუხარო ამბავი, ბავშვი მკვდარი დაიბადა.

„ახმედი უმოძრაოდ იჯდა, ვერ აიძულა თავი, მიახლოვებოდა იმ ადგილს, სადაც იწვა სიკვდილი — პატარა, მაგრამ საშიში და უცნობი". ლილი თანდათან სევდამ შეიპყრო და როცა ახმედის მოხუცი მამა ჯანბეგი გარდაიცვალა, — ერთადერთი კაცი, რომელთანაც შეეძლო საუბარი, ქალმა სრულ მწუხარებას მისცა თავი და ბოლოს იძულებული გახდა ქოხი დაეტოვებინა და გაქცეულიყო.

ისევ ზღვა დარჩა ახმედის ერთგული და ის ფიზიკური ძალა, რომელსაც დიდხანს არ უღალატნია მისთვის, მაგრამ შეუბრალებელმა ბუნებამ თავისი გაიტანა, ღრმად მოხუცდა მუნჯი ახმედი და ისე დაუძლურდა, რომ ვეღარც კი გრძნობდა თავის უმწეობას.

მუნჯი ახმედი კეთილშობილი ადამიანია. ბუნებამ იგი დააჯილდოვა დიდი ფიზიკური ძალით, სიღარიბით და ადამიანური სითბოთი, რომლის გამოხატვა მას სიტყვით არ შეეძლო...

მოთხრობის მიხედვით ლილი კეთილშობილი ქალია. მისი ქოხიდან გაქცევა ჩრდილს არ აყენებს ამ ქალს. სიღარიბემ და მუნჯმა ქმარმა, რომელთანაც თავს მუდამ მარტო გრძნობდა, რადგან არ შეეძლო გაეზიარებინა მისთვის ფიქრები ან უბრალოდ გასაუბრებოდა მას, აიძულა მიეტოვებინა ქმარი, სამუდამოდ გასცლოდა მას.

ფსიქოლოგიური გადაწყვეტის მხრივ აღნიშნული მოთხრობა ძლიერი ნაწარმოებია.

„მოლოდინი“ თავისებურად ანვითარებს მოთხრობაში „მე ახლა ოცდახუთი წლისა ვარ“ დასმულ საკითხს სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ. მაგრამ თუ უკანასკნელში მგრძნობიარე სულის ადამიანები მოქმედებენ, რომლებიც მძიმედ განიცდიან ოჯახში ამა თუ იმ წევრის დაკარგვას, სამაგიეროდ „მოლოდინში“ გამოყვანილი პირები სიკვდილს სხვათა შორის უყურებენ და ღრმად მოხუც ავადმყოფზე ცალყბად ამბობენ: „მაგის სიცოცხლეს სიკვდილი ჯობია, იქნება მოწამვლაც გადაწყვიტეთ, რომ გაგენთავისუფლებინათ, მაგრამ ვერ გაბედეთ. ხო, რა სუსტები ვართ!..“

იგივე აზრია გატარებული ნოველაში „ნელი ტანგო“. აი მშველელებმა ნაპირზე გამოათრიეს ხარკოველი ცოლ-ქმარი მათი თორმეტი წლის ბიჭით. სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა კაცმა ივანემ ცოლ-შვილი დახრჩობას გადაარჩინა, მაგრამ თვითონ ნაპირზე ვეღარ გამოაღწია ცოცხალმა.

ზღვის ნაპირზე კი ხალხი ირევა, შრიალებენ პალმები. უკრავენ ტანგოს და ცეკვავენ გულთასწორები. ისინი სხვათა შორის საუბრობენ დამხრჩვალ მამაკაცზე. „ზედ ნაპირთან აქვს გული გახეთქილი უბედურს“, — ამბობენ ცეკვის დროს ისინი.

ამ ნოველით მწერალმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ერთეული ადამიანების სიკვდილით ადამიანთა უზარმაზარ საზოგადოებას არაფერი აკლდება; ცხოვრება კვლავაც მშვიდად განაგრძობს თავის გზას, ხოლო ხალხი—სიცოცხლისა და ბედნიერებისაკენ ლტოლვას...

გ. რჩეულიშვილის გმირთა გალერეაში იშვიათად აღმოა-

ჩენთ ადამიანებს, რომლებიც ღრმად არ აზროვნებდნენ. ისინი ოქროს მაძიებლებივით ადამიანთა სახეებში პოულობენ ლამაზ იდეებს, რასაც გურამი „ნადირობას“ უწოდებს.

მამას სურს, რომ მისი შვილი ვაჟა ჯანდიერი პროფესიით ინჟინერი გამოვიდეს, მაგრამ ეს სპეციალობა ვაჟას სათუთ და მგრძნობიარე ხასიათში სრულებით ვერ თავსდება. ვაჟასათვის ქუჩა და საზოგადოება მეწაღული ზღვაა, საიდანაც შეიძლება მარგალიტებით სავსე ნიჟარების ამოღება.

საღამოს შინ დაბრუნებულ შვილს დედა საყვედურობს: „რა ტყუილა დაყიალობ, ბიჭო, მთელი დღე“, მაგრამ მზრუნველმა დედამ არ იცის, რომ ვაჟას მთელი დღე ამაოდ არ გაუტარებია. იგი ნაპოვნი იდეებით დაბრუნდა შინ.

ჭეშმარიტად, იდეების ასეთი მაძიებელი და აღმომჩენი იყო თვით გურამ რჩეულიშვილი. ხოლო, როგორც პოეტურად განწყობილ ადამიანს, შეეძლო ცხოვრებაში ძალიან ბევრი დაენახა. ერთი მწერლის თქმისა არ იყოს, „იდეები საბიერდებიან პოეტის სულში აღძრულ რაღაც იდუმალი პროცესის ძალით, და ეს ქმედითი ძალა აძლევს საწყისს პოეზიას. ცნებები, გრძნობა, ენა — ნედლი მასალაა მხოლოდ. ერთს შეიძლება მინიჭებული ჰქონდეს გრძნობა, მეორეს ენა, მესამეს ერთიცა და მეორეც, მაგრამ მხოლოდ იგი, ვინცა ფლობს ქმედით გენიას, მხოლოდ იგია პოეტი“.

მართალია, აქ პოეტზეა ლაპარაკი, მაგრამ განა გ. რჩეულიშვილი პოეტად არ იყო დაბადებული, განა ყველა მისი ქმნილება ისე არ იკითხება, როგორც ამაღლებული პოეზია?!

ნოველა „სიყვარული მარტის თვეში“ თავისი მოულოდნელობით და ნიუანსებით ისეთ შთაბეჭდილებას უქმნის მკითხველს, რომელსაც ვერასოდეს დაივიწყებს. გ. რჩეულიშვი-

ლის მადლიანი კალმით დახატული ფრენბურთელი ბიჭი ჩვენთვის საინტერესოა არა მარტო როგორც კარგი სპორტსმენი, არამედ როგორც თბილი და საღად მოაზროვნე ჭაბუკი. მისი ფიქრები მარტო ბურთით როდია შებორკილი, მართალია, შეჯიბრზე თორმეტიოდე ბურთის ჩაგდებას ფიქრობს, რათა გააკვირვოს თავისი მომავალი საცოლე, მაგრამ ქუჩაში გამოსული ნოდარი უკვე მარტო ფრენბურთელი ბიჭი როდია. იგი წინასწარ ადგენს გეგმებს, თუ როგორ შეხვდეს ახლად გაცნობილ ქალიშვილს. უმჯობესია მოპასანზე ან ჰემინგუეის ნოველებზე ჩამოუგდოს საუბარი, ან „ღმერთის და დერვიშის“ ზღაპარს მოუყვეს.

მაგრამ მოულოდნელად მის ოცნებას ფრთები დაემსხვრევა. ტრამვაიმ ფეხი გადაჭრა ნოდარს. ეს იყო უდიდესი ტრაგედია... ამიერიდან წერტილი დაესვა მის სპორტულ კარიერას...

გ. რჩეულიშვილი ბორჯომის და ბაკურიანის ხშირი სტუმარი იყო. „მე ვიჯექი და ვაბოლებდი. უზომოდ მარტო და მოწყენილი ვიყავი ყოველ საღამოს“. და თუ ბაკურიანში წასვლამდე კიდევ ოცდაერთი დღე რჩება, ეს არცთუ ისე დიდი დრო, საუკუნედ ეჩვენება მას.

და აი გურამი უკვე ბაკურიანშია („მზიანი დღე“). იგი, საოცრად მხიარული, დეიდა დაროს შეშას უჩეხავს და ოცნებობს ლეილაზე, რომელიც მალე ჩამოვა. მაგრამ დიდი სიხარული ზოგჯერ მწუხარების პროლოგია, და, მართლაც, გურამი ღებულობს დედის დეპეშას: „ბებო ძალიან ცუდად არის“.

აღნიშნულ ნოველაში გ. რჩეულიშვილი ისევ უბრუნდება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს.

გურამი დაუოკებელი სულის ახალგაზრდა იყო და მის ნაწერებშიაც ვგრძნობთ მოძრაობას, რომელსაც სიცოცხლე მართავს და განაგებს. გენიალური როდენი კი ყოველ ბუნებრივ მოძრაობაში დამარხულ ბმირობას ხედავს.

„თვირთვილა“ ბრწყინვალე ნოველაა, რომელშიაც ხევსურული დოღია ნაჩვენები. გამარჯვებულ მინდიას ხევისბერი რქით ასმევს არაყს. ეს კი უფლებას აძლევს მას სრული თავისუფლება მისცეს ცხენის სადავეს, კოსმიური სისწრაფით უკან მოიტოვოს მედოღენი. თვირთვილა კი მიფრინავს და თითქოს მიწას მხოლოდ იმიტომ ეხება, რომ ანთეოსივით ახალი ძალა მოიკრიბოს. კიდევ ერგო გამარჯვება მინდიას, მაგრამ მისი დაღუპვა ტრაგიკულად ამთავრებს დოღის ფინალს. თვირთვილა კი იდგა ცხედართან და კბილებით ლაგამს ხრავდა.

ამ ნოველაში ისევ სიკვდილ-სიცოცხლის, ძიების, მიღწევებისა და გამარჯვების პრობლემაა დასმული. წინ და არავითარი დაბრკოლების წინაშე ქედის მოხრა.

გ. რჩეულიშვილის გმირთა უმრავლესობა სოფლის ან მთების ღვიძლი შვილები არიან. ბევრი მათგანი არქაულ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, რომელსაც ებრალება კიდეც ეს გარესამყაროს მოწყვეტილი ადამიანები. პაპა გოგოთურს წარმოდგენაც არა აქვს რა არის ქალაქი, მატარებელი, თეატრი ან პროსპექტზე მოსეირნე ადამიანთა ულეველი ნაკადი. მისი მეობა ღრმად უკავშირდება ჩამორღვეულ კოშკებს, ხატებს, მთებს, ზვავებს და წინაპართა ულეველ ლეგენდებს. პაპა გოგოთურის ხედვის ჰორიზონტი ჟინვალთან ქრება—სწორედ იქ, სადაც მთები თავქვე ეშვებიან და საოცრად დაბლ-

დებიან. რა არის ამის შემდეგ, პაპას წარმოდგენაც არა აქვს და ეს სრულებითაც არ აინტერესებს მას.

ამ მთების მეტი არაფერი მინახავს, ეუბნება იგი ახალგაზრდა ალუდას, შემდეგ გვერდზე ბრუნდება და იძინებს.

როგორც მუნჯი ახმედისთვის ზღვა, ისე პაპა გოგოთურისათვის მთა არის ყველაფერი, რომლის გარეშეც სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია მოხუცს. მთა იგივეა მისთვის, რაც თევზისთვის წყალი. თუ პაპა გოგოთურის ასაკს გავითვალისწინებთ, მოხუცს ნამდვილად ეპატიება თავისი კარჩაკეტილობა, რადგანაც ეს განპირობებულია იმ ტრადიციით და გეოგრაფიული გარემოთი, სადაც იგი გაიზარდა და ცხოვრების დღეები გაატარა.

მეორე მოხუცის — ბაბუა კოტეს დახატვით გ. რჩეულიშვილი შეეცადა შეექმნა ისეთი ადამიანის სახე, რომლის ფსიქოლოგია საპირისპირო იქნებოდა პაპა გოგოთურის ხასიათისა.

კოტეს და მის მეუღლეს თეკლეს რატომღაც მოსწყინდათ სოფელში ცხოვრება. სიბერის ჟამს მათ გული აიყარეს იქაურობაზე, ყველაფერი გაყიდეს და ქალაქში გადმოვიდნენ საცხოვრებლად, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ ძალიან შეცდნენ. ისინი ვერ შეეგუენ ქალაქის ხმაურიან ქუჩებს და ოთხკედელს შორის გამომწყვდეულნი დღე და ღამე სოფელზე ფიქრობდნენ.

„თეკლე, არ უნდა გამეყიდა ის სახლი“.

„აბა, ნამეტანი გამოვიკეტეთ!“

ბაბუა კოტეს სულ თავისი დარგული მანდარინები და ლეღვი ელანდებოდა. მან ვეღარ მოითმინა და ქუჩაში გამოვიდა, „ხესთან მივიდა, ჯოხის წვერი მოუთათუნა მის ძირს,

უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო, — მიწა არ ემორჩილებოდა... „ეჰ, არ უნდა გამეყიდა ის სახლი!“

მოხუცის ეს უკანასკნელი სიტყვები თავი და თავია ამ ნოველისა. იგი სრულებითაც არ ნიშნავს ცივილიზებული საზ-ყაროდან გაქცევას და სოფლის იდილიისათვის თავის შეფა-რებას. ეს უბრალოდ სინანულია სოფელზე შეყვარებული კაცისა.

ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადიც იქ არისო, — ამ-ბობს ქართული ანდაზა. მართლაც, ბაბუა კოტესათვის ყვე-ლაფერს ნიშნავს სოფელი, სადაც ცხოვრება გაატარა და მისი დედ-მამის ძვლები განისვენებენ.

თუ ბაბუა კოტემ, წინააღმდეგ პაპა გოგოთურისა, მიატო-ვა სოფელი და ქალაქში ჩამოვიდა, სამაგიეროდ მისი სინა-ნულით აღსავსე ფიქრები მაინც ერთგვარი ლტოლვაა სოფ-ლისაკენ და იგი არაფრით განსხვავდება გოგოთურისაგან, მაგრამ უკვე შექმნილი ვითარება მას ამის საშუალებას აღარ აძლევს და იძულებულია შეურიგდეს თავის ბედს —იცხოვ-როს ამიერიდან ქალაქში.

„სალამურა“ ისეთი ნოველაა, რომელიც ჭეშმარიტად ააც-რემლებს ყველა მკითხველს. „სალამურას“ და „თვირთვილას“ სიუჟეტები ძალიან ახლო არიან ერთმანეთთან, მაგრამ გადაწ-ყვეტის მხრივ მათ არაფერი აქვთ საერთო. თვირთვილა უძ-ლიერესი, მაგრამ თვინიერი ცხენია. მინდიას სიკვდილი უფ-რო ამ თავზეხელაღებული მხედრის ბრალია, ვიდრე თვირთ-ვილასი. სალამურა კი ველური ბუნების ცხენია, რომელიც თითქმის მოუთვინიერებელი დარჩა ბოლომდის. იპოდრომზე შეჯიბრებისათვის გამოყვანილი სალამურა ყველას იტოვებს უკან, მაგრამ მის ჩლიქებს ეხამუშება ცხელი ასფალტი. სა-

ლამურას ენატრება ტრამალში ნავარდი, რის გამოც იგი იპოდრომიდან ქუჩაში გარბის და ძირს დაგდებულ მხედარს ყურადღებასაც არ აქცევს.

მანქანები აფრთხობენ სალამურას და იგი ხიდიდან ხტება... რამდენიმე ხნის შემდეგ მას ყიდიან, როგორც სატვირთო ცხენს: წინა ფეხები დამტვრეული ჰქონდა.

„სალამურა“, „ალავერდობა“, „ბათარეკა ჭინჭარაული“, „უსახელო უფლისციხელი“ და სხვა მთელი რიგი მოთხრობები თუ ნოველები გ. რჩეულიშვილის უბრწყინვალესი ქმნილებანია, რომლებიც ამდიდრებენ ჩვენს მწერლობას ახალი ადამიანებით, ახალი სახეებით.

„ალავერდობა“ კინოფილმადაც იქნა გადაღებული. მთელი აღმოსავლეთ საქართველოს უძველესმა და უდიდესმა დღეობამ — ალავერდობამ დღემდე შეინარჩუნა თავისი მოქმედი ძალა, მაგრამ როგორც გურამ რჩეულიშვილი წერს: „გრძნობ, ალავერდობა აღარ არის ალავერდობა, გრძნობ, ეს რელიგიური დღეობა მხოლოდ ინერციაა, სასაცილომდე მისული ინერცია“. ეს სიტყვები თავისუფლად ითქმის არა მარტო აღნიშნულ, არამედ საქართველოს ყველა რელიგიურ დღეობაზე და ხატობაზე, რომელთაც კი დღემდე შემორჩათ არსებობის უნარი.

სამაგიეროდ სულ სხვაგვარად განიცდის მწერალი უფლისციხის ქვაბულებს და მოგონებას იმ უსახელო ოსტატთა თუ მეობართა, რომელთაც გამოკვეთეს უფლისციხის დარბაზები და დაიცვეს ღირსება მისი.

„მეჩვენება, რომ ღამეა და უფლისციხე გარშემოწყობილია. მეციხოვნეებს ცეცხლი უნთიათ. დიდ ქვაბებში ადუღებენ კუპრს. თხრილებთან ქვა გროვდება დასაშენად. თხრი-

ლის იქით კი მტრები დგანან“... გურამი ცდილობს ჩაიხედოს ქვაბთა მდუმარებაში, როგორც წყაროში, და დაინახოს ბევრი რამ.

ახალმა დრომ და ეპოქამ ძალა და ფუნქციები დაუკარგეს ჩვენს საამაყო უფლისციხეს. მისი წარსული ჩაიბარა ისტორიამ და დღეს მხოლოდ სანახავად თუ ვეწვევით მას. ჩვენ აქ გვაგონდება აიტმატოვის შესანიშნავი სიტყვები, რაც უფლისციხეზეც შეიძლება გადავიტანოთ: „მთებში არის ხოლმე ასეთი წყაროები: გაიყვანენ ახალ გზას და მისკენ მიმავალ ბილიკს ივიწყებენ... იგი თანდათანობით იფარება პიტნითა და მაყვლით... მოვა ადამიანი, მოძებნის ამ მიყრუებულ ადგილს, გადასწევს ბუჩქებს და განცვიფრდება: დიდი ხნის აუმღვრეველი კამკამა წყალი გაოცებს თავისი სიფაქიზით და სიღრმით. იგი ამ წყალში დაინახავს თავის თავსაც, მზესაც, ზეცასაც, მაღალ მთებსაც... და მაშინ გაიფიქრებს: განა ცოდვა არ არის, რომ სხვასაც არ ვუამბოთ ამ წყაროზე?“.

ასევე ვალდებულად ჩათვალა თავი რჩეულიშვილმა, რომ მივიწყებულ უფლისციხეზე სხვებისათვის მოეთხრო ის, რაც იქ დაინახა, შეიგრძნო და ამოიკითხა...

ძველ ხევსურთა ცხოვრებას უძღვნა გურამ რჩეულიშვილმა „ბათარეკა ჭინჭარაული“. ნაწარმოებში იგი გვიჩვენებს მამაკაცს, რომელიც მოღლილია ზამთრის დღის უმოქმედობის, ლოთობისა და ლაყბობისაგან. მკაცრი ხევსურული რიტუალები აიძულებს მის ცამეტი წლის მზიას, ქურქში გამოხვეული წლიდან წლამდე იჯდეს კოშკის ზემოთა მუხლში და გარესამყაროსაგან მოწყვეტილმა იფიქროს იმ მონადირე ვაჟზე, რომელმაც ოჩოპინტრე გაანაწყენა.

„ზის ქურქში გამოხვეული ეს უცნაური არისტოკრატი ქალი, რომელიც ბუნებამ აქ, შატილში გააჩინა“.

და აი ავად ხდება უსაქმურ ბათარეკას ცოლი. ბათარეკა უხეშად საყვედურობს მზიას: „რად არ ეხმარები დედას, ქალავ!“.. (თუმცა საქმე არაფერი იყო გასაკეთებელი). მეორე დღეს მზია შუაცეცხლის ჯაჭვზე ნახეს ჩამომხრჩვალი...

ხევსურეთზე დაწერილი ნოველები საინტერესოა არა მარტო ეთნოგრაფიული, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. უძველესი კულტურის ხალხს — ხევსურებს გააჩნდათ ისეთი დაუწერელი ცხოვრებისეული კანონები, რომლის შესრულება ზოგჯერ ადამიანის სიცოცხლის ფასად ჯდებოდა. მსგავსმა რიტუალებმა და ქალისადმი მკაცრმა დამოკიდებულებამ აიძულა უმანკო გოგონა თავი ჩამოეხრჩო.

ნოველაში „ბათარეკა ჭინჭარაული“ გ. რჩეულიშვილმა თავისი შემოქმედების ზენიტს მიაღწია.

და ბოლოს შევეხებით გ. რჩეულიშვილის უკანასკნელ და ყველაზე დიდ ნაშრომს. ეს არის პიესა „კა და კო“, რომელშიაც მწერლის უაღრესად მგრძნობიარე სულმა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. მასში გამოთიშულია საქართველოს ბუნება, მისი ხალხი და მოქმედება გოგენის სურათთან, ხოლო ზოგჯერ კი გამოქვაბულში ვითარდება. პიესა თავიდან ბოლომდე გადაწყვეტილია სიმბოლური სახეებით და ხერხებით.

პიესის მთავარ მოქმედ პირებად გამოდიან ვეირამუტი, ტია-ტუ, კა და კო, მათი დედა, თეთრი ეხოები და გურამ-გურამი. პიესაში კეთილს უპირისპირდებიან ავი სულები თეთრი ეხოების სახით, რომელთაც ბოროტი ტია-ტუ პალმის წვერით ახატავს კას და კოს ტანზე. ამის გამო რაღაც უხილავი ძალა აშორებთ მათ ერთმანეთს, — დიდხანს დაე-

ხეტებიან მარტო უღრან ტყეში და ეძებენ გზას სინათლისაკენ. ეს მათ მხოლოდ დიდი ხეტიალის შემდეგ შეძლეს. „ბევრი იარა თუ ცოტა იარა, კო მიადგა ტყის ნაპირს, რომლის იქითაც მოჩანდა სინათლე... მირბოდა ტყიდან, მირბოდა სინათლისაკენ“.

ლტოლვა სინათლისაკენ ერთ-ერთი მთავარი საკითხია პიესაში.

პიესის დიალოგები ძალიან მოკლე და უბრალოა. სტილი, გეოგრაფიული გარემო და მოქმედი პირები უცხოა ქართული დრამატურგიისათვის. თუმცა გამოქვაბული, სადაც პიესის ბოლო მოქმედება მიმდინარეობს, გვაფიქრებინებს, რომ იგი უფლისციხე ან სხვა რომელიმე ქართული მღვიმე უნდა იყოს. ჩვენი გამოქვაბულების ექოებმა, სიბნელემ და მდუმარებამ, უთუოდ, შთააგონა მას პიესის ზოგიერთი დეტალი.

გ. რჩეულიშვილის ბევრი ესკიზი თუ ნოველა ვერ გაუტოლდება მისსავე „ბათარეკა ჭინჭარაულს“, „სალამურას“, „თვირთვილას“, „ალავერდობას“ და სხვ. მაგრამ გვაქვს სრული უფლება ვთქვათ, რომ გურამის სახით ჩვენ გვყავდა უდიდესი ნიჭის მქონე მომავალი შემოქმედი; რაც დაგვიტოვა ახალგაზრდა მწერალმა, ისიც საკმარისია იმისათვის, რათა მადლობა ვუთხრათ მის ნიჭს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გაბრიელ ჯაბუშანური	3
ხუტა ბერულავა	15
აბა კალანდაძის ლირიკა	33
შურმან ლებანიძე	50
„აჯანყებული გული“	66
მუხრან მაჭავარიანი	80
შოთა ნიშნიანიძე	88
„მოზაიკა“ და „წარმართული მელოდიები“	102
ძმები ჭილაძეები	113
ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზია	125
ლევან გოთუას მოთხრობები	135
გრიგოლ ჩიქოვანის „ოდიშური მოთხრობები“	156
რევაზ ინანიშვილი	171
ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“	184
გურამ რჩეულიშვილი	192

Ипполит Петрович Вартагава
Современные грузинские писатели
(На грузинском языке)
Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5
1971

რედაქტორი ნ. ინასარიძე
მხატვარი დ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი ო. მესხი
ტექნიკური რედაქტორი ც. შველიძე
კორექტორი ე. მესხი
გამომშვები დ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 21/II-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VIII-71 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₃₂. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,25. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,58.

უე 00333. ტირაჟი 2.000. შეკვ. № 353.

ფასი 55 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 4.
Тбилисская типография № 4 Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по печати